
По прошествии определенного времени глубоко погруженные сиалевые массы расплавляются температурой субстрата. Создаются условия обрушения сиала. В результате абиссального расплавления и растворения погруженных масс различного состава образуется вторичный расплав изменчивого состава, который меняется от диорита или тоналита через гранодиорит до гранита.

Каждый из этих расплавов отличается меньшей плотностью, чем субстратовый базальт, поэтому обладает способностью смешивания, но за отсутствием необходимого для полной диффузии в базальте времени, означенные вторичные магмы, пройдя базальт, поднимаются выше по направлению к корням гор и помещаются под наиболее тонкой корой складчатой структуры. А базальтовая жидкость первой большой инъекции опускается под легкой магмой.

Прорвавшиеся салические магмы являются секущими и, следовательно, с самого начала бездонными.

Большие абиссолиты вызывают обрушение и замещают определенной части кровли, что впоследствии вызывает поднятие большого количества расплава к основаниям гор. Таким образом устанавливается типичная зависимость видимых батолитов. Если абиссальная палингентическая магма является гранитной, то она остается такого же состава до кристаллизации в верхних горизонтах гор. Если внедренная магма более фемична, например, гранодиоритовая, она или кристаллизуется в породу такого же состава или испытывает диференциацию, и у кровли нового абиссолита образуется гранит или кварцевый монцонит.

Оригинальна, но сомнительна, высказанная Де-Лури [3] в 1937 г. мысль о том, что первичная магма с небольшим вертикальным распространением в ограниченном участке образуется в результате чистого плавления, при чем в большинстве случаев ее состав должен быть однородный. После этого магма начинает мигрировать, нагревает и расплавляет окружающие породы и меняет таким образом свой состав. Если миграция магмы происходит в породах приблизительно такого же состава, образовавшиеся породы не дадут значительного разнообразия. Если же имеет место длительная миграция в разнородных породах, то продукты остывания будут разнородны. Автор придает процессу диференциации местное значение и объясняет разнообразие пород ассоциацией.

По мнению Люжона, приближающемуся к мнению Ога, граниты образуются не из магмы, а из глинистых осадков в процессе складчатости геосинклиналей, во время которого выделяется теплота в количестве, необходимом для расплавления пород.

Левинсон-Лессинг, критикуя это соображение, замечает следующее:

1. Сами глинистые породы образовались из гранитов, следовательно должны существовать граниты, более древние, чем древнейшие глинистые породы.

2. Разнообразие гранитов превышает разнообразие глинистых пород.

3. Не известно ни одного примера, чтобы в процессе дислокации возникло тепло в количестве, способном вызвать расплавление пород. В плоскостях шарнирных, в ядрах и крыльях складок, в различных на-двигах и нарушениях, являющихся выражением действия дислокационных сил, встречаются только катализовые явления, милониты и т. д. Нигде не имеется даже признаков частичного расплавления.

4. Гипотеза Люжона не объясняет образования таких гранитов, которые сопровождаются пегматитами, контактными и рудными полиминами и т. д.

Помимо теорий, признающих получение гранитной магмы в результате анатексиса, существуют теории, приписывающие такое же образование и базальтовой магме.

Хоббс в 1913 г. отметил, что все магматические породы представляют продукт расплавления глинистых пород.

Фермор получает базальтовую магму из гипотетической инфраплутонической эклогитовой зоны и т. д.

\* \* \*

Анализируя вышеприведенный фактический материал и отдельные гипотезы, можно сформулировать следующие положения:

1. Прежде всего, если исходить из общих соображений и признать господствующие гипотезы происхождения земли, указывающие, что земля, которая оторвалась от солнца, в результате постепенного охлаждения перешла из газообразного состояния в жидкое, с появлением наконец коры и в процессе постепенного остывания имела место непрерывная вертикальная дифференциация, сначала вероятно по закону несмесимости жидкостей, а потом кристаллизационным (гравитационным) фракционированием, то трудно понять, почему же является спорным в следующий период развития земли при наличии соответствующих условий наличие подобной дифференциации в той базальтовой магме, которая на определенной глубине земли образует непрерывный пояс, что подтверждается не только геофизическими исследованиями, но и геологическими.

Чтобы допустить такую дифференциацию, мы считаем необходимым удаление определенных масс базальтового субстрата из пространства их первоначального нахождения, т. е. их удаление из области, где они находились в определенном равновесии с остальными глубинными частями единого земного тела, т. е. для осуществления процесса дифференциации в большинстве случаев должен иметь место выход базальтовой магмы, представляющей продукт дифференциации единой земной системы, из области равновесия этой системы и образование в нижних частях коры магматических бассейнов большого масштаба.

2. Если исходить из тех же господствующих гипотез происхождения земли, то легко представить, что в развитии земли существовала такая стадия, когда в тонкой сиалевой коре земли имели место исключительно инъекции кислой магмы; впоследствии же, вероятно, настал такой период, когда сиалевый пояс, вследствие непрерывного охлаждения земли, стал весьма тонким, и в то время, повидимому, происходили не только кислые инъекции, но и основные и, возможно, переходные. Следовательно, мы считаем, что на определенной ступени развития земли, должны были существовать две материнские магмы. Поэтому,

повидимому, не является неправдоподобным утверждение Дэли и Феннера о возможном изменчивом составе базальтового субстрата в пространстве об его изменчивости в различных секторах земли в разные отрезки геологического времени. По его мнению, верхняя часть субстрата, теперь закристаллизованная, возможно, имела, раньше более кислый характер.

Если последовать за этим рассуждением, то надо думать, что при постепенной кристаллизации сиала в истории развития земли настал период, когда первичный сиаль оказался почти целиком закристаллизованным или, более точно, сохранился кое-где над базальтовым субстратом в виде спорадических остатков, что вызвано различной скоростью охлаждения в разных секторах земли и горизонтальным перемещением сиала.

Как известно, исходя из скорости прохождения сейсмических волн, которая в Атлантическом океане меньше, чем в Тихом, геологи приходят к заключению, что, возможно, здесь имеет место прерывистое существование сиала. Если эту мысль логически проследить дальше, следует думать, что в дальнейшем на определенном этапе развития земли, должно настать время, когда под тонкой базальтовой корой появится перidotитовый пояс.

3. Заслуживают внимания мнения Дэли, Феннера, Левинсон-Лесинга, Граута и целого ряда других авторов, отмечающих следующее: если послеархейский типичный батолитовый гранит представляет остаточный расплав базальтовой магмы, тогда объем этого материнского расплава должен быть намного больше. По вычислению Граута, в результате кристаллизационной дифференциации базальтовой магмы из всей массы может быть получена  $\frac{1}{10}$  часть гранитного состава.

Указанная критика потеряет под собой почву, если процесс дифференциации магмы представим в следующем виде:

Возникшие в результате расширения базальтовой постели магматические течения, направленные к области погружения навстречу друг другу, увлекают за собой изостатически погруженные в магму континентальные массивы, перемещение которых должно носить характер толчков, т. к. повидимому имеет место периодическое накопление энергии.

При достаточном приближении подвижных массивов, в основании складчатой системы должны иметь место медленные магматические течения, которые направляются от противоположных сторон кверху и, встретившись в верхней части пространства, приблизительно в средней части, отклоняются вниз и таким образом возвращаются к первичному магматическому очагу.

В верхних частях образовавшегося магматического бассейна начинается процесс медленной кристаллизации базальтовой магмы, и одновременно имеет место длительный процесс гравитационного фракциони-

рования разеc выделенных основных минералов, в результате чего ~~часть~~<sup>и</sup> магматического бассейна приобретает целиком кислый характер. Погруженные минералы, с одной стороны в силу гравитационного принципа, с другой — благодаря нисходящему течению магматических токов, направляются вниз и смешиваются с бездонными массами первичной базальтовой постели.

По бокам бассейна вновь поступающие базальтовые потоки не доходят до верхней части магматического бассейна и, достигнув подошвы кислого дифференциата, отклоняются сначала во встречно-горизонтальном направлении, а затем, в области встречи, вниз.

Чем медленнее и длительнее протекает процесс складчатости, тем больше возможности для полного или почти полного перехода магматического бассейна базальтового состава в гранитный, постепенная кристаллизация которого сверху до низа дает гранитный массив больших размеров.

В процессе постепенной дифференциации магматического бассейна имеют место инъекции магмы из верхней, еще не закристаллизовавшейся части бассейна в верхние горизонты складчатой структуры, при чем образуются гипабиссальные интрузии, подобные изученным нами на Кавказе послепалеозойским.

В начальной стадии дифференциации магматического бассейна имеет место внедрение слабо дифференцированной магмы, каждый же последующий импульс обнаруживает непрерывное возрастание кислотности.

На последней стадии кристаллизации части гранитного магматического бассейна, в результате воздействия сил складчатости, происходит выжимание определенных масс расплава щелочного полевого шпата и кварца, а затем в основном чистой кремнекислоты, в результате чего в абиссальном массиве, а также в гипабиссальных интрузивах образуются жилы пегматитов, аплитов и кварца.

4. Хорошо обоснован вопрос палингенетического происхождения гранитов, хотя отдельные вопросы, вытекающие из гипотезы, иногда являются спорными.

Приложим палингенетическую гипотезу к некоторым установленным нами на Кавказе магматическим циклам.

В начальной стадии погружения земной коры, в связи с отдельными эпизодическими расширениями, обусловливающими переход твердой базальтовой постели в жидкое состояние, имеют место извержения первичной базальтовой магмы, впоследствии же, при еще большем погружении коры гранитоидного состава и ее длительном нахождении в базальтовой пиросфере, а также повидимому в результате радиоактивных процессов, происходит ее постепенное распларение, вследствие чего имеют место сначала инъекции переходного состава, затем, благо-

даря чистому плавлению верхней части сиалевой коры и образованнию гранитоидного расплава в земную кору проникает кислая магма. Вольное прогибание и следовательно плавление сиалевой коры совпадает с фазой складчатости.

К концу повторной кристаллизации регенерированной гранитоидной магмы, в результате воздействия тангенциальных сил происходит выжимание из массива еще не закристаллизовавшихся определенных масс расплава в основном щелочного полевого шпата и кварца, которые секут материнский массив, проникают к гипабиссальным интрузиям и образуют жилы пегматита, аplitа кварца.

Объяснение таким путем изученных нами магматических циклов сопровождается некоторыми трудностями.

Связь с кавказскими интрузиями определенного состава и возраста определенных металлогенических провинций показывает, что эти большей частью гранитоидные интрузии образовались не палингнезическим путем, а в результате дифференциации магмы.

Несмотря на это, мы считаем возможным приписать палингнезису наличие кислых извержений в лейасе и верхнем плиоцене Грузии.

#### ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Боузен Н. А., Эволюция изверженных пород. 1934 г.
2. Дэни Р. О., Изверженные породы и глубины замы: ОНТИ НКТП СССР, 1936.
3. Де-Лури (Lury de J. S.) Heterogeneity of Parent Magma: Jour. of Geology, v. 45, N. 4, 1937.
4. Джансидзе А. И., მთების ფარმომბის საქითხისათვის: Сообщ. Ак. Наук ГССР, т. IV, № 5, 1943.
5. Заридзе Г. М., Генезис магматических пород: Изд. Тб. Гос. Университета им. Сталина. 1939.
6. Зедерхольм (Sederholm J. J.), On Batholiths and the origin of the Granitic Magma. Internat. Geolog. Congress. Report of the XVI Session. Washington, 1933.
7. Купалетский Б. М., Обзор современных взглядов на происхождение гранитов: Изв. Ак. Наук СССР, сер. геологич. № 3, 1942.
8. Левинсон-Лессинг Ф. Ю., Об основных проблемах петрогенезиса: Изв. СПБ Политех. Инст., 1910.
9. Левинсон-Лессинг Ф. Ю., К вопросу о генезисе изверженных пород: Тр. Минерал. Музея Ак. Наук СССР, т. III, 1928.
10. Левинсон-Лессинг Ф. Ю., Проблема генезиса магматических пород и пути к ее разрешению. Изд. Ак. Наук СССР, 1934.
11. Лодочников В. Н., К статье N. L. Bowen „The Problem of the Anorthosites“: Геологич. Вестник, т. IV, 1918—21.
12. Феннер (Fenner C. N.), The Residual Liquids of Crystallising Magmas: Mineral-Magaz. v. 82, N. 134, 1931.

13. Фогт (Vogt J. H. L.), Die Genesis der Granite physiko-chemisch bedeutsam. deutsch. geolog. Gesell., B. 83, N. 4, 1931.
14. Хесс Гарри Гаммонд., Островные дуги, аномалии силы тяжести и интрузии серпентинита (к проблеме олифолитов). Международный Геологич. Конгресс. Тр. XVII сессии т. II, 1937, стр. 279—300.
15. Холмс (Holms A.), The origin of igneous rocks: Geolog. Magaz. v. LXIX, 1932.
16. Левинсон-Лессинг Ф. Ю., Проблема генезиса магматических пород и пути к ее разрешению. Изд. Ак. Наук СССР, 1934.
17. Эскола (Escola P.), On the origin of granitic magmas. T. M. P. M., 1932.

Тбилисский Государственный Университет

им. Сталина

Кафедра минералогии и петрографии

(Поступило в редакцию 12. XII. 1945).

### З. ԽԱՂՈԲԸ

## ՀԱՇԱԽՈՎՍԱ ԴԱ ԹՈՍԻ ՌՈՅՉԱՀԵՑՈՒԱՑՈՒՍ ՑԱՍԱՆԵՑ ԿԱՎԵԱՏՈՈՍ ԽԱՂՈԲԸ ՎԵՐԱԲԵՐՈՒՄ ՑԱՍԵԱՅԼԱՍՏԱՆ ՀԱՅԱՅՑՈՒՐՈՒԹ

### ՀԵՑՈՂՄԵ

յացյասուս ծալյութեալուրնու Շեմդցոմ թագման թարմոնայինու Շըսթացլոս ք սատա-  
նացու լուրջուրուրնու կրուրոյլու զարհիցու Շեմդցու գասկընեցամցու մոցպարու:

1. Մանուկյան պատմութեալու առաջնական գամոցալու գազո-  
նարդետ մովու թարմութեալու զանարդեցու կոմուտացիոն համար մուշցուտաց-  
մով, հոմելու ձորչուրուր մեջ մուսկու առաջ մուշցու մուշցուտաց-  
գապուցքու գագացու տեղայու մուշցու մուշցուտացիոն տանգատան-  
ութեալու մուշցու գանուշցու առաջնական գամոցալու գազու առաջնական  
տեղայու մուշցու մուշցուտացիոն, Շեմդցու քո յուրաքանչիւր գուշցու գազու առաջնական  
ուրու գուշցու մուշցուտացիոն, մելու զանարդեցու, տա հաւաք արու սայամատու մովու  
զանարդեցու Շեմդցու ձերուութեալու, սատանացու ձորչուրուրնու արականու անալո-  
գուրու գուշցու մուշցուտացիոն գագացու մուշցու մարմարու համար, հոմելու մովու  
զարկյալու սոլուրմեթե Շիչցու սարդուրուր մուշցու գագացու մուշցուտացիոն մուշցու

այսու գուշցու մուշցուտացիոն գագացու մուշցուտացիոն սակարու օյնեցա ծախալուրո  
սունարուրու գարկազու մասեցու մատու մուշցուտացիոն արեւան գամուցլա, հաւ-  
զան սոնո մովու մուշցուտացիոն սուստուրմու սեց ճանարից սունարուրու մասեցուտան գար-  
կազու թոնանարուրու մուշցուտացիոն սեց սուստուրմուտ հոմ ցտիցա, ըուց-  
հենուրու մուշցուտացիոն ձերուութեալու սակարու ծախալուրու մագմու,  
հոմելու սարմանացու մովու յուրաքանչիւր սուստուրմու ձորչուրուր գուշցուտացիոն  
ուրուրու մուշցուտացիոն մուշցու գագացու մուշցու գագացու մուշցուտացիոն մուշցու



2. თუ ისევ მიწის წარმოშობის გაბატონებულ ჰიპოთეზები კულტურული ფორმის განვითარებაში აღმართ არსებობდა ისეთი სტადია, როდესაც მიწის თხელ სიალურ ქერქში, ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ შეავე მაგმის ინექციები, შემდეგ კი დაღვებოდა ისეთი დრო, როდესაც სიალური სარტყელი, მიწის განუწყვეტელი გაციების გამო ძალიან შემცირდა. ამ დროს აღმართ წარმოებდა არა მარტო შეავე ინექციები, არამედ ფუქცეც და შესაძლებელია გარდამავალიც. მაშასაძამე, ვთქმულობთ, რომ მიწის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადგილი უნდა ჰქონოდა ორი დედა მაგმის არსებობას. ამიტომ არ უნდა იყოს სიმართლეს დაცილებული დელის დაშვება იმის შესახებ, რომ შესაძლოა ბაზალტური სუბსტრატი სივრცეში ცვალებადი შემადგენლობისაა და რომ იგი მიწის სხვადასხვა სექტორში და გეოლოგიური დროის სხვადასხვა მონაცემთში ცვალებადია. მისი აზრით სუბსტრატის ზედა ნაწილი, რომელიც ახლა დაკრისტალებულია, შესაძლოა ადრე უფრო შეავე ხასიათის ყოფილყო. თუ ასეთ მჯელობას ლოგიკურად განვავითარებთ, უნდა ვითქმიროთ, რომ პირველადი სიალის თანდათანი დაკრისტალებისას, მიწის განვითარების ისტორიაში დადგა ისეთი პერიოდი, როდესაც პირველადი სიალი თითქმის მთლიანად დაკრისტალდა, ან, უფრო სწორედ რომ ვსოდვათ, ბაზალტურ სუბსტრატზე აქა-იქ სპორადიული ნარჩენების სახით-ლა დარჩა, რაც მიწის სხვადასხვა სექტორში გაციების სხვადასხვა სისწრაფით და სიალის ჰიონიზმტული გადაადგილებით არის გამოწვეული.

სეისმური ტალღების გავლის სისწრაფითან გამომდინარე, რომელიც ატლანტიკურ ოკეანეში უფრო ნაკლება, ვიდრე წყნარ ოკეანეში, გეოლოგები იმ დასკვნამდე მიღიან, რომ შესაძლებელია ექ ადგილი ჰქონდეს სიალის წყვეტილ ასებობას. ამ მოსაზრებას წყალქვეშა ვულკანური ამოფრქვევებიც ამტკიცებენ. თუ აზრის ამ თანამიმდევრობას კიდევ უფრო განვავითარებთ, იძულებული გავხდებით დაგუშვათ, რომ მიწის ისტორიის რომელიმე შემდგომ ეტაპზე უნდა დადგეს ისეთი დრო, როდესაც თხელ ბაზალტურ ქერქის ქვეშ, აქა-იქ ფანჯრების სახით, გამოჩნდეს პერიდოტიტული სარტყელი.

3. საყურადღებოა დელის, ფენერის, ლევინსონ-ლესინგის, გრაუტის და მთელი რიგი ავტორების კრიტიკა იმის შესახებ, რომ თუ არქეულის შემდგომი ტიპიური ბათოლოითის გრანიტი წარმოადგენს ბაზალტური მაგმის ნარჩენ ნადნობს, მაშინ ამ დედა ნადნობის მოცულობა უნდა იყოს ბევრად უფრო მეტი. გრაუტის გამოანგარიშებით ბაზალტური მაგმის კრისტალიზაციური დაფერენციაციის შედეგად მთელი მასიდან შეიძლება  $\frac{1}{10}$  გრანიტული შემადგენლობის ნაწილი იქნას მიღებული.

აღნიშნული კრიტიკა ძალას დაკარგავს, თუ ჩვენ დიფერენციაციის პროცესს შემდეგნაირად წარმოვიდგენთ:

ბაზალტური საგების გაფართოების შედეგად გაჩენილი მაგმური ნაკადები დაძირების ოლეისაკენ შემხვედრ მიმართულებით მიედინებიან და თან მიაცურებენ გამლლვარ ბაზალტურ ნადნობში იზოსტატიკურად მოტივრივე კონტინენტურ მასივებს, რომელთა გადაადგილებას ბიძგისებური ხასიათი უნდა ჰქონდეს, რადგან აღმართ ადგილი აქვს ენერგიის პერიოდულ დაგრო-



զբան, թուրքացի մասնակին սպառագություն է տալիս, ուղարկելու համար ազգային պատճեն է առաջարկվում:

წარმოშობილ მაგმურ აუზის ზედა ნაწილში იწყება ბაზალტური მაგმის ნელი კრისტალიზაციის პროცესი, სადაც ერთდღოულად ადგილი ექნება აღრე გამოყოფილ ფურქე მინერალების გრავიტაციულ ფრაქციონირების ხანგრძლივ პროცესს, რის შედეგადაც მაგმური აუზის ზედა ნაწილი თანდათანმით უფრო და უფრო მევე ხასიათს მიიღებს. დაძირული მინერალები, ერთის მხრივ გრავიტაციული პროცესით და მეორე მხრივ დაღმავალი მიმართულების შექმნე ნაკადებით, ქვევითოვენ მიემართებიან და პირველადი ბაზალტური საგების უძირო მახებში ერვიან.

გვერდებიდან ახლად მოდინებული ბაზალტური ნაკადები მაგმური აუზის თავამცე ველარ ადიან და, აღწევენ რა მეავე დიფერენციატის ზოლს, ჯერ შემხვედრ ჰორიზონტულ მიმართულებით გადინებიან და შემდეგ შეხვედრის არეში ქვევითყენ გადატყდებიან. რაც უფრო დანაოჭების პროცესი არის ხან-გრძლივი, მით უფრო მთელი ან თითქმის მთელი ბაზალტური შემადგენლობის მაგმური აუზის გრანიტულში გადასვლის მეტი შესაძლებლობა არსებობს, რომლის ზევიდან ქვევით თანდათანი დაკრისტალება მოვცემს დიდი სიღილის გრანიტულ მასივს.

მაგმური აუზის თანდათანი დიფერენციაციის პროცესში, აუზის ზედა, ჯერ კიდევ დაუკრისტილებელ ნაწილიდან, დანაოჭებული სტრუქტურის ზედა ჰორიზონტებში ადგილი ექნება მაგმის ინკლინაციას, რომელიც მოვცემენ მუნიკაციაზე.

მაგრეთი აუზის დიფერენციალის საწყის სტადიაში ადგილი ექნება სუ-  
რად დიფერენცირებული მაგმის შემოჭრას, ყოველი შემდგომი იმპულსი კი  
გამოამტკიცებს სიმუვეანობის განუწყვეტელ ზრდას.

მაგრური აუზის გარკვეული გრანიტოდუღი ნაწილის კრისტალიზაციის უკანასკნელ სტადიაზე, დანაოჭების ძალათა მოქმედების შედეგად, მოხდება ტუტე მინდვრის შპატისა და კვარცის გარკვეულ მასების, შემდეგ კი, ძირი-თადად სუფთა SiO<sub>2</sub>-ის ნაღნობის გამოწურვა, რაც პირველად მასივში და აგრეთვე ჰიპერასიურ ინტრუზივებში პეგმატიტებს, აპლიტებს და კვარცის ძარღვებს წარმოშობს.

4. კარგად არის დასაბუთებული გრანიტების პალინგენეტურად წარმოშობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჰიპოთეზიდან გამომდინარე ცალკეული ფენები გამოიყოფა.

საინტერესოა, თუ როგორ სახეს მიიღებს პალინგენზისის ჰიპოთეზი, თუ მას საჭარბელოში ჩემი მიერ დატვირთვის მაგმურ კიდევ პს მიუვყინებთ.

მიწის ქერქის დაძირვის საწყის სტადიაში, გაფართოვების უალკეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით, რაც მაგარი ბაზალტური საგების თხევად მდგო- მარეობაში გადასერას გამოიწვევს, აღიანი ექნება პირველადი ბაზალტური

მაგმის ამოფრქვევებს, შემდეგ კი, როდესაც გრანიტოიდული შემაღებულება ქერქი მეტად დაიძირება, უფრო ხანგრძლივად დაპყოფს ბაზალტური პროცესების სფეროში და აგრეთვე შესაძლებელია რადიოაქტიური პროცესების შედეგად მოხდება მისი თანდათანი გალლობა, რის გამოც ადგილი ექნება ჯერ გარდამავალი შემაღებულების ინექციებს, შემდეგ კი სიალური ქერქის ზედანაწილის სუფთა ლლობის და გრანიტოიდული ნადნობის წარმოშობის გამო სიალური ქერქის ზედა ნაწილში მჟავე მაგმა შეიჭრება.

მაქსიმალური დაძირვა და, მაშასადამე, სიალური ქერქის დნობა შესაძლოა დაემთხვეს დანაოჭების ფაზას.

ჩეგენირებული გრანიტოიდული მაგმის ხელახალი დაკრისტალების ბოლო სტადიაში, გაცივების პროცესში მყოფ მასივიდან ტანგენციური ძალების მოქმედების შედეგად ხდება ჯერ კიდევ დაუკრისტალებელი ძირითადად ტუტში მინდვრის შპატის და კვარცის ნადნობის გარკვეული მასების გამოწურვა, რომლებიც გაჰკვეთენ ჯერ დედა მასიეს, შემდეგ კი ჰიბაბისური ინტრუზივებისაკენ გამოიჭრებიან და წარმოშობენ პეგმატიტებს, აპლიტებს და კვარცის ძარღვებს.

ჩვენ მიერ კავკასიაში დადგენილ მაგმურ ციკლებში არსებული თანამიმდევრობის ასეთი გზით ასსნას რიგი სიძნელეები ეღობება.

კავკასიაში და საერთოდაც გარკვეული შემაღებულობის და ასეის ინტრუზივების გარკვეულ მეტალოგენურ პროვინციებთან კავშირი მიგვითითებს, რომ ეს, მეტწილ შემთხვევაში გრანიტოიდული ინტრუზივები წარმოიშვნენ არა პალინგენეზისის, არამედ მაგმის ლიფერუნციაციის შედეგად.

მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია საქართველოს ზოგიერთ მაგმურ ციკლებში, მაგალითად, ლიასში და ზედა პლიოცენში, მაგმური აქტივობის დასაწყისში მჟავე ამოფრქვევების არსებობა, პალინგენეზისს მივაწეროთ.

აღ. ასანიკაველი

## კარტოგრაფია და მისი საგანი

კარტოგრაფის საგნის არსი ძველად და ახლა

სხვადასხევა დროის მეცნიერები, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დიდი სპეციალისტები, სხვადასხვანაირად განმარტავდნენ კარტოგრაფიის საგანს და მის ამოცანებს.

ჯერ ნახევარი საუკუნეები არ გასული იმ დროიდან, როდესაც დიდმა რუსმა მეცნიერება ვასილი ვასილის ძე ვიტკოვსკიმ მტკიცე საძირკელი შეუქმნა რუსულ გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ მეცნიერებას. მას ეკუთხნის სამი დიდი ნაშრომი გეოდეზიასა, კარტოგრაფიასა და ტოპოგრაფიაში, რომლებიც თავისი დროისათვის მეცნიერებათა ამ დარღვების განვითარებას განისაზიერებდნენ და რუსულ გეოდეზიურ მეცნიერებას იმდროინდელი მოწინავე ევროპული ქვეყნების შესაბამ მეცნიერებათა დონეზე აყენებდნენ.

თითქოს დიდი დრო არ უნდა იყოს გასული ამ დიდი რუსი მეცნიერის ნაშრომთა გამოქვეყნების შემდეგ, რომ დღეს ისევ არ დასმულიყო საკითხი კარტოგრაფიის საგნის არსისა და მისი ამოცანების შესახებ. ამ საკითხის არსის განსაზღვრა მაშინ თავისი დროის მეცნიერების დონემდე ჰქონდა აყვანილი ამ დიად მეცნიერს.

აი როგორ განმარტავდა იგი მაშინ კარტოგრაფიის არსს:

... задача Картографии, как науки, ограничивается построением сети меридианов и параллелей; заполнение же сети подробностями земной поверхности, получаемыми из съемок, представляет уже технику составления карт<sup>1</sup>.

კარტოგრაფიის არსის ასეთი გაგება სრულად შეეფერებოდა გეოგრაფიული მეცნიერების იმდროინდელ მინაარსსაც, როდესაც აღწერილობითი გეოგრაფია ყოველთვის წარმატებით იყენებდა რუკას, როგორც მხოლოდ და მხოლოდ თავისი მასალის გადმოცემის საუკეთესო მეთოდს, მაგრამ თვითონ ძლიერ ცოტა არამეს. აძლევდა მას, მისი შინაარსის გასამდიდრებლად.

მაგრამ როდესაც ჩამოყალიბდა გეოგრაფია მისი თანამედროვე გაგებით, როგორც მეცნიერება, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის დედამიწის ზედა-

<sup>1</sup> В. Витковский, Картография (теория картографических проекций): СПб 1907 г., стр. 5.



მართვის მინისტრის

პირზე მრავალგვაროვანი ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვ ღერძნება მეტად გებას, მათ ურთიერთკავშირს, ურთიერთგანსაზღვრას და ზეგავლენას, მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა.

განვლილ ნახევარ საუკუნეზე ნაკლები დრო საქმარისი აღმოჩნდა იმისა, თვის, რომ ძირიანად შეცვლილიყო კარტოგრაფიის არსის ვიტკოსკისეული განმარტება, რომ კარტოგრაფიულ მეცნიერებას ისეთი ახალი შინაარსი მისცემოდა, რომელიც გეოარატიული მეცნიერების მიღწევებით განვითარდებოდა და მის განვითარებასაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა.

ახლა რუკების შედგენის საკითხი კარტოგრაფიული ბადის უბრალო ტექნიკური შევსებით აღარ განისაზღვრება. იგი გულისხმობს უკვე მრავალგვაროვან ბუნებრივ და საზოგადოებრივ მოვლენათა გეოგრაფიული განლაგების ისეთ ჩევნებას, რომელიც ემყარება ლანდშაფტის გეოგრაფიულ შემცირებას.

რუკა ხომ ლანდშაფტის გეოგრაფიული შესწავლის, აღწერისა და გამოყოფის დასაწყისისუა და ბოლოც, როგორც გვასწავლის თანამედროვე საბჭოთა გეოგრაფიული მეცნიერების წინამდლოლი აკადემიკოსი ლევ სიმონის ძე ბერგი<sup>1</sup>. ამიტომ არ შეიძლება ეს ახალი გეოგრაფიული მეცნიერება ვიტკოსკისეული კარტოგრაფიით დაკმაყოფილდეს.

საბჭოთა მეცნიერების დიადი განვითარების განვლილმა წლებმა დაგვანახეს, რომ მაღალ დონეზე მდგომ საბჭოთა გეოგრაფიული მეცნიერების გვერდით ჩამოყალიბდა ახალი საბჭოური, დიდი ლენინის იმ იდეებით გაშუქებული კარტოგრაფია, რომლებიც მისთვის ჩვეული გენიალობით ჩამოყალიბებული ჰქონდა მას 1921 წ. 31 მაისს პავლოვიჩისადმი მიწერილ წერილში:

„ИКНАЦ т. Павловичу

31 мая 1921 г.

Т. Павлович

Мной установлено об издании (в Питере) учебного атласа.

Крайне важно было бы приложить карты империализма.

Не возьметесь ли Вы за это?

Примерно 1) колониальные владения 1876—1914—1921, приложением или с особой штриховкой полуколониальных стран (Турция, Персия, Китай и т. п.).

2) Краткая статистика колоний и полуколоний.

3) Карта финансовых зависимостей. Например, на каждой стране ± с цифрой (миллионы или миллиарды франков), сколько должна эта страна и сколько ей должны.

То же сравнительно 1876—1914—1921 (если взять 1876, как кульмиационный пункт домонополистического капитализма).

4. Желдороги мира с пометкой: в каждой стране, кому больше принадлежат (англичанам, французам, Сев. Америке и т. п.).

<sup>1</sup> ი. ა. ს. ბერგ, Географические зоны СССР, 1947, стр. 11.

Это выйдет чересчур пестро? Можно найти удобные формы, ~~чтобы~~ преобладающее отмечать очень сокращенно.

5) Главные источники того сырья, из-за которого идет борьба (нефть, руда и т. п.), — тоже с пометками (% или миллионы франков такой-то страны принадлежат).

Нам надо обязательно в учебники вставить подобные карты, конечно, с кратким пояснительным текстом.

Можно дать Вам для подсобной работы помощника статистика.

Прощу ответа, беретесь ли, как и когда.

С ком. пр. Пр. СНК В. Ульянов (Ленин)<sup>1</sup>.

ეს წერილი, როგორც ბედნიერი მანათობელი ვარსკვლავი, წინ მიუძღვის დღეს მსოფლიო კარტოგრაფიული წერძებების უდიდეს შედევრს — საბჭოთა და მსოფლიო ატლასს<sup>2</sup>, და წითელ ხასს უსვამს მეცნიერების ამ დარგის პარტიულობასაც.

ამ წერილში, რომელიც აქ თავისან ბოლომდე მოვყავს, დიდი ლენინი მოითხოვს ისტორიის ასახებას კარტოგრაფიულ გამოსახულებაში და არა სტატიურ მდგრადრების; იგი მოითხოვს რუკებზე გადამწყვეტი თარიღებისა და პერიოდების შედარებას, რათა გამოვლინდეს ხარისხობრივი ცვლილებები და იმპერიალიზმის ეპოქის, როგორც მომაქვდავი კაბიტალიზმის, ისტორიული ტენდენციები.

მართლია, დიდი ლენინის ეს მითითებები სასწავლო ატლასის შედევრის ეხებოდა, მაგრამ მათ უდიდესი სახელმძღვანელო მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კარტოგრაფიული მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებისათვის, მათი იდეოლოგიური მიმართულებისათვის.

ცხადია, ლენინის იდეებით გამსჭვალული საბჭოთა კარტოგრაფია მარტო ტენიურ მეცნიერებათა დარგად კი არ უნდა ჩაითვალოს, როგორც ეს ამ ორი ათეული წლის წინა ხანებამდე ითვლებოდა, არამედ მან თავისი განვითარება გეოგრაფიული მეცნიერების დარგთა შორისაც უნდა ეძიოს. თავისი განვითარების ახალ საფეხურზე კარტოგრაფიას არ შეუძლია მარტო გეოდეზიისა და, მით უმეტეს, კარტოგრაფიული პროექციების ჩარჩოებით შემოიწლედოს, მას გეოგრაფიული მსოფლმხედველობა და დასაბუთებები ესაკიროება.

ეს მდგომარეობა დროულად შეიცნო საბჭოების გეოგრაფიულმა საზოგადოებამ და იმიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1933 წელს პირველმა საკავშირო კეოგრაფიულმა ყრიდობამ, თავის რეზოლუციებში, გადაუდებელ პრობლემათა შორის კარტოგრაფიის მეცნიერულ-თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შექმნის პრობლემაც შეიტანა.

<sup>1</sup> «Ленинский сборник» XX, стр. 320.

<sup>2</sup> «Большой Советский атлас Мира» т. I, стр. 1.

ეს რეზოლუცია პირდაპირ მოითხოვდა, რომ გადაწყვეტილიყო გულგრაფული გეომორფოლოგის, გეოლოგის, გეობორტანიკოსის, გეოდეზისტის, ეკონომიკური გრაფის და კარტოგრაფის მუშაობათა შეხამების ამოცანა ქვეყნის თავდაცვითი ინტერესების მხედველობაში მიღებით<sup>1</sup>.

1933 წ. 17 დეკემბერს გამოვიდა სსრ კავშირის სახელმსაბჭოს და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საბჭოთა დიდი მსოფლიო ატლასის გამოცემის შესახებ. ამ დადგენილების მეშვიდე მუხლი ხაზს უსვავდა ატლასის გამოცემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და ტექნიკურ პრობლემათა სირთულეს და ამ მუშაობაში სსრ კავშირის უკელა უდიდესი სპეციალისტის, შესაბამი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების და უმაღლესი სასწავლებლების მოწვევას გულისხმობდა. („7. В виду сложности связанных с изданием атласа научных и технических проблем привлечь к работе над атласом всех крупнейших специалистов Союза ССР и соответствующих научно-исследовательских институтов и вузов и обязать научные институты включить в свои планы выполнение заданий по большому Советскому атласу мира“)<sup>2</sup>.

ამავე დადგენილებით დაარსებულ იქნა სპეციალური სამეცნიერო-საგამომცემლო ინსტიტუტი<sup>3</sup> („Научно-издательский институт большого советского атласа мира“), რომელმაც კარტოგრაფიის ეს რთული ამოცანა დასძლია და საბჭოთა მეცნიერების და ფართო საზოგადოებას მისცა ამ ატლასის პირველი ორი ტომი.

ეს ატლასი, მისი პროგრამის ავტორის — პროფ. ვ. ე. მოტილიოვის ზუსტი გამოთქმით, გვაძლევს მთელი მსოფლიოს ისეთ ჰეშმარიტ სურათს, როგორც წარმოგვიდგება ჩვენ ივი მსოფლიოს სამეურნეო და პოლიტიკურ ურთიერთობათა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე. („подлинную картину мира как она представляется на основе марксистско-ленинского анализа мировых хозяйственных и политических отношений“)<sup>4</sup>. იგი მსოფლიოში არსებულ უკელა სხვა ატლასებიდან გამოიჩევა თავისი სისრულით, ისტორიზმით გამსჭვალული შინაარსის ერთიანობით და პარტიულობით; იგი სოციალიზმის ეპოქის დიადი წარმონაქმნია, საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების იარაღია.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ მოხსენებულისა, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ინჟ. ა. კომკოვს<sup>5</sup> იმაში, რომ საბჭოთა კარტოგრაფიის უდაო

<sup>1</sup> Труды Всесоюзного географического съезда, вып. I. Резолюции, изд. ГГО Л. 1934 г.

<sup>2</sup> Постановление ЦИК и Совнаркома (СССР издание БСАМ) от 17 дек. 1933 г.

<sup>3</sup> 1938 წ. ეს ინსტიტუტი შეიციდა გეოდეზისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო სამართველოს სისტემაში.

<sup>4</sup> Проф. К. Е. Мотылев, Программа и содержание карт „Большого советского атласа мира“. Вопросы географии и картографии. Содэкгиз м. 1935.

<sup>5</sup> Инж. Комков, Картография в среде географических наук. Сборник научно-технических и производственных статей по геодезии, картографии, топографии, аэро-схемике и гравиметрии, вып. I, 1941 г.

მიღწევებთან ერთად მასში ჯერ კიდევ ადგილი აქვს თეორიის ჩამოყალიბების პრინციპისაგან, რომ ჯერ კიდევ ძველებურად კარტოგრაფიის უფრო შესწავლილ ნაწილად რჩება მოძღვრება კარტოგრაფიული პროექციების შესახებ. ეს იმას გვიჩვენებს — ამბობს ინტ. კომკოვი — რომ მიუხედავად რუკათა მრავალსაუკუნოვანი არსებობისა, კარტოგრაფიის როგორც მეცნიერებას ჯერ არ დაუმთავრებია გაფორმება და ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება<sup>1</sup> და რომ ამის გამო „უახლოესი დროის ამოცანას წარმოადგენს — კარტოგრაფიის თეორიული საფუძვლების შექმნა და მისი გამოყვანა საბჭოთა მოწინავე მეცნიერებათა დონეზე“.

მართლაც და ჩვენ ძალიან ღარიბნი ვართ კარტოგრაფიის თეორიული ხასიათის ლიტერატურით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათემატიკური კარტოგრაფიის სახელმძღვანელოთა საქმაო რიცხვს, ჩვენ ამ დარგის მთელს არსენალში დაგვრჩება წიგნთა თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობა. ცხოვრება კი ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა მოითხოვს ზოგადგეოგრაფიული, ჰიფსომეტრიული, გეომორფოლოგიური, კლიმატური, გეობოტანიკური, დემოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ისტორიული, სტრატეგიული, ოპერატიული, სატრანსპორტო რუკების შედეგნის მეთოდიებას. ქვეყნის თავდაცვის ინტერესები მოითხოვენ საომარ მოქმედებათა თეატრების ისეთი კარტოგრაფიული მომზადების მეთოდიებს, რომელსაც საფუძვლად დაედება დიდი სტალინის მიერ ომის თეატრის კომპლექსური განხილვის დიადი იღეა<sup>2</sup>.

თუ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს მიზანშეწონილად ვკრინოთ, მაშინ საჭიროა ზოგი რამ კარტოგრაფიის არსის და ამოცანების შესახებ ამ ასპექტში განვიხილოთ.

### კარტოგრაფია როგორც გეონიურ და გეოგრაფიულ მეცნიერებათა ლარგი

ვიდრე ამ საკითხზე დაწვრილებით მსჯელობას დავიწყებდეთ, საჭიროა შევთანხმდეთ პროფ. სალიშჩევის მიერ კარტოგრაფიის იმ განსაზღვრის სისწორეში, რომლის მიხედვითაც კარტოგრაფია მთლიანად წარმოადგენს მეცნიერებას გეოგრაფიული რუკის შესახებ, მისი არსის, ელემენტების და განვითარების შესახებ, აგრეთვე მისი შედეგნისა და გამოცემის მეთოდებისა და პროცესების შესახებ. („Картография в целом представляет собой науку о географической карте, ее сущности, элементах и развитии, а также о методах и процессах ее создания и воспроизведения“)<sup>3</sup>.

კარტოგრაფიის ასეთი განსაზღვრის სწორი გაგება მოითხოვს თვით რუკის არსის დადგენას, მით უფრო, რომ ეს საკითხი სხვადასხვა იყოორებს სხვადასხვანაირად აქვთ წარმოდგენილი. პროფ. სალიშჩევს ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ წიგნში საქმარისი სისრულით აქვს ეს საკითხი განხილული,

<sup>1</sup> იბ. ამბ. სტალინის წერილი ლენინისადმი წიგნში: К. Е. Ворошилов — Сталин и Красная Армия. Воениздат 1937 г., стр. 24—25.

<sup>2</sup> К. А. Салищев, Основы картоведения, общая часть М. 1944, стр. 38.

იგი აქ გეოგრაფიული რუკის არსის განმარტების შემდეგ ფორმულირებული იძლევა:

„გეოგრაფიული რუკები უნდა განისაზღვროს როგორც დედამიწის ზედა-პირის ისეთი პირობითი, შემცირებული და გენერალიზებული გამოსახულებანი სიბრტყეზე, მიღებული განსაზღვრული მათემატიკური კანონით, რომლებიც გვიჩვენებენ მრავალგვაროვან ბუნებრივ და საზოგადოებრივ მოვლენათა გეოგრაფიულ განლაგებას“<sup>1</sup>.

ამ განმარტების მეცნიერულ დასაბუთებულობაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, იგი სრულიად სამართლიანია. აქ ჩვენ ის გვაინტერესებს, რომ რუკა გვევლინება მეცნიერების ორი დარგის, გეოდეზიისა და გეოგრაფიის, თანამშრომლობის, სინთეზის პროცესზე.

მართლაც, რამდენადაც რუკა დედამიწის პირობითი და შემცირებული გამოსახულება სიბრტყეზე განსაზღვრული მათემატიკური კანონით მიღებული, იძლენად იგი გეოდეზიური მეცნიერების წარმონაქმნია; ასტრონომიული, გეოდეზიური, მათემატიკური და ტოპოგრაფიული გაზომვებისა და გამოთვლების სინთეზია. მაგრამ, რამდენადაც ის მრავალგვარ ბუნებრივ და საზოგადოებრივ მოვლენათა გეოგრაფიული განლაგების გენერალიზებული გამოსახულებაა, იძლენად იგი გეოგრაფიული მეცნიერების წარმონაქმნია და ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომ-გეოგრაფიული კვლევის სინთეზს წარმოადგენს.

ძველი დროის კარტოგრაფებს და გეოგრაფებს ასე არ ესმოდათ რუკა, მათ იგი მარტო გეოდეზიურ, ტოპოგრაფიულ გაზომვებისა და რუკათშედგენის ტექნიკურ სამუშაოთა შედეგად მიაჩნდათ. მაშინ ეს სრულიად კანონზომიერი იყო იმიტომ, რომ თვით გეოგრაფია არ აჩვებობდა თანამედროვე შინაარსით, ის თვითთვის იყო აღწერილობითი საგანი, რომელიც ხშირად თავისი ობიექტის შესასწავლად მხოლოდ რუკას ემყარებოდა, იგი რუკას შეისწავლიდა და არა ცოცხალ ბუნებას, რომელშიც აღამიანები ცხოვრობენ. ამიტომ მაშინ ისიც ასატანი იყო, რომ კარტოგრაფია გეოდეზიის შემაღებელ ნაწილად ითვლებოდა, მარტო მისი მიღწევებით იკვებებოდა და მათემატიკური კარტოგრაფიით და რუკათშედგენისა და გამოცემის ტექნიკით კმაყოფილდებოდა.

მაგრამ, აკადემიკოს ფერს მანის ენით რომ ვთქვათ, „დიალექტიკურმა მატერიალიზმი დაგვანახა, რომ ჩვენი დროის გეოგრაფია ჩვენ გარშემო არსებული ცალკეული ფაქტების მეცნიერება კი არ არის, არამედ იგი არის მეცნიერება იმ ურთიერთკაյშირებისა და ულრმეს ურთიერთობათა შესახებ, რომლებიც არსებობენ ბუნებაში ცალკეულ მოვლენათა და მასში მშრომელ ადამიანს შორის“<sup>2</sup>.

თუ ეს ასეთ და მასთან ერთად გვწამს, რომ რუკა გეოგრაფიის „მეორე ენაა“, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე რუკა ის რუკა აღარ არის (ყოველ შემთხვევაში არ უნდა იყოს), რომელიც მსხვილმასშტაბიანი მასალის

<sup>1</sup> К. А. Салищев, Основы картоведения, общая часть М. 1944, стр. 11—12.

<sup>2</sup> Ферсман, География на службе войны: „Наука и жизнь“ № 11—12, 1942.

უბრალო ტექნიკური შემცირებით და კარტოგრაფიულ-მხატვრული გრაფორაფიული ბით მიიღება, ეს ის რუკა არ არის, რომელიც მხოლოდ აღნუსხავს უკუკუშებულ სახავს დედამიწის ზედაპირზე არსებულ ცალკეულ ფაქტებს.

თანამედროვე რუკა სრულიად ახალი წარმოხაჭმნია, იგი გამოჰყოფს და ხაზს უსეამს ტერიტორიის იმ ძირითად დამახასიათებელ თავისებურებებს, რომლებიც ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილს, გეოგრაფიული ასპექტის (ანუ ლანდ-შაფტის) საგნებისა და მოვლენების კანონზომიერ დაჯგუფებებს გამოსახავს.

გეოგრაფიული რუკა ისე უნდა იყოს შედგენილი, წერს გედიმინი თავის ახალ სახელმძღვანელოში („Картография“), რომ მის ხაზებსა, წერტილებსა და ფერებში იყითხებოდეს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სინამდვილე. რომ მდინარეები, მაგალითად, უნდა იყითხებოდნენ არა როგორც კლავნილი ხაზები, არამედ როგორც მიმდინარე წყლები, რომელთა დინების მიმართულება და კლავნილობა განისაზღვრება ოლიეფის თავისებურებებით და რომელიც თითონ სცვლიან რელიეფის ფორმებს; ისინი უნდა იყითხებოდნენ როგორც სამდინარო გზები, პიდროვენერგიის რესურსები და მნიშვნელოვანი ჯებირები ომიანობის დროს.

ქალაქები, ნავსაღგურები, ქარხნები, კოლმეურნეობანი და სხვანი უნდა იყითხებოდნენ როგორც აღგილები, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს ადამიანი, სადაც იქმნება და იგზავნება მატერიალური ლირებულებები, საიდანაც ხდება ადამიანთა მოღვაწეობის რეგულირება.

ეჭვს გარეშე, რომ ასეთი რუკის შექმნა მოითხოვს მასზე გამოსასახავ საგანთა და მოვლენათა წინასწარ ყოველმხრივ შესწავლას მათს ურთიერთკავშირში. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, კარტოგრაფიული გამოსახულების აგება ემყარება (ყოველ შემთხვევაში უნდა ემყარებოდეს) წინასწარი გეოგრაფიული შემცნების საფუძველს. ეს აზრი კარგად იქვე გამოთქმული პროფ. სალიშჩიკეს თავის რუკათმცოდნეობის წიგნში. ამ წიგნში იგი ამბობს, რომ „კარტოგრაფიული გამოსახულება თავისი ასის მიხედვით პირობითია, ამიტომ ცოცხალი სინამდვილე, რომლის კარტოგრაფიორებაც ხდება, უპირველეს ყოვლისა, ლრმად უნდა იყოს შემცნებული თავის ძირითად ნიშნებში და მხოლოდ მას შემდეგ გამოსახული ამა თუ იმ მასშტაბისა და დანიშნულების რუკზე. ეს გამოსახვა გრაფიკული საშუალებით სწორედ იმგვარად უნდა მოხდეს, რომ სინამდვილის პირობითი გამოსახულება წარმოადგენდეს მის ნამდვილ ობიექტურ კარტოგრაფიულ განსახიერებას“<sup>1</sup>.

პროფ. სალიშჩიკე მიერ გამოთქმული ეს აზრი, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ რუკა ვერ მიიღებს თავის საჭირო სახეს, თუ კარტოგრაფიორებულ ობიექტთა და მოვლენათა წინასწარი შესწავლა, მათი კანონზომიერი გეოგრაფიული განლაგების დადგენა და ლანდშაფტურ ერთეულებად ანუ ასპექტებად გამოყოფა არ იქნა ჩატარებული. ასეთმა გეოგრაფიულმა კვლევამ კარტოგრაფი მეცნიერულად სწორ გზაზე უნდა დააყენოს, ამა თუ იმ ტერიტორიის

<sup>1</sup> К. А. Салищев, Основы картоведения, общая часть, М. 1944 г., стр. 28.

მთავარი და დამახასიათებელი ობიექტები და მოვლენები უნდა უჩვერწოს. მაგალითად კარტოგრაფიული გენერალიზაციის მიმართულება და მოცულობა უნდა საზღვროს. უძინესოდ კარტოგრაფი ხელოსნად გადაიქცევა, მისი ზოგჯერ ძლიერ თვალსაჩინო და მხატვრულად შესრულებული რუკა სიცოცხლეს დაკარგავს, სინამდვილეს ვერ ასახავს და ეს მით უფრო, რაც უფრო წვრილსა და წვრილ მასშტაბზე გადავა იგი.

ზემოთ მოხსენებულის გამო ვამბობთ, რომ რუკა გეოგრაფიული მეცნიერების წარმონაქმნიცაა, იგი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომ-გეოგრაფიული კვლევის სინთეზს წარმოადგენს.

თუ ეს ასეა, უნდა დავასკვნათ, რომ კარტოგრაფიის მიღწევები და ზრდა-განვითარება გეოგრაფიის მიღწევებზედაც ყოფილა დამოკიდებული.

ახლა, ჩვენის აზრით, საკმარისი იქნება კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის დიალექტიური კავშირის მეორე მხარე, — გეოგრაფიაზე კარტოგრაფიის ზეგავლენა დავადგინოთ და კარტოგრაფიის გეოგრაფიულ მეცნიერებათა ციკლისათვის მიყუთებების საკითხიც უფრო ნათელი გახდება.

აკადემიკოსი ლ. ს. ბერგი, მაგალითად, ასე განმარტავს რუკის ზეგავლენას გეოგრაფიაზე:

„რუკა არის მეცნიერული ქვეყანათმცოდნეობისა და ლანდშაფტმცოდნეობის საფუძველი. რუკა წარმოადგენს ყოველი გეოგრაფიული კვლევის გამოსავალ წერტილს და მის თანამგზავრს მუშაობის ყოველ სტადიაზე, ამასთან ერთად ის არის მისი საბოლოო შედეგიც. მას სრული უფლებით შეიძლება ეწოდოს „გეოგრაფიის ალფა და ომეგა“<sup>1</sup>.

ეს იმას ნისნავს, რომ რუკა, რომელიც წარმოადგენს გეოგრაფიულ ცოდნათა შედეგს, იმავე დროს თვით არის გეოგრაფიული შემცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება იმდენად, რამდენადც იძლევა მოვლენათა სივრცობლივი ურთიერთკავშირის დადგენისა და მეცნიერული დასკვნების გამოტანის საშუალებას.

გეოგრაფიული შემცნება არ კმაყოფილდება ერთხელ შედგენილი რუკით, იგი თავისი განვითარებით უფრო შორს მიდის და სულ ახალ-ახალი რუკების შექმნის საჭიროებას იწვევს.

თანამედროვე რუკები თავისი შინაარსის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფიან: ზოგადებული რუკებად. პირველი ტიპის რუკები გამოსახულება გეოგრაფიული ლანდშაფტის ძირითად ნიშნებს, მეორე ტიპისა კი — ტერიტორიის სპეციალური (გეოლოგიური, ნიადაგმცოდნეობითი, ჰიდროლოგიური და სხვა) კვლევის შედეგებს. ამ შედეგთა გამოსახვა რუკაზე შესაბამ მოვლენათა განლაგების, ურთიერთკავშირის და ურთიერთფანსაზღვრის შესრულებისა და გაგების უდიდეს შესაძლებლობას იძლევა.

ამრიგად, პროფ. სალი შჩევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზოგად-გეოგრაფიული რუკის გამოყენება მეცნიერული მიზნებისათვის და სპეციალური რუკების შედგენა ხელს უწყობდენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

<sup>1</sup> Л. С. Берг, География: БСЭ, т. 15 изд. 1929 г.

განვითარებას, რაც თავის მნხრივ იწვევს კარტოგრაფიის შემდგომ ზრდასა და განვითარებას<sup>1</sup>.

ამ აზრის კიდევ უფრო განსამტკიცებლად შეიძლება გეოგრაფიულ მეცნიერებიში მომხდარი დიდი მოვლენა გავიხსენოთ. მხედველობაში გვაქვს ამ მეცნიერების ახალი, დამოუკიდებელი დარგის, გეომორფოლოგიის წარმოშობა. ეკვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს მეცნიერება დედამიწის რელიეფის ფორმათა კანონზომიერი განვითარების შესახებ წარმოადგენს კარტოგრაფიისა, გეოგრაფიისა და გეოლოგიის ურთიერთთანამშრომლობის, მათი პროგრესის პროდუქტს. ცნობილი ფრანგი გეოგრაფი ე. მარტონი ცოტა გადაჭარბებით იმასაც კი ამბობდა, რომ ზუსტი ტოპოგრაფიული რტკებისა და გეოლოგიური რტკების გაჩენამდე ყოველგვარი ცდები რელიეფის ფორმათი კლასიფიკაციისა და მათი ევოლუციის ინტერპრეტაციის შესახებ თითქმის ილუზიებს წარმოადგენს და რომ შეერთებულ შტატებისა და საურანგეთში დედამიწის ზედაპირის ფორმათა მეცნიერებას საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ ტოპოგრაფებისა და გეოლოგების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე<sup>2</sup>.

ეს თვალსაჩინო მაგალითი კარტოგრაფიის ზეგავლენისა გეოგრაფიის განვითარებაზე გვიჩვენებს, რომ მეცნიერებათა ეს ორი დარგი ძლიერ მჭიდრო დაალექტიკურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

ჩვენ შევვიძლია განვითაროთ მსჯელობა ამ ურთიერთთობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად.

თუ რელიეფის კარტოგრაფიულმა გამოსახულებამ ასეთი დიდი როლი შეასრულა გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგის ჩამოყალიბებაში, რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს უკანასკნელი მოწოდებულია წინ წასხიოს და განვითაროს კარტოგრაფიული გამოსახულება, გამზიდროს კარტოგრაფიული მეცნიერება?

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ამ მიმართულებით ორი აზრი არ არსებობს არც კარტოგრაფიულსა და არც გეოგრაფიულ მეცნიერებაში, ერთიც და მეორეც გეომორფოლოგიის კარტოგრაფიასთან მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვენ.

სრულიად სამართლიანია პროფ. მარკოვის განცხადება იმის შესახებ, რომ „თეორიული გეომორფოლოგიის ამოცანას... წარმოადგენს სსრ კავშირის ტერიტორიის გენეტიური დარაიონება, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს სსრ კავშირის ფიზიკურ-გეოგრაფიული და უპირველეს ყოვლისა წვრილმას-ზრაბიანი რტკების შედეგის. („Задача теоретической геоморфологии... заключается в создании генетического районирования территории СССР, которое может быть положено в основу составления физико-географических карт СССР и, прежде всего, карт мелкомасштабных“)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Салищев, Основы картоведения, общая часть М. 1944 г. стр. 29.

<sup>2</sup> Э. Мартон, Основы физической географии, т. II, Геоморфология, стр. 3—4.

<sup>3</sup> К. К. Марков, Основные проблемы геоморфологии М. 1948, стр. 295.

ამასთან დაკავშირებით პროფ. მარკოვი ეთანხმება ფილტრული (რომელსაც ეკუთხნის პირველი მეცნიერული ცდა რელიეფის გენერალური სტატისტიკულის შესახებ) და ამბობს, რომ უკვე „დასახულია გზები რელიეფის გენერალურის თეორიული გაზის შესაქმნელად და რომ ისინი (ეს გზები) მდგომარეობენ საბჭოთა ტერიტორიის გენეტიური ნიშნით გამოყოფილ გეო-მორფოლოგიურ რაიონთა ბაზის შექმნაში“<sup>1</sup>.

ამ აზრის უდიდესი მნიშვნელობა კარტოგრაფიის ზრდისა და განვითარებისათვის სრულიად გასაგები გახდება. ჩვენთვის, თუ გავიხსნებთ, რომ კარტოგრაფიული გენერალურია „მეცნიერული პროცესია, რომელიც კარტოგრაფიის, როგორც მეცნიერების ქვაკუთხედს წარმოადგენს“ („Это — научный процесс являющийся одним из важнейших элементов картографии как науки“)<sup>2</sup>. ამის გამო სრულიად სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ინგინერ-კარტოგრაფ კომკოვის საყვედლური გეომორფოლოგიის მიმართ, რომელიც გამოიქმულია მის შერილში „Картография в среде географических наук“<sup>3</sup>. ამ შერილში ჩვენ ვკითხულობთ: „К сожалению, геоморфология, бера от картографии все, что она может дать, не дает ей в свою очередь того, что могла бы дать для правильного изображения рельефа. Ощущается крайняя необходимость в специальном курсе геоморфологии для картографов“.

ასეთი დამკიდებულება კარტოგრაფიას მარტო გეომორფოლოგიასთან როდი აქვს. ამგვარადვე დაკავშირებული იგი ჰიდროლოგიასთან, გვობტანიკასთან და ეკონომიკურ გეოგრაფიასთან. მაგალითად, შეცდომა იქნებოდა გვეიფირა, რომ კარტოგრაფია ეკონომიკურ გეოგრაფიასთან კავშირში მოდის-მხოლოდ მაშინ, როდესაც საკითხი. დგას ეკონომიკური კარტირების შესახებ, ე. ი. ეკონომიკური რუკების შედეგების შესახებ. ვინ არ იცის, რომ თვით ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე დასახლებული პუნქტების, გზების და სხვა, ადამიანის ხელით შექმნილი, ობიექტების მეცნიერულად დასაბუთებული გამოსახვისათვის საჭიროა მათი კლასიფიკაცია და ეგვამაშეზომილი შერჩევა, ტიპიზაციების, დამახასიათებლის და პირველხარისხის გამოყოფა და სოციალურ-ეკონომიკური ლანდშაფტის სწორად გადმოცემა. ყოველივე ეს კი შეუძლებელია კარტოგრაფიისა და ეკონომიკური გეოგრაფიის უმჭიდროესი კავშირის გარეშე.

### კარტოგრაფიული განვითარების გეოგრაფიული საფეხულები

იმ დრომდე, ვიდრე გეოგრაფიული მეცნიერების მიღწევანი კარტოგრაფიაში და კერძოდ რუკათშედგენაში შეიქრებოდნენ და უცესვებს გაიდგამდნენ, კარტოგრაფიული გამოსახულების შექმნა მხოლოდ რუკის მასშტაბზე, დანიშნულებაზე და თვით კარტოგრაფის ინდივიდუალურ, სუბიექტურ შეხედულებისაში და გეოგრაფიის უმჭიდროესი კავშირის გარეშე.

<sup>1</sup> К. К. Марков, Основные проблемы геоморфологии М. 1948, стр. 299.

<sup>2</sup> Салишев, Основы картоведения, общая часть, М. 1944 г. стр. 28.

<sup>3</sup> Сборник научно-технических и производственных статей по геодезии, картографии, топографии, аэросъемке и гравиметрии. Вып. I, 1941.

ბებსა და მუშაობის მანერებზე იყო დამოკიდებული. ამ მიზეზების გამო ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საქმარისად გამოცდილი კარტოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ერთა და იგივე ტერიტორიის ერთისა და იმავე მასშტაბის რუკებს აღვენდ, შედეგში სულ სხვადასხვა სახის კარტოგრაფიულ გამოსახულებას ღებულობდნენ. ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ამ რუკათა ავტორებს სხვადასხვანაირად ჰქონდათ (ან სულ არ ჰქონდათ) გაგებული აღებული ტერიტორიის გეოგრაფიული ლანდშაფტის თავისებურებანი, ამ ლანდშაფტის ყოველი ელემენტის ან მოვლენის მნიშვნელობა და ურთიერთკავშირი.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს ახლა, როდესაც გეოგრაფიაშ დაწყო ტერიტორიის კამპლექსური შესწავლა, გეოგრაფიული ლანდშაფტებისა ანუ ასევე ტების დადგენა და გეოგრაფიულ ობიექტთა და მოვლენათა ურთიერთზეგავლენის დადგენა, როდესაც კარტოგრაფს უკვე მოეთხოვება ანგარიში გაუშიოს გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ღონეს და გამოიყენოს მისი მიღწევანი.

კარტოგრაფიულ ლიტერატურასა და რუკათშედეგენის ინსტრუქციებში თანაბათონებით უკვე თავს იჩენს სულ უფო მეტი და მეტი რიცხვი მეოთხედური მითითებებისა, რომლებიც მიმართულია გეოგრაფიულ ობიექტთა და მოვლენათა გენერალიზაციის სწორ გეოგრაფიულ საფუძველზე დაყენებისაკენ.

ასე, მაგალითად, ფილიბოვი თავის შრომაში „Основы генерализации реальефна на топографических картах“ რელიეფის გამოსახულების გენერალიზაციისას კარტოგრაფიისაგან მოითხოვს რელიეფის შემქმნელი ფაქტორების არა მარტო ხასიათის, არამედ მათი გამოვლინების ხარისხის შესწავლისაც. ის სხვათაშორის აღნიშნავს, რომ განსაზღვრული გენეზისისა და განვითარების გარეკვეული სტადიის მქონე რელიეფის დამახასიათებელი ფორმების გენერალიზაციის თავისებურებათა ცოდნა კარტოგრაფის ხელში აძლევს იმ როტული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდს, რომელსაც უყენებს მას პრაქტიკა.

ფილიბოვი ამ შრომაში მოითხოვს, რომ რელიეფის შედეგენის წინ კარტოგრაფია კველა არსებული გეოგრაფიული მასალის მიზედვით უნდა შეისწავლოს კარტოგრაფიერებული ტერიტორიის რელიეფი და ამ შესწავლის შედეგად უნდა შეადგინოს რელიეფის სპეციალური სქემა სათანადო განმარტებითი მასალით.

ამ სქემის ძირითადი შინაარსი უნდა იყოს შემდეგი: გამოყოფილ იქნეს, უპირველეს ყოვლისა, ხაზთა ორი სისტემა — წყალთა გამყოფი და წყალთა მაერთი ხაზები; შემოფარგლულ იქნეს ტერიტორიის ის მონაკვეთები, სადაც აღვილი აქვს ერთნაირი ფორმებისა და დანაწევრების ხარისხის მქონე რელიეფის გავრცელებას; ამას გარდა სასურველია აღინიშნოს რელიეფის ცალკეული მნიშვნელოვანი ელემენტები, რომელთა გამოსახვა მომავალ რუკაზე აუცილებელია (ნახსენები, საფეხურები, მდინარის ტერასები), და მდინარის ხეობათა ხასიათი.

განმარტებითი ტექსტი უნდა შეიცავდეს კარტოგრაფიერებული ტერიტორიის ისეთ საერთო დახასიათებას, რომელიც საფუძლად დაედება ორო-

გრაფიული ერთეულების გამოყოფას. თუ გეოლოგიური სტრუქტურა, და ტონიკა ნათლად გამოვლინდებიან რელიეფის ფორმებში, მაშინ ჭრიშის ტექნიკა უნდა შეიცავდეს სუპრილებელ გეოლოგიურ ცნობებსაც.

მოყვანილი უნდა იქნეს ყოველი ცალკე ერთეულის აღწერა, ამასთან მოთხოვნილებები ვაკე რელიეფისა და მთიანი რელიეფის დახასიათებისათვის უნდა იყოს სხვადასხვა.

ფილიპოვი თავის ამ შრომაში დაასკვნის, რომ რელიეფის გენერალიზაციის საფუძვლები წარმოადგენს გეოგრაფიული მეცნიერების იმ დარგს, რომლის განვითარებაშიც ერთნაირად დაინტერესებულია გეოგრაფიაცა და კარტოგრაფიაცა. „საჭიროა გვახსოვდეს — წერს ფილიპოვი, რომ ხშირად ტოპოგრაფიული რუკა წარმოადგენს ერთადერთ წყაროს აღგილდებარეობის გეოგრაფიული და გეოლოგიური შესწავლისათვის. ეს საყოველთაოდ ცნობილი მდგომარეობა საჭირო კარტოგრაფიულ გამოსახულებას მაშინ მიიღებს, როდესაც ურთიერთშეხებაში და ურთიერთგამსჭვალვაში მოვა ცოდნათ ეს ორი, ხელოვნურად გათაშული დარგი“.

„... გეოგრაფი მოვალეა თავისუფლად ფლობდეს დედამიწის კარტოგრაფიული გამოსახულების მეთოდებს. კარტოგრაფს კი, რომელიც გამოსახავს დედამიწის ზედაპირს, შეუძლია შეასრულოს თავისი ამოცანა მხოლოდ და მხოლოდ გენერალიზაციის გეოგრაფიული საფუძვლების ღრმა ცოდნის შემთხვევაში“<sup>1</sup>.

ასეთი მდგომარეობა მარტო რელიეფის გამოსახვის დარგში კი არ ხვდება კარტოგრაფს, იგივე მდგომარეობაა ჰიდროგრაფიის, დასახლებული პუნქტების, ნიადაგ-მცნარეული საფარის და გეოგრაფიული ლანდშაფტების სხვა ელემენტების შედევნის ღროსაც. აი, მაგალითად, რას მიუთითებს კარტოგრაფს საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული სამართველოს მიერ გამოცემული „Практическое пособие по составлению топографических карт“ დასახლებული პუნქტების შედევნის შესახებ:

„დასახლებულ პუნქტთა შერჩევასა და განზოგადებაზე ყველაზე უფრო რთულ და გადამშევიტ გავლენას ახდენენ იმ აღგილთა ტაბები ან რაიონთა ბუნებრივ-ისტორიული პირობები, რომლებზედაც იქმნება ტოპოგრაფიული რუკა“.

„იმდენად მრავალფეროვანია სსრ კავშირის ბუნებრივი პირობები, რომ უალრესად ძნელია მისი ყველა რაიონისათვის შერჩევისა და განზოგადების ზუსტი ნორმების წინასწარ შემუშავება და ჩვენება, და ეს მით უფრო, რომ რუკის ყოველ ფურცელზე მრავლად შეიძლება აღმოჩნდეს განსაკუთრებული და ვაუთვალისწინებელი შემთხვევები“.

„ამასთან ერთად, რუკის შედევნის შემოქმედებითს პროცესში მეღვინდება კარტოგრაფიის ინდივიდუალური ნიჭიც. ყოველივე ამას მუშაობაში დიდ

<sup>1</sup> Ю. В. Филиппов, Основы генерализации рельефа на топографических картах: Труды Центрального Научно-Исследовательского Института геодезии, аэросъемки и картографии, вып. 47, 1946 г.

შერყეობამდე შეუძლია მიგვიყვანოს და უფრო გააძნელოს კანონზომიდების  
დამყარება შერჩევასა და განზოგადებაში. ამიტომ რომ მელი მეტე როგორც არ  
რუკის შედგენის დროს, აუცილებელია ამ მუშაობაში მონა-  
წილე ყველა კარტოგრაფებმა, უპირველეს უოვლისა, მიაღ-  
წიონ გამოსასახი ადგილის და მისი ცალკეული ობიექტების  
ერთიან გავებასა და შეფასებას<sup>1</sup> (ხაზგასმულია ჩემ მიერ — ა. ა.).

ნიადაგ-მცენარეული საფარის შესახებ ნათქვამია:

„კარტოგრაფიული რაოინის შესწავლის დროს აუცილებელია დად-  
გენილ იქნეს, თუ ნიადაგ-მცენარეულთა რომელ ზონას მიეკუთვნება ეს რაოინი-  
და როგორია ამ ზონაში ნიადაგ-მცენარეული საფარის გავრცელების არსე-  
ბული ნიშნები, მცენარეთა და ნიადაგთა ცალკეული ტიპებისა და მითი გავრ-  
ცელების მიხევვით ადგილ-მდებარეობის სხვა ელემენტებთან ურთიერთკავ-  
შირში, ე. ი. დადგინდლ იქნეს, თუ როგორი ურთიერთკავშირი არსებობს  
ნიადაგ-მცენარეული საფარის ობიექტებსა და სხვა გეოგრაფიულ ელემენტებს  
შორის<sup>2</sup>.“

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება.

ყოველივე ეს შეეხება არა სპეციალური რუკების შედგენის საკითხებს,  
სადაც კავშირი კარტოგრაფიასა და გეოგრაფიული მეცნიერების სპეციალურ  
დარგებს შორის უფრო ნათელია, არამედ ზოგად-გეოგრაფიულ ტოპოგრა-  
ფიულ და, მით უმეტეს, სამიმოხილვო რუკებს შორის, სადაც ამ კავშირის  
გამოყლინება ნაკლებად თვალსაჩინოა.

კარტოგრაფიის საგნის განვითარების ისტორიას სწორედ იქითქნ მივ-  
ყავართ, რომ იგი სულ უფრო მეტსა და მეტ კავშირს მოითხოვს გეოგრა-  
ფიასთან, ამ უკანასკნელის მეცნიერული განვითარება ხელს უწყობს კარტო-  
გრაფიის მეცნიერული ქვაკუთხედის, კარტოგრაფიული გენერალიზაციის თეო-  
რიის, კონკრეტულიდან ზოგადზე სწორი გადასვლის თეორიის მეცნიერული  
საფუძვლების გაფართოებას და სრულყოფას. ეს თეორია ჰქომარიტს ხდის  
გეოგრაფიული რუკების შინაარსს, რაც თავის მხრივ გეოგრაფიული მეცნიერე-  
ბის განვითარების უაღრესად სიჭრო წინაპირობას წარმოადგენს.

### კარტოგრაფიის, რომელს გამოიიდება დამოუკიდებელი დარგის თავისებურებანი

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა გამო, ჩენ დავეთანხმეთ მეცნიერთა იმ  
ჯგუფს, რომლებიც კარტოგრაფიის გეოგრაფიულ მეცნიერებათა ციკლის ერთ-  
ერთ დარგად განიხილავთ და მისი, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი  
დარგის, არს სწორედ ამ პაზიციიდან განსაზღვრავენ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ჩენ გასკვნით, რომ რუკა არის  
დედამიწის ზედაპირზე გეოგრაფიულ ობიექტთა და მოვლენათა ღროსა და  
სიგრცეში კანონზომიერი განლაგების გამოსახვის მეთოდი და შემცნების

<sup>1</sup> Практическое пособие по составлению топографических карт, вып. I, Население  
и пункты стр. 41.

<sup>2</sup> იგივე, вып. 5, Почвенно-растительный покров, стр. 29.

საშუალება, მას ვერ შესცვლის ვერც სხვა რამ თვალსაჩინო გამოსახულება და ვერც საუკეთესოდ შესრულებული ლიტერატურული აღწერა. შეუკარისტიზება გად, გეოგრაფიის „მეორე ენაა“. მას შეისწავლის კარტოგრაფია, რომელიც უამრავი ტექნიკური მეთოდებით სარგებლობს; ეს მეთოდები განუწყვეტლივ განვითარებაში იმყოფებიან, მათი განვითარება კი ასტრონომიის, გეოდეზიის და ეროვნულობრივის მონაცემებს ემყარება. შეიარაღებული ამ ტექნიკური მეთოდებით და კარტოგრაფიული გენერალიზაციის მეცნიერული თეორიით, რომელიც გეოგრაფიული მეცნიერების ზრდა-განვითარებიდან გამომდინარეობს, კარტოგრაფია გრაფიკული ენით გამოსახავს გეოგრაფიული კვლევის მიღწევებს. ამიტომ ვამბობთ, რომ კარტოგრაფია მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია, რომელიც ერთსა და იმავე დროს ტექნიკურ და გეოგრაფიულ მეცნიერებათა ციკლს მიეკუთვნება.

კარტოგრაფიას, როგორც მეცნიერების ყოველ სხვა დარგს, ახასიათებს მისთვის ნიშანდობლივი შემდეგი თვისებანი: (მოგვავს კომპოვის უკვე ციტირებული სტატიის შიხედვით).

მას აქვს სრულიად გარეკვეული შინაარსი — მთელი რიგი დისკიპლინები, რომელიც მოიცავს რუკათშედებენის ყველა პროცესებს.

მას აქვს სრულიად განსაზღვრული და მისთვის დამახასიათებელი შემცირების მეთოდი — გაზომვები, დაკვირვებანი და განზოგადება (გენერალიზაცია).

აქვს თავისი კვლევის შედეგთა გადმონაცემის გარევეული მეთოდი — თვალსაჩინო გრაფიკული აგებანი.

უაღრესად დიდია მისი პრაქტიკული მინშენელობა.

ამ თვისებათა გარდა კარტოგრაფიას აქვს სხვა მეცნიერებათაგან განმასხვავებელი რამდენიმე განსაკუთრებული თვისება, სახელდობრ:

1) თეორიისა და პრაქტიკის უაღრესად დიდი კავშირი. ყოველი თეორიული განსაზღვრა დაკვშირებულია რუკაზე მის გრაფიკულ ინტერპრეტაციასთან, ამიტომ კარტოგრაფიის თეორია არ შეიძლება იყოს თეორიად, თუ იგი დაკავშირებული არაა რუკათშედებენის პრაქტიკასთან. კარტოგრაფიას, როგორც ყოველ სხვა მეცნიერებას ჰყავს პრაქტიკულ მოღვაწეთა მთელი არმია, რომელიც ასრულებს განსაზღვრულ ტექნიკურ იპერაციებს, მაგრამ საერთოდ რუკების შექმნა სერიოზულ და რთულ მეცნიერულ მუშაობას წარმოადგენს. ამ მუშაობის თეორია და პრაქტიკა კი განუყრელ კავშირში იმყოფებიან.

2) კარტოგრაფია თავისებურად სწყვეტს დროის საკითხს. ბურუუზიული კარტოგრაფიის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი ეკერტი კარტოგრაფიის ხოროლოგიურ მეცნიერებას უწოდებდა, განიხილავდა რუკას, როგორც განვითარებაში მყოფი მოვლენების მოსვენებით მომენტს და ამით მთლიანად ხსნიდა დროის საკითხს, მოვლენათა ისტორიზმის კარტოგრაფიულ გამოსახვებს. ამ აზრს არ იზიარებს საბჭოთა კარტოგრაფია, დიდი ლენინის იდეებით გამსჭვალული კარტოგრაფია. რუკის შექმნის დროს ძალიან ხშირად დროის მიხედვით სხვადასხვა ცნობები ერთ დრომდე, რუკის შედგენის

დღომდე, დაიყვანება ხოლმე, მაგრამ კარგი რუკა გვიჩვენებს არა მარტინი იმას, რაც არსებობს, არამედ იმასაც, რაც არსებობდა და რაც უამშებელია გმომავალში. კარტოგრაფია გამოსახულების მოვლენათა ისტორიზმს. ასეთი რუკების სანიმუშო მაგალითები მრავლად მოვეპოვება ჩვენ მსოფლიოს საბჭოთა დიდი ატლასის ორსავე ტომში.

3) უაღრესად დიდია კარტოგრაფიის, როგორც მეცნიერების, კავშირი სახვით ხელოვნებასთან. ეს გამოწვეულია იმ მოთხოვნილებით, რომ კარტოგრაფიული გამოსახულება უნდა იყოს არა მარტო ზუსტი და სინამდვილის ამსახველი, არამედ თვალსაჩინოც. იქ, საღაც საჭიროა თვალსაჩინოება, არ შეიძლება დიდ როლს არ თამაშობდეს სახვითი ხელოვნება. მხატვრულ საწყისს დიდი მნიშვნელობა აქვს რუკათშედებენაში, მაგრამ იგი ემორჩილება გეოგრაფიული სინამდვილის ძირითად მოთხოვნილებებს და გამოსახულების შეძლებისამებრ დიდ სიზუსტეს. რუკა სახვითი ხელოვნების პროდუქტს კი არ წარმოადგენს, როგორც ზოგჯერ მას უწოდებენ, ის არის პროდუქტი მეცნიერებისა, რომელიც იყენებს ხელოვნებას, როგორც მისთვის საჭირო საშუალებას.

4) კარტოგრაფია მცირდოდა დაკავშირებული სხვა საბუნების მეტყველო, მათებატიკურ და სოციალურ მეცნიერებებთან, რომლებიც თვითანთი ამოცანების გადასაწყვეტად შშირად მიმართავენ რუკას.

### კარტოგრაფიული მეცნიერების პარტიულობა

კარტოგრაფიის ყველა ზემოთ მოყვანილ თვისებათა განხილვის შემდეგ არ შეიძლება არ შევჩერდეთ ამ მეცნიერების პარტიულობაზე, ვინაიდან დიდი ლენინი ჩვენ ყოველთვის ვგასწავლიდა, რომ არაპარტიულობა არის იდეა ბურჟუაზიული, პარტიულობა კი — სოციალისტური. კარტოგრაფია, როგორც მეცნიერების დარგი, რომელიც ხალხს ემსახურება, არ შეიძლება იყოს უპარტიო. „არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში, — წერდა ლენინი — და თავისუფალი იყო ამ საზოგადოებისაგან“ („Жить в обществе и быть свободным от общества нельзя“)<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ბოლშევიკური პარტიულობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეცნიერულ ცოდნას ემყარება. იგი ემყარება საზოგადოებრივი განვითარების პროგრესული და ამ განვითარების ხელისშემსრული ტენდენციების გამომჯდავნებას. დაიცვა ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპი — ნიშნავს დადგე საზოგადოების პროგრესული განვითარების გზაზე. ბოლშევიკები გულახდილად ამბობენ თავისი პარტიულობის შესახებ, ვინაიდან მათი იდეები და მინები განისაზღვრებიან ისტორიის აღმავალი სელით. ბოლშევიკური პარტიულობა ისტორიული სამართლიანობის უმაღლესი ფორმაა.

ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლები, პირიქით, ცდილობენ თავიანთი კასტური ხასიათი მიჩქმალონ „ობიექტურობისა“ და „ზექლასობრიობის“ ნიღბის ჭვეშ, ვინაიდან მათ არ ძალუდთ გულახდილად ამხილონ თავისი ჭეშმარიტი მისწრაფებები და მიზნები.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Соч. т. VIII, стр. 389.

ბოლშევიკური პარტიულობის ეს პრინციპები თავს იჩენს ლიტერატურაზე არაში, ხელოვნებაში და მეცნიერების ყველა დარგში, იგი ყველგან ფრენში მყენელ განსახიერებს პოულობს. იგი თავის განსახიერებას პოულობს ეპოქის ისეთ წარმონაქმნშიც, როგორც არის რუკა.

როგორც ამ ნაშრომის პირველსავე თავში აღნიშნეთ, საბჭოთა კარტოგრაფიის განვითარების პირველსავე ეტაპებზე დიდი ლენინი გვასწავლიდა ამ მეცნიერების ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპებსაც. იგი საბჭოთა კარტოგრაფებისაგან მოითხოვდა ისეთი რუკების შექმნას, რომლებიც გვიჩვენებდნენ კაპიტალისტური მსოფლიოს შიგნით არსებულ ურთიერთობათა წინააღმდეგობებს, იმპერიალიზმის ეპოქის წინააღმდეგობებს; გვიჩვენებდნენ ორი სისტემის, მომაკვლავი კაპიტალიზმისა და განვითარებაში შეოფ სოციალიზმის ურთიერთ დაპირისპირებას.

ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა კარტოგრაფია არ შეიძლებოდა მდგარიყოთ და არც დგას პროლეტარიატის კლასის იდეოლოგიური მიზნების გარეთ, მას ბურჟუაზიული თეორეტიკოსების მიერ ყბადალებული „ზეკლასობრივი“ მდგომარეობა არ უკავია; იგი კლასობრივია, პარტიულია და საზოგადოების პროგრესული განვითარების გზაზეა დამდგარი. იგი კომუნისტური საზოგადოების აშენების ისტორიული სამართლიანობის სამსახურში იმყოფება.

სულ სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტური ქვეყნების კარტოგრაფიაში. კერძო კაპიტალის ხელში მყოფ მეცნიერებისა და ტექნიკის ამ დარგს იქ არ შეიძლება პროგრესული მიზნები ჰქონდეს და ისტორიის აღმავალი, სამართლიანი გზით მიღიოდეს.

თუმცა კაპიტალისტური იდეოლოგები „ამჟკიცებენ“ მათი ლიტერატურისა, ხელოვნებისა და მეცნიერების „ზეკლასობრიობას“, „უპარტიობას“ და „ობიექტურობას“, მაგრამ ამ მტკიცების სამართლიანობის წარმოდგენაც პირ ძნელია, ვინაიდნ ეს მხოლოდ ნიღაბია იმისა; რომ დაფარონ თვიანთი რეპიული, გესლიანი მიზნები.

ლენინმა ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგების ეს მტკიცება მოჩვენებითი და მოტყუებითია. ი. რას ამბობდა იგი ამ ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ:

„Ваши речи об абсолютной свободе — одно лицемерие... Свободны ли вы от вашего буржуазного издателя, господин писатель? от вашей буржуазной публики...? ... Свобода буржуазного писателя, художника, актрисы есть лишь замаскированная (или лицемерно маскируемая) зависимость от денежного мешка, от подкупа, от содержания“<sup>1</sup>.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ბურჟუაზიულ ბეჭდვით სიტყვას აქვს წამოწყებითი, ვაჭრული ხასიათი, რომ ხელოვნება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გადაიქცა მოვებისა და სპეცულაციის საშუალებად.

<sup>1</sup> В. И. Ленин, Соч. т. VIII, стр. 387.

ყოველივე ზემოთქმული ბურჟუაზიულ, კერძო კაპიტალის ხელში შეიცემ კარტოგრაფიულ მეცნიერებასა და წარმოებასაც შეეხება, თუნდაც მარტინ იმიტომ, რომ რუკა მასობრივი აგიტაციისა, მასში ჩაქსოვილი იდეების გავრცელების მოხერხებული იარაღია, და ეჭვს გარეშეა, რომ კაპიტალისტური მსოფლიოს გაბატონებული კლასები, რომლებმაც ხალხს ქვემეხებისა და უშბარების გარდა თავისი იდეოლოგიის მთელი არსენალიც დაუპირისპირეს, ამ იარაღსაც წარმატებით იყენებენ.

ეს რომ ლიტონ სიტყვად არ მოგვეჩენოს, ჩემს თავს ნებას მივცემ შევჩერდე ერთ-ერთი ბურჟუაზიული იდეოლოგის ს. უ. ბოგზის ამ საკითხთან დაკავშირებულ, გეოპოლიტიკური შინაარსით გამსჭვალულ იმ სტატიაზე, რომელიც „რუკის პიპლობის“ სათაურით გამოქვეყნებული იყო ა. შ. შ. სახელმწიფო დეპარნამენტის ბიულეტენის 1946 წლის 22 დეკემბრის ნომერში<sup>1</sup>. ამ რას წერს ბოგზი ამ სტატიაში:

„რუკები ხშირად წინდახედულად გამოიყენებიან ხოლმე ხალხსა და ცალკეულ პირებში იდეების ჩასანერგავად. ყოველ მა ტერიტორიულ რუკების გამოყენება ხდებოდა და ახლაც ხდება მავნე ნახევრადჭეშმარიტებათა გავრცელებისა და ხალხთა აზროვნების ჩასანერებლივად. ისინი გამოიყენებიან როგორც გრაფიკული საშუალებანი იმისათვის, რომ შეუმჩნევლად უკარნახო ხალხს იდეა, დაარწმუნო, ან გაულვიძინ პატრიოტული ნაპერწკალი“.

ბოგზი აქ ნახევრად შენიღბულ ფორმაში, მაგრამ მაინც საკმარისი გულაბდილობით მიგვითითებს გაბატონებული კლასის მიერ თავისი რეაქციული მიზნების პოპულარიზაციისათვის რუკის გამოყენების შესახებ. საგულისხმოა, რომ მას, როგორც ამერიკული „უმწივლო“ კაპიტალის წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში მხედველობაში იქნება არა ამერიკული კარტოგრაფია, არამედ ფაშისტური, გერმანული და მისი სატელიტური. ეს აზრი ამ წერილს წითელ ხაზად მიკვება, ვინაიდან ფაქტიური მასალა, მაგალითები, სულ ევროპის სინამდვილიდან მოჰყენის. აღბათ, ამით უნდა შენიღბოს საკუთარი, ამერიკული კაპიტალის იგივე ცოდვები.

ბოგზი კარტოგრაფიის მიერ ამ სამარცხვინო ამოცანის მეთოდურ მხარესაც ოდნავ ეხება და წერს:

„ასეთი რუკები შეიძლება სრულიად სწორი იყოს ყველა მის დეტალებში, მაგრამ იმის გამო, რომ მათში გამოტოვებული იქნება ზოგიერთი რამ და ზოგიერთი კი ყალბად ხაზებსმული, ისინი შეიძლება საზოგადოებისათვის მავნენი აღმოჩნდნენ — ისევე, როგორც ქლორი, რომელიც მომწამლავი გაზია, მაგრამ ამავე დროს ჩვეულებრივი საჭმელი მარილის აუცილებელი ინგრედიენტი“.

აღბათ, იმის სიმპტომად, რომ კარტოგრაფიის შრომის ასეთი ბნელი ზრახვებით გამოყენება მარტო ამერიკაში კი არა, ევროპაშიც იყო გავრცელე-

<sup>1</sup> S. W. Boggs, Cartohypnosis: The Department of State Bulletin vol. XV, № 390, December 22, 1946.



ბული, ბოგზი იშველიებს გერმანელ პანს შნეიზერს და მისურუკებულების ნური კარტოგრაფიიდან“<sup>1</sup> შემდეგი ციტატა მოჰყავს:

„რუკის გამოყენება პროპაგანდისათვის დამოკიდებულია რუკათშედეგ-ნისა და გამოცემის მაღალ ტექნიკაზე, კარტოგრაფიულ სიმბოლოთა კითხვაში მასობრივი განათლების გარკვეულ მინიმუმზე და საზოგადოების სპეციალურ ორგანიზაციაზე“.

შემდეგ თვითონვე განმარტავს, რომ „ეს ორგანიზაცია მოკლედ შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც ისეთი, როდესაც ცალკე პირის ფუნქციონა-ლური დამოკიდებულება და ლოიალობა შორს გადის მისი უშუალო გამოცდი-ლების ფარგლების გარეთ“.

შემდეგ ბოგზი უფრო ავითარებს ამ აზრს და წერს:

„რუკებს შეუძლიათ უფრო გასაგები გახადონ მსოფლიოს ზოგიერთი ნიშნები და თვისებები, ანდა შეუძლიათ დაამახინჯონ ან უარპყონ ისინი... მათ შეუძლიათ გამოამჟღავნონ ცნობები, მაგრამ შეუძლიათ აგრეთვე დაფა-რონ ისინი. რუკა შეიძლება იყოს გამარჯვების სიმბოლო ან შურისძიების მომწოდებელი, პრეტენზიის გამომთქმელი იარაღი ანდა სიამაყის გამომსა-ხველი. ერთი სიტყვით, ისე ვრცლად გამოიყენებიან რუკები პროპაგანდისა. და სხვა ამგვარი მინენდისათვის, რომ ძნელი გასაგებია, რატომაა, რომ პრო-პაგანდის ანალიზატორები მას ასე ცოტა ყურადღებას აქვევენ“...

და, ბოლოს, მას მოყავს ციტატა, პანს შნეიზერის „ჯადოსნური კარტოგრაფიიდან“, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს იმ სიზიზლარ სიყალებს, რომლითაც ამინძურებენ კაპიტალისტური მსოფლიოს რეაქციული კლასები ამ ზუსტ მეცნიერებასაც.

ციტატაში ჩვენ ვკითხულობთ:

„რუკა არსებითად არის მეცნიერული დოკუმენტი. პროპაგანდისტი, რომელიც მით სარგებლობს, ამოფარებულია ამ მეცნიერების პრესტიჟს (ავტო-რიტერს) და ამავე დროს ძალმომრეობს მის არსზე“.

შნეიზერი აქ პროპაგანდისტის მიერ მეცნიერების ძალმომრეობაზე ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ძალმომრეობა მეცნიერებისადმი, მისი უმწიველოების შებღალვა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ამასთან, ეს არა მარტო პროპაგანდისტების მიერ ხდება, არამედ თვით იმ „მეცნიერთა“ მიერ, რომლებიც პყიდიან თავის ჭეშას და სინდისს კაპიტალის ყველაზე უფრო რეაქციულ წრეებზე.

„Общественное положение профессоров в буржуазном обществе — წеревы амис შესახებ დიდი ლენინ — таково, что пускают на эту должность только тех, кто продает науку на службу интересам капитала, только тех, кто соглашается против социалистов говорить самый невероятный вздор, бессовестнейшие нелепости и чепуху. Буржуазия все это простит профессорам, лишь бы они занимались „уничтожением“ социализма“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Magic Cartography“.

<sup>2</sup> В. И. Ленин, Соч. изд. 3-е т. XVII, стр. 243.

დაუუბრუნდეთ ისევ ბოგზს:

„ნაცისტური გეოპოლიტიკოსები — წერს იგი — ეფექტურად სარტყეშურიშვილი დანენ ჭიმერიული კარტოგრაფიით თავიანთი იდეების პროპაგანდისათვის... დოქტორ კ. ფრენკელმა, მიმართავდა რა იგი გერმანიის კარტოგრაფიულ საზოგადოებას 1938 წ. 22 ოქტომბერს, განაცხადა: „ყოველ რუკას აქვს შთა- გონების ძალა! ადამიანი ოკულარული არსებაა. ის რეაქციას იჩენს იმაზე, რასაც ხედავს და რასაც გაიგებს პირველსავე შეხებაზე“.

ბოგზს ზემომოყვანილ, ასე ვთქვათ, თეორიულ მსჯელობათა შემდეგ მოჰყავს მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ევროპაში კარტო- გრაფიულ შემოქმედებათა პროპაგანდისტული გამოყენება რეაქციული მიზნე- ბისათვის.

იგი წერს, მაგალითად, რომ იტალიაში მუსოლინის მიერ რუკა გამოყე- ნებული იყო ტერიტორიალური ექსპანსიის სტიმულიზებისა და ჩანერგვისა- თვის. რომ ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესო იყო რუკები, რომლებიც გაკეთებული იყო კედელზე, რომში, ვია იმპერიალეს ახალ ბულვარზე. ეს რუ- კები გაკეთებული იყო სხვადასხვა ფერის ჩრეული მარმარილოსაგან. მათზე მხატვრულის გემოვნებით გამოსახული იყო რომის ზრდა ქალაქის მდგომა- რეობიდან ავგუსტეს და ტრაიანეს იმპერიიდამდე. შიზანი იყო გარევეული, მეთოდი შზაკვრული — რომის სამფლობელოები ოდესისაც გარს ერტყო- დნენ ხმელთაშუა ზღვას, Mare nostrum (ჩვენი ზღვა) ისევ დგებოდა დღის წესრიგში.

იგი ლაპარაკობს აგრეთვე უნგრეთის რუკის შესახებ, რომელიც ცოც- ხალი ყვავილებისა და ფოთლებისაგან იყო გაკეთებული ბულაპეშტის პარკში. რუკის კიდეზე მადიარი პოეტი ქალის მგზნებარე სიტყვები იყო მწერით წარ- წერილი, იმ ადგილის თავზე კი, რომელიც უნგრეთის მიერ პირველ მსოფლიო მოში დაგარგულ ტერიტორიას გამოსახვდა, მგლოვიარობის ნიშნად უნგრე- თის ნაციონალური დროშა იყო ნახევრიდ დახრილი.

რუკის იგიტაციის იარაღად, ასე ვთქვათ, ლია გამოყენების ამ მაგალი- თების გარდა ჩვენ მრავალი ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ როგორ იყენებდნენ რუკას და საერთოდ კარტოგრაფიას მომაკვდავი კაპიტალიზმის გაბატონებული კლასები თავიანთი რეაქციული ზრახვების შესანიღბავად და „დასასაბუთებლად“.

ამ მხრივ საინტერესო მიუნხენის უნივერსიტეტთან არსებული გეო- პოლიტიკის ინსტიტუტი, რომელსაც ცნობილი ფაშისტი-გეოპოლიტიკისი ჰაუს- ჰოსტერი ხელმძღვანელობდა. ეს ინსტიტუტი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რიგითი საშუალო გერმანელის თავში გეოპოლიტიკური აზროვნების ჩვევები გამოემუშავებინა. ამ ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქვეყნის განათლების სისტემასთან. გერმანული კარტოგრაფიული სამსახური ამ ინსტი- ტუტის სააგენტოს წარმოადგენდა; აქ ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობით იქმნებოდა და იბეჭდებოდა საუკეთესოდ გაფორმებული ყალბი შინაარსის

რუკები და ატლასები, რომლებიც შემდეგ იაფ ფასებში საყოველთაო სარი-  
გებლობლობისათვის ვრცელდებოდა<sup>1</sup>.

კინ არ იცის, რომ ბურჯუაზიული დიპლომატია ყველგან და ყოველთვის  
ჯამბაზობს მოსახლეობის ნაციონალური შემაღენლობის ფაქტებით და რომ,  
მაგალითად, გერმანიაში შექმნილ და გამოცემულ ევროპაში გერმანული ენის  
გავრცელების ყალბ რუკებზე დაყრდნობით ფაზისტები ასაბუთებდნენ თავიანთ  
უფლებებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებზე<sup>2</sup>.

იგივე უნდა ვთქვათ თანამედროვე ამერიკელი გეოგრაფის — ჰენრი ინგ-  
ტონის რუკაზე, რომელიც თან ახლავს მისი გეოპოლიტიკური შინაარსის  
შრომას ცივილიზაციაზე კლიმატის გავლენის შესახებ<sup>3</sup>.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ არ შეიძლება არ დავხსკვნათ,  
რომ კარტოგრაფიულ მეცნიერებასაც, სხვა მეცნიერებათა მსგავსად, ახასია-  
თებს პარტიულობა.

### რამენისა სიჩვალე ამ გეოგრაფის გეოგრაფიისა და სახელმწიფოს შესახებ

კარტოგრაფიული მეცნიერების შედგენილობისა და სახელწოდების შესა-  
ხებ ამ დარგში მომუშავე მეცნიერთა შორის საერთო აზრი ჯერ არ დამყა-  
რებულა. ძნელია დაასახელოთ ორი ისეთი ავტორი, კარტოგრაფი, ოორუე-  
ტიკოსი, რომლებიც ამ მეცნიერების შედგენილობის შესახებ ერთს, შეთანხმე-  
ბულ არს გამოთვამენ; ჩვენ ხელთ არსებული მასალა ასეთ მაგალითს არ  
იძლევა. ყოველი ცალკე აღდებული ნაშრომი თავისი განვითარებულ განსაზღვრავს  
კარტოგრაფიაში შემავალ დარგთა ნომენკლატურას. ეს გარემობა გვაძლებს  
ჩვენ ან ხელალებით მივემხროთ რომელიმე მათგანს, ან და ჩვენი შეხედუ-  
ლება გამოვოქვათ.

ეს საკითხი გულდასმით აქვს დამშავებული გეოდეზიის, აეროგადაღე-  
ბის და კარტოგრაფიის მოსკოვის ინსტიტუტის რუკათ შედგენისა და რედიქ-  
ციის კათედრის გამგეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. სალიშ-  
ჩევს თავის წიგნში „Основы картоведения“.

სალიშჩევი განიხილავს კარტოგრაფიის შედგენილობის შესახებ მის  
წინ არსებულ განსაზღვრებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ განსაზღვრებს  
„აკადემიკოს ერთი საერთო ნიშანი, — კარტოგრაფიაში ისინი გულისხმობები  
რუკის შედგენისა და გამოცემის სამეცნიერო-ტექნიკურ პროცესთა ერთო-  
ბლიობას. [მაგრამ] საკითხის მეორე მხარე — უკვე მზა რუკის შესწავლა, მისი  
როგორც კარტოგრაფიული წარმოების პროცესში, ეპოქის წარმონაქმნის,  
კულტურისა და მეცნიერების იარაღის შესწავლა რჩება ამ განსაზღვრათა  
მხედველობის არის გარეთ“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. რასელ ფაიფოლდის „გეოპოლიტიკა მიუნხენში“ (Russell H. Fifeild, Geopolitics at Munich: The Department of State Bulletin vol. XII, № 513 June 24, 1945).

<sup>2</sup> იხ. И. С. Эзевич, Лекции по политической географии, читанные в ВДШ: СССР, лекц. первая, стр. 2.

<sup>3</sup> იხ. E. Huntington, Civilization and climate, London, 1935.

<sup>4</sup> იხ. К. А. Салишев, Основы картоведения, общая часть 1944 г. стр. 36.

ასეთი დასკვნისა და კარტოგრაფიის სხვა მეცნიერებებთან ქრისტიანული განსაზღვრის შემდეგ იგი „კარტოგრაფიას“ ჰყოფს რუკათ შეცოდნეობად, მათემატიკურ კარტოგრაფიად, რუკათ შედგენად და რედაქტირებად, და რუკათგამოცემად.

საგულისხმოა, რომ სალიშეევის მიხედვით კარტოგრაფიაში შემავალი: რუკათ მცოდნეობა შეისწავლის კარტოგრაფიის ისტორიას, საერთო ნაწილს (ე. ი. სწავლებას რუკაზე და განსაზღვრებს, რუკის ანალიზს) და კარტოგრაფიულ მასალებს.

მათემატიკური კარტოგრაფია — კარტოგრაფიული პროექციების თეორიას და კარტომეტრიას.

რუკათ შედგენა და რედაქტირება — ზოგადგეოგრაფიულ, ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ეკონომ-გეოგრაფიულ, ისტორიულ, სასწავლო და სხვა რუკათ შედგენას და რედაქტირებას.

რუკათგამოცემა — რუკის მექანიკური შექმნისა და გამრავლების ფოტოგრაფიულ და პოლიგრაფიულ პროცესებს.

მაგრამ, ვინაიდან 1946 წელს გამოცემულ გელიმინის „Картография“-ში (რომლის ხელნაწერი, როგორც ავტორი შესავალში აღნიშნავს<sup>1</sup>, გადასინჯული იყო სალიშეევის მიერ) კარტოგრაფიის შედგენილობის სხვა სტრუქტურაა მოცემული, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ეს საკითხი ჯერ შესწავლის პროცესში იმყოფება და აზრთა გაცვლა-გამოცვლას საჭიროებს.

გელიმინის მიერ მოცემული კარტოგრაფიის სტრუქტურა სალიშეევის სტრუქტურისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ცალკე დარგად ძვეს გამოტანილი კარტოგრაფიული პროექციები, რუკათა გაფორმება და კარტომეტრია; მმრიგად, გელიმინის მიხედვით კარტოგრაფია შედგება რუკათ მცოდნეობისა, კარტოგრაფიული პროექციებისა, რუკათა შედგენა-რედაქტირებისა, რუკათა გამოცვლისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას საჭიროებს.

როგორც ვხედავთ, საქმე დარგთა შემდეგი დეტალიზაციისაკენ მიდის.

მაგრამ, საქმე მარტო ამაში არაა, აქ უფრო სხვა პრინციპული საკითხი ისმის. საქმე ისაა, რომ გრაურს<sup>2</sup> კარტოგრაფიაში შეაქვს პრაქტიკული გეოდეზია (ტრიგონომეტრიულ და პოლიგონომეტრიულ ქსელთა თეორია) და ტოპოგრაფია (ტოპოგრაფიულ გადაღებათა თეორია). კომპოვს<sup>3</sup> კი შეაქვს მხოლოდ ტოპოგრაფია. სალიშეევი თავის „Основы картоведения“-ში (შეორე გამოცემა, 1944 წ.) ამ აზრის წინააღმდეგ გამოდის და ამბობს, რომ თანმიმდევრობის გულისათვის, მაშინ, კარტოგრაფიაში ფოტოგრამეტრიაც უნდა შეეიტანოთ<sup>4</sup>.

<sup>1</sup> А. В. Гедымин, Картография. 1946 г., стр. 4.

<sup>2</sup> А. В. Граур, Математическая картография, 1938. გვ. 7 და 10.

<sup>3</sup> Инж. Комков, Картография в среде географических наук. Сборник научно-технических и производственных статей по геодезии, картографии, топографии, аэрофотосъемке и гравиметрии, вып. I. 1941 г.

<sup>4</sup> Салышев, Основы картоведения, общая часть, 1944 г. стр. 38.

ჩვენ ვფიქტობთ, რომ პრაქტიკული გეოდეზიის შეტანა კარტოგრაფიული მართლაც არაფრით არაა დასაბუთებული, იგი მხოლოდ მას მონაცემებს შეუძლია ნებს დასაყრდენი წერტილების სახით და, მოითხოვს რა მათი განსაზღვრის საჭირო სიზუსტეს, მას შეუძლია სრულიადაც არ იყოს დაინტერესებული ამ წერტილთა განსაზღვრის თეორიული და პრაქტიკული გზებით.

მაგრამ სულ სხვა აზრისა ვართ ტოპოგრაფიის შესახებ და ამ მხრივ მთლიანად ვემხრობით გრაულ და განსაკუთრებით კი კომკოვს.

კომკოვი წერს, რომ „რუკები იქმნებიან მეცნიერული შრომის როული კომპლექსის შედეგად. ეს კომპლექსი იწყება გამოკვლევებითა და გაზომვებით ადგილზე (ბუნებაში) და მასალათა შერჩევის, დამუშავების და განზოგადების შედეგად მთავრდება რუკაზე მოცემული ტერიტორიის გამოსახულების მიღებით“<sup>1</sup>.

ტოპოგრაფის არ ძალუძა და არც შეიძლება დაუშვას ადგილმდებარეობის ყოველი დეტალის გადმოტანა რუკაზე, მას მხედველობაში აქვს რუკის დანიშნულება და მასშტაბი, იგი არჩევს გადასაღები ლანდშაფტის დამახასიათებელ ნიშნებს, შეიცნობს მათ და საჭირო განზოგადებით გადმოიტანს ქალალდზე; იგი კარტოგრაფია მინდორში, ხელსაწყოებად იყნებს გეოდეზიურ იარაღებს, ეყრდნობა გეოდეზიურ მონაცემებს, ხშირად მასალად იყნებს აეროფოტოგრადალების სურათებსაც და სტატისტიკურ მონაცემებსაც. რუკასთან ერთად ადგილზე ჰქმნის ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიულ დახასიათებას, რომელსაც ტექსტის სახით თან ურთავს მას.

როცა საშემ უფრო წვრილ მასშტაბს ეხება, მაშინ ტოპოგრაფი ვეღარ ახერხებს რუკის უშუალოდ ადგილზე შექმნას და მუშაობა კამერალურ პირობებში გადააქვს, ამ მომენტილან მას კარტოგრაფი ეწოდება.

ტოპოგრაფიისა და კარტოგრაფიის „აქამდე არსებული დაყოფა და ურთიერთდაპირისპირება უნდა იყოს მიჩნეული მცდარი და ხელოვნური“ — ამბობს კომკოვი ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ სტატიაში.

„რუკის შექმნის ყველა შეთოდები — დასხენს შემდეგ იგივე ავტორი — უნდა განხილულ იქნეს როგორც ნაწილები ერთი მთლიანისა, ისინი უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული და მხოლოდ ეს მისცემს კარტოგრაფიას, როგორც მეცნიერებას, მეთოდოლოგიურ ერთიანობას“.

განა ასე არ არის გეოგრაფიულ მეცნიერებათა სხვა დარგებშიც? განა გეომორფოლოგიური აგეგმვა, მაგალითად, და გეომორფოლოგიური კარტირება ორივე გეომორფოლოგიის შემაღენებლი დარგები არ არიან? ან თუ გინდგეოლოგიური აგეგმვა და გეოლოგიური კარტირება და სხვა.

ასევე უნდა იყოს ჩვენის აზრით კარტოგრაფიაშიც.

რაც შეეხება სალიშჩევის მიერ იმის თქმას, რომ თანამიმდევრობის გულისათვის გაშინ კარტოგრაფიაში ფოტოგრამეტრიაც უნდა შევიტანოთ, ეს სრულიად არაა სწორი ანალოგია. ამას კარტოგრაფიული ან ტოპოგრაფიული და ფოტოგრაფიული გამოსახულებების გაიგვებამდე მივყავართ.

<sup>1</sup> იხ. კომკოვის იგივე შრომა.

აერო-ფოტოსურათი დედმიწის ზედაპირის ამა თუ იმ ნაშილის ასლა /  
ფოტო-მექანიკური ხერხით მიღებული. ამ ასლს ტოპოგრაფი ისევე მეცნიერებული  
როგორც კარტოგრაფი მსხვილმასშტაბიანი კარტოგრაფიული მასალის ლურჯ  
ფოტოსასლებს შერილმასშტაბიანი რუკის შესადგენად. ამ საქმეში ტოპოგრა-  
ფიასაც და კარტოგრაფიასაც ფოტოტექნიკის მიღწევები ემსახურებიან.

ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ ვფიქრობთ, რომ ტოპოგრაფია ანუ  
კარტოგრაფიულის სავალე მეთოდები კარტოგრაფიის დარგად უნდა იქნას  
მიჩნეული. მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება, ჩვენს ხელთ არსებული მასალე-  
ბის განხილვიდან იმ დასკვნამოე მივდიგარო, რომ კარტოგრაფიული მეცნიე-  
რების დარგებად დაყოფის სტრუქტურა მაინც ერთ არსებით ნაკლს შეიცავს.

მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ კარტოგრაფიული გენე-  
რალიზაციის თეორია ჯერ კარტოგრაფიის ცალკე დარგად გამოყო-  
ფილი არაა. ჩვენ უფლება გვაქვს ეს საკითხი უკვე საკმაოდ მომწიფებულად  
ჩავთვალოთ, ვინაიდან ამჟამად გენერალიზაციის დარგში კარტოგრაფიის მიღ-  
წევათა გეოგრაფიაში გადატანაც კი ხდება.

აյ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნ. ნ. ბარანსკის ცნობილი ნაშრომი —  
„Генерализация в картографии и в географическом текстовом описании“<sup>1</sup>.

ამ ნაშრომში ავტორი წერს:

„... учение о генерализации прежде всего и потребовалось и разви-  
лось именно в картографии.

Но карта есть лишь „второй язык географии“, а потому вполне есте-  
ственno, что термин „генерализация“ переносится и в географическое опи-  
сание. И поскольку в картографии учение о генерализации уже успело  
сложиться, вполне естественно в работе над вопросом генерализации тек-  
стового географического описания учитывать то, что в этом отношении  
уже сделано в картографии“<sup>2</sup>.

აյ ბარანსკის ცოტა გადაჭარბებულად აქვს ნათებები. სწავლება გენე-  
რალიზაციის შესახებ კარტოგრაფიაში ჯერ არ ჩამოყალიბებულა, თარებ იგი  
უკვე ცალკე დარგად იქნებოდა გამოყოფილი. რუკების შედეგის დროს ჯერ  
კიდევ არაა შემეცნებული მასშტაბისა, რუკის დანიშნულებისა და ლანდშაფ-  
ტის თავისებურებათა მიერ გამოწვეული კანონზომიერებები; ჯერ კიდევ ადგილი  
აქვს განხოგადების ხარისხის განსაზღვრის ემპირიულ შეთოდებს, როდესაც  
რუკების „დატვირთვისა“ და „გადატვრირთვისა“ ან „დაუტვირთობის“ გან-  
საზღვრის დროს წინა პლანზე გამოდიან ცალკეულ პირთა სუბიექტური შეხე-  
დულებანი.

ყოველივე ამის გამო ვამბობთ, რომ გენერალიზაციის თეორია  
კარტოგრაფიაში შემავალ ცალკე დარგად უნდა გამოიყოს და თავის მხრივ  
დაიყოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტის კარტოგრა-  
ფიული გენერალიზაციის თეორიად და სოციალურ-ეკონო-

<sup>1</sup> МГУ, Ученые записки, вып. 112, География, книга вторая, 1946 г.

<sup>2</sup> იქვე: გვ. 182.

მიურ-გეოგრაფიული დანდშათტის კარტოგრაფიული გუნდის  
რაღიზაციის თეორიად.

ცხადია ყოველი მათგანი კიდევ დაიყოფა, პირველი — რელიეფის, ჰიდრო-  
გრაფიის, ნიალგ-მცენარეული საფარის და სხვა გენერალიზაციად; მეორე —  
გზებისა, დასახლებული პუნქტებისა და სხვა ეკონომიურ და პოლიტიკურ  
მონაცემების გენერალიზაციად.

ამ შენიშვნების შემდეგ უადგილო არ იქნება საქმე კარტოგრაფიის  
სტრუქტურის შესაფერისი სქემის მოყვანით დავამთავროთ. შაგრამ ვიდრე ამას  
ვიზამდეთ, გვინდა შევნიშნოთ, რომ სალიშევის მიერ რუკათმცოდნეობის  
კარტოგრაფიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად დასახვა მიზანშეწონილი არ  
უნდა იყოს.

საქმე ისაა, რომ ტერმინი — რუკათმცოდნეობა უფრო ფართო  
ცნებას შეეფერება, ვიდრე მას სალიშევი აკისრებს. რუკათმცოდნეობის და-  
სახვა კარტოგრაფიის შემადგენელ ნაწილად არაფრით არაა გამართლებული.  
თუ ამ ტერმინს ხმარებაში შევიტან, მაშინ მის ორგანიზი უნდა შევიტანოთ  
ყოველივე ის, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია რუკების დარგში, რუკათმცოდ-  
ნეობის დარგში.

სწორედ ასე უნდა გვესმოდეს ჩვენ რუკის შესახები მეცნიერების სახელი  
აკადემიკოს ლ. ს. ბერგის შემდეგი სიტყვებიდანაც:

“В настоящее время изучение географической карты, методов его  
построения, способов съемки и изображения всех элементов географиче-  
ского ландшафта, история, систематика и классификация, техника состав-  
ления, черчения и размножения и другие специальные вопросы, с ней  
связанные, являются предметом особой дисциплины — картоведения или  
науки о географической карте”<sup>1</sup>.

იმავე აზრს იზიარებს ს. გ. ცხაკაია, რომელიც თავის „რუკათმცოდ-  
ნეობის საფუძვლებში“ (ხელნაწერი) მე-19 გვერდზე წერს:

„რუკის შესახებ ყველა საკითხების მომცველ მეცნიერებისათვის მართე-  
ბული იქნება დამყარდეს უფრო ფართო ცნების მქონე სახელი „რუკათმცოდ-  
ნეობა“, ნაცვლად „კარტოგრაფიისა“.

თუ სახელწოდების ამ საკითხს შეთანხმებულად ჩავთვლით, მაშინ  
რუკათმცოდნეობის სტრუქტურის ჩვენს სქემას შემდეგი სახე ექნება  
(იხ. მომღევნო გვერდი).

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გეომორფოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1949. IV. 19.).

<sup>1</sup> Л. С. Берг, География: БСЭ, том 15, 1929 г.

କୁଳପାତ୍ର ସାଥେ ଦେଖିଲାମ କୁଳପାତ୍ର (ଭୃତ୍ୟକର୍ମକାରୀ ଯମିଶରାତ୍ରାଯାତ୍ରା କୁଳପାତ୍ର ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ)

ଶ୍ରୀପାତ୍ର ସାଥେ ଦେଖିଲାମ କୁଳପାତ୍ର ଯମିଶରାତ୍ରାଯାତ୍ରା କୁଳପାତ୍ର ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ

### I. ବ୍ୟାଙ୍ଗକାଣ୍ଡରୁଣ୍ଡ ରାଜ୍ୟ ପାଇନାରୀଙ୍କ

1. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

2. ରାଜୁପାତ୍ରଶୈଳିଭିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

3. ରାଜୁପାତ୍ରଶୈଳିଭିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

### II. ବ୍ୟାଙ୍ଗକାଣ୍ଡରୁଣ୍ଡ ରାଜ୍ୟ ପାଇନାରୀଙ୍କ

ରାଜୁପାତ୍ର ଶ୍ରୀପାତ୍ର

III. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

1. ରାଜୁପାତ୍ର ଶ୍ରୀପାତ୍ରଭିନ୍ଦୁ ରାଜୁପାତ୍ରଭିନ୍ଦୁ

2. ରାଜୁପାତ୍ରଶୈଳିଭିନ୍ଦୁ ରାଜୁପାତ୍ରଶୈଳିଭିନ୍ଦୁ

3. ରାଜୁପାତ୍ରଶୈଳିଭିନ୍ଦୁ ରାଜୁପାତ୍ରଶୈଳିଭିନ୍ଦୁ

### III. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

ରାଜୁପାତ୍ର ଶ୍ରୀପାତ୍ର

1. ମାତ୍ରମାତ୍ରପାତ୍ର

2. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

3. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

4. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

5. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

6. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

7. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

8. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

9. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

10. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

11. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

12. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

13. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

14. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

15. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

16. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

17. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

18. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

19. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

20. କାର୍ତ୍ତିକାରୀଜୀବିନ୍ଦୁ ପାଇନାରୀଙ୍କ

**А. Ф. Асланиашвили**

## Картография и ее предмет

### Резюме

1. Картография ограничивалась прежде теорией картографических проекций и техникой заполнения сети меридианов и параллелей, подробностями земной поверхности, получаемыми из топографических съемок. Такая картография вполне сочеталась тогда с общим уровнем развития географической науки вообще, т. к. описательная география, всегда успешно пользовавшаяся картой, как удобным методом изложения своего материала, сама почти ничего не давала картографии для ее пополнения и усовершенствования.

Действительность показала, что наряду с географией, достигшей в нашей стране истинно научного уровня своего развития, развилась новая, советская картографическая наука, озаренная идеями В. И. Ленина. Методологическими основами советской картографии послужили указания В. И. Ленина, изложенные в письме Павловичу от 31. V. 1921 г. о создании советского географического атласа.

Созданные советской картографической наукой и техникой первые два тома БСАМ, показали высокий уровень советской картографической науки, обеспечивший подлинно научное изображение мира, в свете Марксистко-Ленинского анализа мировых хозяйственных и политических отношений.

Несмотря на все огромные успехи советской картографической науки, она не закончила еще свое формирование и находится в процессе становления.

2. Построение правильного картографического изображения основывается всегда на синтезе астрономических, геодезических и топографических измерений, с одной стороны и физ.-географических и эконом.-географических исследований с другой. Следовательно, карта, которая правильно изображает все характерные черты географического ландшафта, присущие данной территории, является продуктом сотрудничества географической науки и техники. Такая карта, являясь, таким образом, результатом правильного географического познания территории, является также самым необходимым средством для дальнейшего углубления этого познания, так как она дает географии неограниченные возможности для установления пространственных взаимосвязей явлений и для научных выводов в географическом исследовании.

Эта тесная диалектическая взаимосвязь и взаимодействие, существующие между географией и картографией, определяют принадлежность последней к циклу географических наук.

3. Когда успехи географической науки не были еще осознаны и распространены в картографии, в частности в картосоставлении, построение научно обоснованного картографического изображения представлялось почти невозможным. Картографическая генерализация осуществлялась эмпирическим путем и зависела только от масштаба карты, ее назначения и субъективных усомнений и манеры работы картографа. Но с тех пор, как в географии расширилось учение о комплексном изучении стран, с целью выделения ландшафтов с установлением взаимосвязей между существующими в них явлениями, от картографии требуется уже изображение, построенное на основе географически обоснованных правил генерализации.

В картографической литературе и наставлениях по составлению карт все чаще и чаще появляются методические указания об этих правилах генерализации; они охватывают все элементы ландшафта и становятся необходимым руководством при составлении специальных и, особенно, общегеографических карт.

История развития картографической науки показывает усиление ее взаимодействия с географией. Научное развитие последней способствует развитию теории картографической генерализации, которая освещает пути картографической практики. На основе этой теории картография в свою очередь совершенствует географическую карту, как необходимое орудие для дальнейшего развития географической науки.

4. Картография как наука имеет свое, совершенно определенное содержание, свой собственный метод познания и изложения выводов, имеет актуальное научное и, особенно, огромное практическое значение. Особенными чертами картографии являются весьма тесная связь теории и практики, своеобразное решение вопроса времени на картографических изображениях, связь с изобразительным искусством, которое она использует для своих целей, и тесная научная связь с другими естественными, математическими и социальными науками, которые постоянно прибегают к услугам карты.

5. Кроме указанных свойств картографической науки, ей свойственен сугубо партийный характер. Партийность этой науки заключается не только в том, что карта представляет, по К. А. Салищеву, отражение определенной ступени в развитии общественно-экономических отношений и является произведением эпохи, орудием культуры и науки, но и в том, что она является также удобным средством массовой агитации, удобным способом распространения воплощенных в ней идей.

В. И. Ленин указал привципы большевистской партийности в этой науке; это указание означало, что советская картография не могла и не

должна была оставаться за пределами идеологических устремлений предела тарната. И действительно, эта наука носит у нас вполне партийный характер и следует пути прогрессивного развития общества. Она находится у нас на службе дела построения коммунистического общества. В капиталистических странах картография, находясь в руках частного капитала, не может иметь прогрессивных задач и двигаться вперед по пути справедливости.

В буржуазной печати нередко проскальзывают, а в ряде случаев просто широко популяризуются, работы буржуазных "ученых" (Боггза, Шнейзера, Файфильда, Гентингтона и др.), несомненно доказывающие, что господствующие классы империалистического мира, кроме бомб и орудий направляют против народа также весь арсенал своей реакционной идеологии, не отказываются от использования карты в агрессивных целях.

6. Самой распространенной и сравнительно полной в Союзе, среди многочисленных систем структуры картографической науки в настоящее время, является система К. А. Салищева, согласно которой картография подразделяется на картоведение, математическую картографию, составление и редактирование карт и издание карт.

Такое деление является научно обоснованным и современным, но, по мнению автора данной статьи, еще не полным по двум соображениям:

а) Поддерживая мнение некоторых авторов (А. Граур, А. Комков), автор статьи считает, что имеется полное основание рассматривать топографию как одну из составных дисциплин картографической науки. Развитие методов современной топографической съемки приводит к необходимости рассматривать работы топографа и картографа как отдельные части, отдельные моменты единого комплекса создания карт, и отказаться от существующего до сих пор искусственного разделения и противопоставления картографии и топографии.

б) Теория картографической генерализации является сильнейшим орудием в руках картографов и топографов. Отдельные вопросы этой теории возникали и изучались до сих пор во всех случаях съемки или составления карт. В картографии уже накопилось достаточное количество фактического материала по картографической генерализации, чтобы заложить основу самостоятельной отрасли картографической науки — теории картографической генерализации, т. к., выражаясь словами Н. Н. Баранского, "в картографии учение о генерализации уже успело сложиться".

На самом деле, пока, у картографии не имеется еще стройного, обобщающего учения о теории картографической генерализации, но несомненно наличие отдельных плодотворных зчатков ее, которые в самом ближайшем будущем могут превратиться в единое стройное учение о картографической генерализации. Поэтому необходимо выделить теорию картографической генерализации в отдельную отрасль картографической науки.

В заключение статьи автор считает целесообразным дать всей ~~науки~~<sup>науке</sup> о карте более обобщающее название „Картоведение“ (которое, по <sup>У. А. Са</sup> лищеву, было присвоено одному из разделов этой науки) и дает следующую схему структуры картоведения:

### КАРТОВЕДЕНИЕ (наука о географической карте)

содержит 3 основных части, которые делятся в свою очередь на отдельные отрасли:

#### I. История географической карты

1. История картографии, способы их изображения.
2. История картосоставления.
3. История картоиздания.

#### II. Общая часть, учение о карте

1. Элементы карты, способы их изображения.
2. Классификация карт и атласов.
3. Анализ карты и изучение картографических материалов.

#### III. Картография

1. Математическая картография:
  - а) теория картографических проекций;
  - б) картометрия;
  - в) астрономическая картография.
2. Теория картографической генерализации:
  - а) генерализация физико-географического ландшафта;
  - б) генерализация социально-экономического ландшафта.
3. Топография (полевые методы картографирования).
4. Методы картосоставления и редактирования:
  - а) общая часть;
  - б) комплексные общегеографические карты;
  - в) специальные карты;
  - г) учебные карты.
5. Картографическое искусство, оформление карты.
6. Издание карт.

გ. ზარდალიშვილი

კლებობის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახალხოდების  
დაზენისათვის

ჩვენს ამოცანას შეადგენს ზოგივრო ქართული წარმოშობის გეოგრაფიული  
სახელშოდების დადგენა კლუხორის რაიონში<sup>1</sup>, ზოგიერთი მათგანის სტრუქტურის,  
მნიშვნელობისა და წარმოშობის გამორჩევა (ფილოლოგიური ანალიზი).

ცხადია, მარტო ტოპონიმიკით შეუძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა  
და კლუხორის რაიონის ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობის დადგენა  
საქართველოსთან, რადგანაც ტოპონიმიკა ზოგჯერ შეიძლება შეცდომების  
წყაროდაც იქცეს, მაგრამ ტოპონიმიკის გათვალისწინება სხვა მომენტებთან  
ერთად სიფუძველს გაძლევს დადგებითად გადავჭრათ აღნიშნული საკითხი.

ვიდრე კლუხორის რაიონის გეოგრაფიულ სახელშოდებათა ტოპოლოგიურ ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭირო აღვნიშნოთ ყველა ის ძირითადი  
საკითხი, რომელიც საკვლევი ობიექტის ისტორიულ-ეკონომიკურ კავშირს  
გვიმტკიცებს საქართველოსთან. ასეთებია:

ა) კლუხორის რაიონის სასაზღვრო და ხელსაყრელი მდებარეობა ჩრდილო  
კავკასიასა და დასავლეთ საქართველოს ზორის, იგრეთვე მთელს დასავლეთ  
კავკასიონშე აღვილად მისადგომი — კლუხორის გადასასვლელს არსებობა;

ბ) სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობები (ვახუშტი, პალასი,  
ტარასოვ-ლიაჩოვი, ბერნადაცი და სხვ.);

გ) ობერდის ხეობაში (კლუხორის გადასასვლელიდან სოფ. ხუმარამდე)  
გაბნეული ქრისტიანული წარმოშობის ძეგლები;

დ) ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელშოდებები.

ცნობილია, რომ დას. საქართველოში აღილი იქცს ჩრდ. კავკასიის ხალხების, კერძოდ ჩერქეზულ (ადილეური) ელემენტების გავლენას, რაც საკმაოდ  
დამაჯერებლად დასაბუთა განსენებულმა აკადემიკოსმა სიმ. ჯანაშიამ [3],  
მათ ზორის არსებობა ორი ჩერქეზული (ადილეური) მორფოლოგიური ტიპისა  
„ფსა“ და „უფა“. ამით ნაწილობრივ დასტურდება ისტორიამდელ ჩერქეზული  
(ადილეური) მოსახლეობის არსებობა დასავლეთ საქართველოში, მეორე მხრივ,

<sup>1</sup> აღნიშნული სტატია წარმოადგენს ავტორის კვლევა-ძიების შედეგს 1948 წლის ზაფხულში კლუხორის რაიონში მოწყობილი ექსპედიციისა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტიდან.

ყველა საფუძველი გვაქვს ვითიქროთ, რომ არა ნაკლებ ძლიერი იყენებული გავლენა საკულტურული მათ გეოგრაფიულ სახელმწიფო მიმღებად ფილოლოგიურ და ეტიმოლოგიურ ანალიზს სწორედ ამ დასკვნამდე მივყავართ.

კლუხორის რაიონში, ისევე როგორც მიმდებარე კუთხებში, ჩერქეზული წარმოშობის სახელწოდებები სჭარბობს. მათი ტოპონიმიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყარაბაღელების აქ დასახლებამდე გავრცელებული იყო ქართულ-აფხაზურ-ჩერქეზული გეოგრაფიული სახელწოდებები, მაგრამ მათი დასახლების შემდეგ ეს სახელწოდებები განდევნილ და შეცვლილ იქნა თურქული წარმოშობის სახელწოდებებით, თუმცა რიგი სახელწოდებები იმაზე მიგვითითებენ, რომ ასეთი ნაწილობრივ მაინც შერჩა აქ. ამიტომ ამ უკანასკნელთა დადგენა შედარებით ძნელია, აღდგენა (ისიც ნაწილობრივ) შესაძლებელია მხოლოდ ლინგვისტური ანალიზის შედეგად.

კლუხორის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სადაურობის დადგენა და მათი ახსნა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა, ჩვენ მხოლოდ გავარჩევთ ზოგიერთ იმ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რომელთა ქართველური წარმოშობის გამორკვევა ახლავე შესაძლებელი ჩანს. ასეთებია:

1. კლუხორი, 2. სენტი, 3. ოებერდა, 4. შუანა, 5. ხატიფარა, 6. მუხუ.

კლუხორი (ქლუხორი), გადასასვლელი აფხაზეთიდან ოებერდის ხეობაში (2816 მ. ზღ. დ.), ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, აღვილად მისაღვომი და უმოკლესი გზა დასავლეთ საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში. ამ გადასასვლელით ძველთაგანვე სარგებლობდნენ ბერძნები და რომაელები, ბიზანტიელები და თურქები; გენუელები და ვენეციელები, დასავლეთ საქართველოს ხალხები.

ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარშიც თურქები კლუხორის გადასასვლელით აჭარმოებდნენ მონებით ვაჭრობას და ამ გზით ქ. ხუმარიდან მონებს თურქეთში აგზავნიდნენ. 1877 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსების გარნიზონება ქ. სოჭუმიდან კლუხორის გადასასვლელით დაიხსნა ჩრდილო კავკასიისაკენ და შემთხვევითი არაა ის ფაქტიც, რომ XIX ს. ბოლოს რუსეთმა სწორედ ამ მიმართულებით გაიყვანა პირველი, შედარებით კეთილმოწყობილი გზა, რომელსაც სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, ისტორიულად კლუხორის გადასასვლელი იყო ვაჭრობის დიდი ემპორიუმი ჩრდილოეთისა სამხრეთიან, სტეპებისა შავ ზღვასთან. მართლაც, ძველთაგანვე „Диоскурия служила конечным пунктом наиболее удобного важнейшего торгового пути по р. Кодор через урочище Даль к Марухскому и Клухорскому перевалам и дальше на Северный Кавказ, в долины Зеленчука и Теберды“<sup>1</sup>. უპირატესად ამ გზით გავრცელდა ქრისტიანობა და ცივილიზაცია საქართველოდან ჩრდილო კავკასიის ხალხებში, განსაკუთრებით ჩერქეზებში, ამას პირველ რიგში აღსატურებს თებერდის ხეობაში დიდი რაოდენობით არსებული ქრისტიანული წარმოშობის ძეგლები, რასაც მიმდებარე

<sup>1</sup> А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, ч. I, Сухуми, 1934 г., стр. 57.

რაიონებში თითქმის არ ვხვდებით. ალბათ, ამით აისანება ზოგიერთი ქართული ჭარბოშობის გეოგრაფიულ სახელშოდებათ არსებობაც ამავე ხეობაში დაიმედი.

აღნიშნული გზა განსაკუთრებით ცნობილი იყო კოლხების პერიოდში, ამიტომ შესაძლებელია ამ გადასასვლელმა სახელშოდება კოლხებისაგან მიიღო, რადგანაც ეს უკანასკნელნი ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელად ძირითადად ამ გზით სარგებლობდნენ.

ხუთვერსიან და უფრო აღრინდელ რუკებზე ეს გადასასვლელი აღნიშნულია სახელშოდებით კოლხარა (Kolxara). ამრიგად, გვაქვს ვარიანტი:

### კლუხ-ორ, კულხ-ორ, კოლხ-ორ.

აქ საქმე გვაქვს ერთი მხრით ხმოვან „ო“-ს „უ“-დ გადაქცევასთან და მეორე მხრით მათ გადაადგილებასთან ორ თანხმოვანს „ძ“ და „ლ“-ს შორის, მით უფრო, რომ ქართულ ენაში დასაშვებია ხმოვანის ამოვარდნა ორ თანხმოვანს შორის და მათი გადაადგილება მეორე თანხმოვანის შემდეგ (მივიღოთ კლუხორი, ნაცვლად კულხ-ორისა). შესაძლებელია პირველ-დაწყებითი ფორმა იყო „კოლხ“ და არა „კლუხ“ (ბერძნულად Κολχος) და გარდა იმისა, რომ ასეთი გეოგრაფიული სახელშოდება გვხვდება დასავლეთ ქავკასიონზე (კოლხორი — კლუხორი), არის სამხრეთითაც. ამჟამად თურქეთის მიერ მიტაცია ბულ ქართულ ტერიტორიაზე არის ქალაქი კოლხანლარ (კოლხ, სუფიქსი ან, ხოლო ლარ — მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელია). პლინიუსის ცნობით არსებობდა აგრეთვე ქ. კოლხინიუმ-იც (Colchinium).

დაბოლოება „ორ“ სუფიქსია. გეოგრაფიული სახელშოდებები ასეთი სუფიქსით მრავლად გვხვდება, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში, მაგალითად:

- კომბ-ორ-ი (ქედი),
- კოდ-ორ-ი (მდინარე),
- წილ-ორ-ი (ს. აბაშის ო.),
- თხმ-ორ-ი (ს. ამბროლაურის ო.),
- შა-ორ-ი (მდ. ამბროლაურის ო. და ტბა ჯავახეთში),
- სულ-ორ-ი (მდ. ვანის ო.),
- ილ-ორ-ი (ს. აჩემჩირეს ო.),
- თიქ-ორ-ი (მდ. ზუგდიდის ო.),
- კოხ-ორ-ი (ს. გალის ო.; ძალიან უახლოვდება კოლხ-ორ-ს) და სხვ.

ამრიგად, კლუხორი ან კოლხორი (კოლხ || კლუხ) ჩვენი აზრით ქართული ჭარბოშისაა და მომდინარეობს „კოლხ“-ის სახელშოდებისაგან<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სამწუხაროდ, ამ გადასასვლელის ძველი სახელშოდება ჯერჯერობით ისტორიულ წყაროებში ეკრ აღმოვაჩინეთ. ბერნადა ცის [5] ცნობით 1367 წ. გამოცემულ ეკნეციურ რუსებზე ნაჩვენებია უსახელო გზა ამ გადასასვლელით, აღნიშნულია ტბები, მდ. უზბანი, ე. ი. კლუხორ-ტებერდის გზა საქმაოდ ცნობილი იყო იმ დროს, თუმცა ამ სახელშოდებით რაომ-დაც არ არის მოხსენებული.

**სენტი** — სოფელი (უწინ ზემო თებერდა). ვახუშტი ბატონქეშვილი ცნობით სენტი იყო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ერთ-ერთმა ტერიტორია. აյ ასებული ძევლი საყდარი ორნამენტის ტიპითა და ფრესკების ტექნიკით საქართველოს ძლიერების ეპოქას, X—XI ს. ს., მიეკუთვნება. აյ ნაპოვნია ბერძნული მონქტები კონსტანტინეს და ბასილის ეპოქისა.

შესაძლებელია „სენტი“ წარმოსდგა „სინტი“-სგან (Sintes), ტომის სახელისაგან, რომელსაც ისესნიებენ ჰომეროსი, აპოლონიოს როდოსელი და ორუევსი კროტონელიც (პოემაში არგონავტების შესახებ).

დასაშვებია, რომ ამ ადგილმა და ეკლესიამ მათი სახელი მიიღო, მაგრამ ეს დებულება თავისთავად ეჭვს იწვევს.

როგორც უკვე აღნიშნეთ, თანამედროვე კლუხორის რაიონის ტერიტორია ისტორიულად ქართველი. ტომების (სვანების) გადლენის ქვეშ იყო. ზემო სვანების რაიონული ცენტრის მესტიას<sup>1</sup> ძევლი სახელწოდებაა „სეტი“, რაც სვანურ ენაშე ნიშნავს ადგილს, სადაც ხალხი იქიდება, ხდება ლოცვა, ტარდება დღეობა და ა. შ. კლუხორის რაიონის ეკლესია „სენტი“ (სვანურ და საერთოდ ქართულ ენაში კი ნ ადგილად ვითარდება) — სოფ. თებერდის პირდაპირ — მაღალი მთის მოვაკებულ ადგილზეა გაშენებული. სიტყვათა მსგავსებას, სტრუქტურასა და მნიშვნელობას იმ დასკვნამდე მივყაროთ, რომ სენტი და სეტი ერთი და იგივეა და ქართული (სვანური) წარმოშობისაა.

თებერდა (ტებერდა) — ხეობა და მდინარე. ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით შემდეგი ორი მოსახრებაა:

ა) შესაძლებელია სახელი მიიღო აფხაზთა შეომარი ტომის „ცებელდა“-საგან (Tsebeldiens), რომლებიც ძევლად კორაქსინების სახელწოდებით იყენენ ცნობილი, ცხოვრობდნენ მდ. კოდორის ხეობაში; მათი ნაწილი კავკასიის ქედს გადაღმა გადასახლდა, დააბარეს აული ჯამაათი და ჯერ კიდევ 1860-იან წლებში დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსთა ჯარებს.

დიუბუა აღნიშნავს, რომ ცებელდელთა შთავარი სოფელები იყო „და (ან „დალ“) „ორინპური“, „ამტკეტი“ ან „ამტკელი“ (ამ სახელწოდებით დღესაც არის გადასასვლელი; ქედი, ტბა და მდინარე გულრიფშის რაიონში), „მაკრამბა“ და სხვ., აქედან ორი გზა მიღიოდა კავკასიონის ქედზე.

ყველაზე დიდ სოფელ „და“ („დალ“)-დან ორი ვიწრო ხეობით გზა გადიოდა მარცხის მცველვალის მახლობლად. შემდეგ ორივე გზა ზელენჩუკის ხეობაში ერთდებოდა. ცხადია, აյ ლაპარაკია კლუხორის გადასასვლელსა და თებერდის ხეობაზე ერთის მხრივ და მახარის გადასასვლელსა და ყუბანის ხეობაზე მეორე მხრივ, რომლებიც ქ. კლუხორთან ერთდებიან. „აღნიშნული გადასასვლელები, — წერს დიუბუა, — კავკასიის უძველესი გზებია. ამ გზებით ხდებოდა ძირითადი გაჭრობა და ციფილიზაციის გაცვლა-გამოცვლა კავკასიასა და გადაღმა მხარეს შორის [7].

<sup>1</sup> აქაც, მსგავსად კლუხორ-კოლხორისა, ადგილი აქვს სმოვან ე-ს გადანაცვლებას 6—ტ-ს შორის (ტ)ესტ // (ტ)სეტ.

და (ან დალ) ან თა ადგილზე მიგვითითებს და მიგვაჩნია იმ ელემენტად, რაც გვაქვს „წებელდა“ სიტყვაში. მაგ., გუდაუ-თა, გუმის-თა, ბიჭვინთავასთავის დაც თა ადგილის მაწარმოებელი სუფიქსია. თანხმოვანი „ლ“ — წებელდაში ადვილად შეიძლება გადაიქცეს „რ“-თ და მიგიღებთ „წებერდას“ ნაცვლად „წებელდას“, რაც შექმნა პირველ ასოს „ტ-წ-ც“, მათი შენაცვლება აგრეთვე დასაშევებია.

ბ) უფრო მისაღებად მიგვაჩნია მეორე გზა. თაბალ-თუბალ-ტაბარ (აქედან კი ტიბარენი, იბერი) სიმ. ჯანაშიასა და ატ. შანიძის მიხედვით ქართული სიტყვაა და იშლება „ტაბად“, რაც ნიშნავს „ზღვას“ (ძველად), „ტბას“ ე. ი. საერთოდ წყალს, წყალსაცავს. ამავე დროს საყურადღებოა ის მომენტიც, რომ ქართულ „ტბას“ აღრინდელი ფორმა არის „ტაბა“, ამას მოწმობს ამ ფუძის შესატყვისი სხვა ქართველურ ენებში და შენახული საქართველოს ტოპონიმიებში: „ტაბა-ხმელა“ (ე. ი. „ამომშრალი ტბა“), „ტბა“ — აგარაკი, „ტბეთა“ (ს. ამბროლაურის რ.), „ტობა (ს. ახალციხის რ.), ტბათანა (საძოვრები თუშეთში); „ტობარა“ და „ტვიბი“ (ს. სვანეთში), „ტობანიერი“ (ს. ვანის რ.) და ა. შ. აქედან ამგვარი წარმოშობა შეუძლებელი სრულიად არ არის.

სატომო სახელის (თუბალ-თაბალ) ფუძის თავკიდური ბგერა არის ფშვინ-ციერი წინაენისმიერი „თ“ და არა მკვეთრი „ტ“.

ამრიგად „თუბალ“ გვხვდება შემდეგ ვარიანტებში:

ტი-ბა-არ	თი-ბა-არ,
ტუ-ბალ	თუ-ბალ,
ტი-ბარ	თი-ბალ,
ტი-ბალ	თი-ბალ,
ტა-ბალ	თა-ბალ.

ახალ-ქართული „ტბა“ მოდის ძველი ქართული „ტაბა“-დან. მეცნულში მას შეესიტყვება „ტობა“, სვანურში „ტომბა“-ის გარდა გვხვდება „ტვიბი“ (ტუბი), „ტვიბირა“ ან ტუბრა (აქედან „ტვიბერი“, მღინარე, ქედი და გადასასვლელი ზემო სვანეთში), უდრის „ლელეს“, „მღინარეს“, რაც უკველიად ამავე ძირისაა და აქ თავის უძველესი მნიშვნელობათაგანი: „წყალი“ აქვს დაცული. ტიბარ (თიბალ)-დან მივიღეთ:

ტიბარდა — თიბარდა ან ტებერდა — თებერდა.

ხმივან „ი“-ს გადასვლისათვის „ე“-ში ქართველურ ენაში კანონზომიერი საფუძველი არსებობს. ამრიგად, ოებერდა — ტებერდა თავისი ისტორიული ფორმითა და ფილოლოგიურ-ეტიმოლოგიური ანალიზით უძველეს ქართულ გეოგრაფიულ და სატომო სახელწოდებას უკავშირდება.

შუანა — ხუთვერსიან რუკაზე აქვს მეორე სახელწოდება შოანა (შიოან-ცხო) ან სოფ. ოსეტინსკერ. ძველ ისტორიულ მონასტერს ქ. ხუმარასთან, ე. წ. „ქართულ ხარა-ხოტას“ (1220—1240 მ. სიმაღლეზე ზღ. დ.), იხსენიებს

ვახუშტი როგორც დას. საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას (აქ იყო ფეოდალური ლური ტაძარი). მაიორ პოტიომეინის [10] გამოკვლევით (1802 წ.) იყო დამდენიმე წარწერა ეკუთვნის 6621 წ. მსოფლიოს დასაბამიდან, ე. ი. 1013 წელს (XI ს.).

შოთა (შუანა) სტრუქტურას დას. საქართველოს სატომო სახელშოდებათა ფორმის აღნაგობა აქცის, ფუძის სახით გეხვდება „შუ“, ხოლო სუფიქსი ან ფართოდ გავრცელებულია ქართველურ ენებში.

აკად. ს. ჯანა შითა ა აზრით „გარკვეულ ხანაში სატომო სახელებში სა- კრთო ქართველური მაწარმოებელის როლში ან- სუფიქსი გამოდის, რომელიც იყო და არის დღესაც გავრცელებული [4, გვ. 228].

სახელშოდება შუანა-შოთა უნდა უკავშირდებოდეს სვანს. სიტყვა „შეწნ“, ამეამად, როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში, თვით ქვეყანას, სვანეთს ნიშნავს, თუმცა თავდაპირველად იგი სატომო სახელი იყო.

თუ დღეს სვანი — „მუშებან“ (ზ. სვ.) და „მუშებინ“ (ქვ. სვ.) ფორმებით გამოიხატვის, მრავლობითში უკვე ფუძე წმინდად ალიდგენს თავს: „შეწნბრ“ (ზ. და ქვ. სვ.). ეს მარტო მორფოლოგიური მოვლენა როდია. მრავლობითი- სათვის ჩვენ მოგვეპოვება კიდევ ერთი ფორმა „შეწნლაბ“, სვანები (ქვ. სვ.). „სვანეთის“ აღსანიშნავად საქართვის ფორმებია „ლაშენ“, „სასვანო“ (ქვ. სვ.). უკანასკნელი ფორმა მხოლოდ სვანებს ესმით, როგორც მთელი სასვანო, მიწაშეყლით და მოსახლეობით, ე. ი. საფუძველი გვაქვს ვიჟიქროთ, რომ მსგავსება არის არა მარტო შუანა-შოთა-სვანა-ს შორის, არამედ ისიც, რომ აღნიშნული ტერიტორია გარკვეულ პერიოდში სვანების გავლენის ქვეშ იყო, რაც თავის მხრივ ძევლ ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვარზე მიგვითითებს.

ტერმინი სუანი აღნიშნავს ტომს, სვანებს, და ამავე დროს იგი იტევს ეთნიკურსა და ტერიტორიალურ აზრს ერთდროულად.

ამრიგად, ფორმა შუანა შეიძლება სხვადასხვა სახით გვევლინებოდეს, მაგ.:

სუანი — შუანი,

სუანა — შუანა,

სოანი — შოანი,

სოანა — შოანა.

სუანა-შოთა (სვანი) ისტორიული ფორმის განხილვა და მისი ფილოლო- გიური ანალიზი ამჟავნებას იმ უმციდოვეს კავშირსა და გავლენას, რომელიც ჰქონიათ ჩვენ წინაპრებს კოლხებს, სვანებს, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან: ამავე დროს, კლუხორის რაიონის ტერიტორია (თებერდისა და ყუბანის ხეობები) სვანების გავლენის ქვეშ იყო. ჯერ კიდევ სტრაბონის ცნობით სვანები „живя на высотах Кавказа, выше Диоскурии, управляемы всеми окружавшими их народами“ [11, გვ. 66]. ეს რომ ასეა, ამაზე მიგვითითებენ დღესაც სვანებში გავრცელებული გადმოცემები, რომელთა მიხედვით ყარაჩიელები და ყაბარდოლები ხარქსაც კი უხდიდნენ სვანეთს ზემო აღნიშნულ ხეობებში მდებარე საძოვრების გამოყენებისათვის.

**ხატიფარა:** მთა და ქედი თებერდის ხეობაში. რუსები უწოდებენ „**კარის ბალკა**“ (ირმის ღელე).

თეხაზურად „იფარა“ ნიშნავს „მამულს“, „საძეოს“ (ვოტკია), რაც მათ სვანებისაგან შეითვისეს. სვანეთში დღესაც გვხვდება გეოგრაფიული სახელწოდებები დაბოლოებით იფარა (ან ფარი);

იფარი	(ს. ჩ. სვანეთში),
ნაკ-იფარა	(        "        ),
ფარი	(        "        ),
ლატ-ფარი (გადას. "	) და სხვ.

ამრიგად, დაბოლოება იფარი (იფარი ან ფარი) სვანური წარმოშობისაა.

რაც შეეხება პირველ ნაწილს ხატს (ჰატ), მისი მნიშვნელობა ჯერ გამოუჩვეველია. შესაძლებელია ეს იყო საკუთარი სახელი (ძველ სვანეთში, არის აფხაზებსა და ჩერქეზებშიც), რაც დამტებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

**შუბუ —** მდინარე, ხეობა და გადასასვლელი. ამ სახელწოდების წარმოშობაზე ორი აზრია:

ა) შესაძლებელია იყო იყოს ჩერქეზული (ადილეური) მორფოლოგიური ტიპისა „მუხ-ყვა“ (მუხ-ყვა) ე. ი. „მუხ (მუხ)-ი ხვევ-ყვა“ (აკად. ს. ჯანაშიას აზრით გეოგრაფიული სახელწოდებები ბობო-ყვა-თი, აჭა-ყვა, მალთა-ყვა, და სხვ., ჩერქეზული წარმოშობისაა [3].

ბ) უფრო დასაშეებად მიგვაჩნია მისი მეგრული წარმოშობა — შუბურ, რაც მეგრულ ენაზე ნიშნავს „კუთხეს“ (ადგილს, დაბას, თავ შესაფარს). გეოგრაფიული სახელწოდებები, რომელთაც დაბოლოება აქვთ „ხუ“, „ხურ“, ან „მუხურ“ საქართველოში მრავლად გვხვდება, მაგალითად:

მუხურ-ი (ს. გალის რ.),
ლუღოს-მუხურ-ი (ს. ზუგლიდის რ.),
მუხურ-უშა (მდ. სოხუმის რ.),
მუხ-რა (მდ. ქვ. სვანეთის რ.),
განარჯიას-მუხური (ს. გალის რ.),
ტეხურ — მუხურ-ი (ს. სამურჩიყანოში)

და, ბოლოს, კოლხების პერიოდში საკმაოდ ცნობილი ისტორიული პუნქტი „მუხურ“-ისი.

ამრიგად, მუხურ(რ)-ს ქართულ „მუხა“-სთან კავშირი არა აქვს (ოუმცა მუხუს ხეობა მთელს რაიონში მუხის ხის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი ადგილია) და მისი წარმოშობა უფრო მეგრულ ენასთანაა დაკავშირებული.

\* \* \*

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული გეოგრაფიული სახელწოდებები ქართველური წარმოშობისა ჩანს.

შესაძლოა ამ რიგისა იყოს გეოგრაფიული სახელწოდებები, როგორიცაა: „ყურშა“, „ხუმარა“, „განაჩირი“, „მახარი“, „აგურა“, „შუგორა“, „ჩაჩური“



და სხვა. იმას მომავალი კვლევა გაარკვევს, მაგრამ ზემოაღნიშნული ნუდები მიმდებარები მიგვითითებს, რომ თანამედროვე კლუხორისა და ნაწილობრივ მიმდებარე რაიონები არა მარტო ქართველური ტომების გავლენის ქვეშ იყო, არამედ საქართველოს ძველ ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვაოშიც მდებარეობდა.

### უმთავრესი გამოცხვევაული ლიტერატურა

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941.
2. ვახუშტი, საქართველოს ისტორია.
3. ს. ჯანაშია, ჩერქეზული (დილური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში: საქ. სსრ აკად. მოამბე, ტ. I, № 8, 1940.
4. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ-ტიბარები, იძერი: ენიმე, ტ. I, 1937.
5. А. Бернадацци, Христианские древности на Кубани: Ж. мин. ви. дea. ч. III, кн. IV.
6. Каварио Главани, Описание Черкесии 1724 г. (СМОМПК, XVII, 1893).
7. Путешествие вокруг Кавказа Ф. Дюбуа де Монпере. Т. I, Сухум, 1937.
8. И. Помяловский, Сборник греческих и латинских надписей на Сев. Кавказе. СПБ 1881.
9. Хуцумов, Об остатках древних памятников христианства на Сев. Кавказе: Сб. газ. „Кавказ“, за II полугодие 1847 г.
10. И. Павлов, Искусство и старина Карабая. Махач-Кала, 1930.
11. К. Гай, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе: СМОМПК, в. IV, 1884.

სტალინის სახელობის  
ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
უკონომიური გეოგრაფიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1949. IX. 1).

ე. ჭიათურავილი

მასალაზი თაღვამის თეოტელას (PIERIS RAPAE L.)  
გიორგი გორგაძეს საკითხების გაცემლისათვის

კომბოსტოს მოსავლიანობის საქმეში სხვა ფაქტორებთან ერთად დიდ როლს თამაშობენ მავნე მწერებიც. მათი უარყოფითი ეკონომიკური მნიშვნელობისა და სიხეობრივი შემადგენლობის შესახებ მასალები მოგვეყის ჭინა შრომაში [31]. უნდა იცინიშნოს, რომ კომბოსტოს მავნე მწერების მრავალი სახეობა ჯერ კიდევ სრულიად შეუსწავლელია. მხოლოდ რამდენიმე სახეობის მავნე (რათხესის ფოთლისჭამია, კომბოსტოს ტილი, კუტებალიები) ბიოლოგია-ეკოლოგიური ცნობები არის მოყვანილი პროფ. ლ. კალანდაძისა და ელ. ნებიირიძის [9 და 10] და პროფ. ლ. კალანდაძისა და თულა-შვილის [11] ნაშრომებში. აგრეთვე მრავალ სახეობითა შესახებ პატარ-პატარა მასალები აქვს ნ. ალექსიძეს [1]. მაგრამ ყველა ეს მონაცემები შედარებით მცირება, ვინაიდან კომბოსტოს მავნებლების რიცხვი გაცილებით მეტია, იგი უდრის 68 სახეობას [31], და ამდენად მათი ბიოლოგია-ეკოლო-გიური თავისებურების შესწავლა დიდ დახმარებას გაუწევდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დამუშავებისა და ჩატარების საქმეს.

ჩვენ მიზნად დაგისახეთ 1937—1940 წ.წ. განმავლობაში შეგვესწავლა ფრიად მნიშვნელოვანი მავნე მწერის თაღვამის ოეთრულას (Pieris rapae L.) ბიოლოგია-ეკოლოგია.

ამ სკონტების შესწავლის ძირითადად ვაწარმოებდით თბილისის მიდა-მოების ბოსტნებში 1937—1940 წლების განმავლობაში. გარდა მისია დაგიარ-ვებები ტარდებოდა პერიოდულად საქართველოს სხვადასხვა აღილებში: ბათომსა და მის მიდამოებში, ქუთაისში, საგარეჯოში, ლაგოდებში, ალბუ-ლალში, ფასანურში, თეთრ წყაროში, ბორჯომში და სხვაგან.

თბილისის მიდამოებში დაკვირვების ობიექტები იყო: ფილიპე მახარაძის სახ. კოლმეურნეობა (დილომი), აგრობიოლოგიური სადგური, თესლის საკონ-როლო სადგური, ზოობარები, ლ. პ. ბერიას სახელობის საქ. სას. სამ. ინსტი-ტურის სასწავლო მეურნეობა (ვაკე), ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა (დილომი) და კერძო მოსახლეობის ბოსტნები თბილისის განაპირა მხარეებში. ბიოეკოლოგიურ საკითხების შესწავლა მიმდინარეობდა აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უხერხემლოთა შოთლო-

გის კათედრაზე ლაბორატორიაში, რისთვისაც გამოყენებული იყო ზენტს ჟამ-  
მავთულბალის სათავსურები და ორმოსტატები. ამ შემთხვევაშიც გატლების  
გამოყება წარმოქმდა კომბოსტოთი. შესწავლილ იქნა მეზამორეობის დაწყება  
და დამთავრება, პირველი ფრენა, გამრავლების ინტენსივობა, კვერცხის  
დების ხანგრძლივობა და რიცხვი, ემბრიონალური და ცალკე სტადიების გან-  
ვითარების ხანგრძლივობა და სხვადასხვა ეკოლოგიური პირობები.

იმავე საკითხების დასაზუსტებლად და ავრეთვე ჩემ მიერ შეგროვილი  
კომბოსტოს მავნე ენტომოფაუნის და ლიტერატურული მასალების დასამუ-  
შავებლად მიღლინებული ვიყავი 1938 წ. პირველი ივნისიდან ქ. ლენინგრადში  
გამოყენებითი ზოოლოგიის და ფიტო-პათოლოგიის უმაღლეს კურსებზე და  
აგრეთვე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ეკო-  
ლოგიურ ლაბორატორიაში. ზემოთ ხსენებულ დაწესებულებების ლაბორატო-  
რიებში შესაძლებლობა მქონდა საკმაოდ ფართოდ შემცირდა ექსპერიმენტა-  
ლურად თაღვამის თეთრულას ძირითადი ბიოლოგიურ-ეკოლოგიური თვეისე-  
ბურებანი კვერცხებზე, მატლებზე, ჭუპრებზე, და ნაწილობრივ იმაგოზედაც იმ  
ძირითადი ფაქტორების მიხედვით, როგორიც არის ტემპერატურა, ტენია-  
ნობა, სინათლე და მისი ინტენსივობა და. კვება. ამისათვის გამოყენებული იყო  
მინისა და მავთულბალის სათავსურები, ორმოსტატები, პოლითერმოსტატი  
და იგრეთვე კომბოსტოთი ნარგავი ღიღი (200 კუ. მეტ.) და მცირე ზომის  
შუშაბანდები. აქაც მატლების გამოკვება ხდებოდა კომბოსტოს ფოთლებით  
უშუალოდ ნარგავ მცენარეზე და პეპლები კი იკვებებოდნენ თაიგულის ნექტ-  
რით ან გლუკოზით.

### თალღამის თეთრულას სავარგელება

თალღამის თეთრულას სამშობლოდ ითვლება აღმოსავლეთ ნახევარსფერო  
ატლანტის ოკეანიდან დაწყებული წყნარ ოკეანემდე.

ამერიკაში ის შეუცანილია ევროპიდან XIX საუკუნის შეორე ნახევრი-  
დან — კანადაში, შეერთებულ შტატებში და სხვაგან, სადაც ძლიერ დიდი  
ზიანი მოაქვს. იქ მან განდევნა ადგილობრივი მავნე სახეობანი ე. წ. Pontia  
protodelicea და Pieris oleracea, ვინაიდან ჭუპრიდან უფრო აღრე გამოდის  
გაზაფხულზე, ვიდრე აღნიშნული ადგილობრივი სახეობანი და ინტენსიურადც  
მრავლდება. ცნობილია ამ სახეობის მიგრაციაც, მაგ., ნახულია მათი გუნ-  
დები მიმფრინავი ევროპიდან ინგლისში (Chittenden, F. H., 29), მაგრამ ეს  
მავნე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია  $30^{\circ}$ — $60^{\circ}$  ჩრდილო სიგანედების  
ფარგლებში.

საქართველოში თალღამის თეთრულა ყველგან გვხვდება. ძირითადად ის  
გავრცელებულია დაბლობ აღილებში, თუმცა გვხვდება აღბურ ზონაშიც. რო-  
გორც ტენიანობის მოყვარული მწერი, იგი დასავლეთ საქართველოში უფრო  
მეტი რაოდენობით გვხვდება, ვიდრე საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში.  
ეს სახეობა შებოსტნეობის და, კერძოდ, კომბოსტოს კულტურის ერთ-ერთი  
ზნიშნელოვანი მავნებელი არის. ის აზიანებს კომბოსტოს კულტურის აღრე-

გაზიაფებულიდან გვიან შემოდგომამდე. ხელნებული მაცნებლის მატლების ფანჯარა კუთრებული ზიანის მომტანი არიან მასობრივი გამრავლების წლებში და დიდი უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობაც აქვთ. საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ეს სახეობა იძლევა წელიწადში ერთი გენერაციიდან ხუთ გენერაციამდე. როგორც სხვა მავნებლების დროს, ისე თაღვამის თეორულას თაობები ერთმანეთშია არეული. ამიტომ ერთ და იმავე დროს ხშირად ერთ კომბინაციაშიც კი ვხვდებით არა თუ სხვადასხვა ხნოვანების მატლებს, არამედ სხვადასხვა თაობების წარმომადგენლებსაც კი.

### მაზამთრება, ურან და კვება

თაღვამის თეორულა შეზამთრეობს ჭუპრის სტადიაში ბოსტნეულის ანარჩენებზე, ლობურებშე, ქვებზე, ზოგჯერ ნაგებობის კედლებზე და სხვა. პეპლების გამოფრენა გაზაფხულზე წლის ტემპერატურის მიხედვით იწყება მარტის შუა ან ბოლო რიცხვებიდან. მაგ., 1938 წელს პირველი თაობის პეპლების ფრენა დაიწყო 16/III; ხოლო თვის ბოლოსათვის პეპლები მასობრივად ფრენდნენ. აღნიშნულ წელს მარტის თვის საშუალო თვიური ტემპერატურა თბილისში უდრიდა 4,5°. პეპლების გამოფრენა გაზაფხულზე ჭიანურდება. მათ გხედებით მარტიდან დაწყებული მაისშიც. დაქვირვებით აღმოჩნდა, რომ ყველა თეორულიდან თაღვამის თეორულა უფრო იდრე იწყებს გაზაფხულზე ფრენას, მაგალითად, ვიდრე კომბინაციის თეორულა (Pieris brassicae L.), დაახლოებით 10—15 დღით ადრე.

თაღვამის თეორულის პეპლები მზის დიდი მოყვარულნი არიან. პეპლის ფრენა, კვება და კვერცხის დება მიმდინარეობს მხოლოდ მზიან დღეებში. კარგ დარში მათვების დამახასიათებელია წყნარი და დაუჯდომლად ხანგრძლივი ფრენა. წვიმებში და მოღრუბლულ დღეებში ისინი უმოძრაოდ სხედან. წვიმის დროს ისინი თავსდებიან ფოთლების ქვედა მხარეზე ფრთხ შეკეცილი. ვერ იტანენ დიდ სიცხესაც, მაგ. 35°C-ის დროს ისინი ჩრდილში კომბინაციის ფოთლებს შორის იმაღლებიან; 40°-ზე დამბლა ემართებათ და 45°-ზე კი უკვე იხოცებიან 10 საათის შემდეგ.

პეპლები იკვებებიან სულ სხვადასხვა ოჯახის მცენარეების ნექტარით. უფრო ერანებიან ჯვაროსან თეთრ ყვავილებს. ლაბორატორიულ პირობებში ისინი იკვებებოდნენ როგორც ნექტარით (თაიგულზე), ისევე ტქბილი წვენებით, მაგ., შაქრის, გლუკოზის, თაფლის და სხვა წვენით. სპეციალურად ჩენ მიერ ჩატარებული იყო გამოყოლებით მათი გლუკოზით გამოკვებაზე და გამოირვე, რომ როცა პეპლები ლებულობდნენ 5—10—15 და 25%-მდე გლუკოზას, ყოველთვის მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 2—3 დღით, ხან კი 7 დღითაც (რაც მეტი იყო გლუკოზის პროცენტები, მით უფრო ჩეხარი იხოცებოდა პეპლები) მცირდებოდა, შედარებით მშიერ ე. ი. უქმელ მდგომარეობაში შენახულ პეპლებთან. იმავე დროს საინტერესოა აღინიშნოს, რომ სხვა პეპლები კარგად იტანენ გლუკოზით გამოკვებას, მაგ., კომბინაციის ხვატარის პეპლები. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ თაღვამის თეორულას იმაგოს სიცოცხლის ხანგრძლივობა არ აღმატებოდა გრილ დღეებშიც კი 10 დღეს.

პეპლები მოთავსებული იყვნენ 200 კუბიკ. მეტრის სივრცეში, კუმპიუტერული და სხვა მცენარეებით ნარგავ შუშაბანდებში, სადაც ჰაერის ცვლაში წარმოადგინა ეზდა მავთულბადიანი სარკმელებით.

### განაყოფიანება (ცვლაში)

განაყოფიერებას ანუ პეპლაობას ლაბორატორიულ პირობებში ძალიან იშვიათად აქვს ადგილი და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თაღგამის თეთრულის პეპლები არიან მზიან ოთახში, სადაც არის აგრეთვე მოთავსებული მცენარეები (ჩვენს პირობებში კომბისტო). ბუნებრივ პირობებში ზაფხულის გენერაციები კოპულირობენ გამოფრინის დღესვე ან მეორე დღეს ტემპერატურისადა მიხედვით. განაყოფიერების შინ ადგილი აქვს საქორწინო მზადებას. ჭუპრიდან ახლად გამოფრინილი დედალი პეპლა მზებე შეშრობისა და შეთბობის შემდეგ იწყებს პატარა მანძილზე, 2—3 მეტრზე, მცენარიდან მცენარეზე ფრენას, რამდენიმე საათის შემდეგ უკვე ძარგად ფრენს, მაგრამ მდორედ, აუქარებდა და ხშირად ჯდება, მამლები კი ფრენენ გამალებით და განუწყვეტლივ, ე. ი. დიდი ხნის განმავლობაში არ ჯდებიან. დედალი პეპლა მამლის მიახლოვებისას იწყებს ჯერ ნელ ფრენას, შემდეგ კი თანდათანობით აქარებულად. ამავე დროს შინ ირგვლივ იკრებს თავს ახლად და ახლად მოფრენილი მამალი პეპლების გროვა, სულ რამდენიმე წუთში. ასეთი ფრენის დროს ზოგჯერ ხდება ჰაერშივე განაყოფიერება, მაგრამ ხშირად ამას ადგილი აქვს დაჯდომის შემდეგ. ხშირ შემთხვევაში აფრენილ დედალს აედევნება მრავალი მამლები (5—10 და შეიძლება მეტიც) და ეს პეპლების გუნდი მიფრინავს სულ უფრო ზევით, პირდაპირ ვერტიკალურად, ხან კი მაღლა აფრენის შემდეგ ისინი იცვლიან მიმართულებას და პირიზონტალურად მიფრინავენ. 5—10 და ზოგჯერ 20 წუთის შემდეგ გუნდი თანდათანობით მცირდება და ეშვება ქვევით ნიადაგის ზედა პირისაკენ, სადაც საბოლოოდ დედალი ნაყოფიერდება ერთი მამალის მიერ. ხშირად შევხვდებით კოპულაციის დროს მუცლის უკანასკნელი ნაწილებით გადაბმულ პეპლების მფრინავ წყვილს. ამ დროს მიფრინავს დედალი, მამალს კი ფრთხები დაგეცილი აქვს. განაყოფიერება ზოგჯერ გრძელდება საათობით (4—5 საათი). განაყოფიერების პროცესში დაჭრილი წყვილი ზოგჯერ არ სცილდება ერთმანეთს და ტყვეობაშიც (ქილაშიც) განაგრძობს განაყოფიერებას.

### კვაშეს დება

განაყოფიერების შემდეგ იწყება კვერცხის დება. ზაფხულის გენერაციის პეპლები ხშირ შემთხვევაში ნაყოფიერდებიან იმავე დღეს და კვერცხს სდებენ განაყოფიერების მეორე დღეს, იშვიათად მესამე დღეს, ხშირ შემთხვევაში დამატებით კვების ჩაუტარებლად. კვერცხის დება ხდება მზიან დღეში დიღის 8—9 საათიდან, ის ინტენსიურია 10—11 საათზე და გრძელდება დიღის 1 საათამდე. შემდეგ კი მხოლოდ თითო-ოროლა კვერცხის მდებ პეპლებს გხვდებით, ხოლო სალამოთი ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია, ე. ი. ამ დროს თითქმის არცები ხდება კვერცხის დება. მხოლოდ თუ დღე იყო წვიმისი და

სალამოთი მზე გამოვიდა, ამ შემთხვევაში ხდება კვერცხის დებურენტენი მაინც იშვიათად. პეპელა კვერცხს დებს ტყვეობაშიც ფანჯარისთან შემცირებულ ყუთებში დარღულ კომბოსტოზე. დებს კვერცხს აგრეთვე სულ პატარა ქილაშიც კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დედალი დაჭრილი იყო ბუნებაში კვერცხის დების დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომბოსტოს თეთრულა კვერცხს არ სდებს არც ერთ შემთხვევაში ლაბორატორიულ პირობებში, განაცოფიერებას კი აქვს ადგილი.

თალღამის თეთრულას კვერცხის პროდუქცია ჩვენი დაკვირვებეს 115 შემთხვევაში არასოდეს არ აღმატებოდა 169-ს, საშუალოდ კი ის სდებდა 80—110-დე კვერცხს. იყო შემთხვევები 10—15 კვერცხის დაღებისაც და ზოგჯერ სრულიადაც არ სდებდნენ.

გაზაფხულის გენერაციის პეპლები კვერცხს სდებენ ძირითადად სარეველა ბალახებზე, უმთავრესად შლეგაზე და წიწმატურაზე (*Brassica campestris* L. ssp. *oleifer* G. (D. C.) და *Capsella bursa pastoris* (L.) Med.), აგრეთვე მინდვრის კომბოსტოზე (*Brassica campestris* L.), იშვიათად კი კომბოსტოს ჩითილზე ან ნაგერალ კომბოსტოზე.

კვერცხის დების დროს პეპელა ეპილება მცენარის ფოთლის ქვედა მხარეზე ფეხებით ვერტიკალურად ფრთებ-შეკეცილი, ღუნავს მუცელს თანდათანიბით იქმდე, ვიდრე არ შეეხება კვერცხსადებით მცენარეს, კვერცხი იღება თითო ცალად და თან სასქესო აპარატის დამატებითი ჯირკვლებიდან გამოყოფილი სითბის საშუალებით ეწებება მცენარეზე ფუძით საქმიოდ მტკაცედ, რასაც ანდომებს 5—10 სეკუნდს.

### კვერცხი და ეპარიტელი განვითარება

ახალდადებული კვერცხი ისე ძალიან მკრთალი მოყვითალო ფერისა, რომ თითქმის მოგვაგონებს რძის ფერს. შემდევ ის ლებულობს ყვითელ ფერს და გამოჩევის წინა დღეს უკვე ნარინჯი ფერისა ხდება, ზოგჯერ მოჩანს ბატლის პირის ორგანოების ფერიც. კვერცხი ბოთლისებრი ფორმისაა. წვეროში მიკროსკოპული ნაპრალით. მისი სიგრძე უდრის 1,25—1, 200 მ. მ., სიგანე უფართეს ადგილში — 0,67—60 მ. მ., ფუქსისთან 0,42—45 მ. მ. წვეროში — 0,14 მ. მ. კვერცხის სიგრძეზე მისდევს წიბოები, რომლებიც წვეროში ერთიანდებიან.

ტემპერატურა და ტენიანობის მიხედვით ემბრიონული განვითარების ხანგრძლივობა მერყეობს, რაც მოჩანს ნათლად № 1 ტიბულიდან (ცდები შემოწმებულია განმეორებით რამდენჯერმე. თითოეულ ცდაში ვათავსებდით 30 ცალ კვერცხს). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზაფხულის გენერაციის კვერცხების ემბრიონული განვითარების ხანგრძლივობა აღემატება ზაფხულის კვერცხის ემბრიონულ განვითარებას ნახევარი და ხან 1—2 დღითაც (ტემპერატურის მიხედვით). აქ მოგვავს თალღამის თეთრულას ემბრიონული განვითარება ტემპერატურის და ტენიანობის მიხედვით (იხ. ტაბ. № 1), მხოლოდ ზაფხულის გენერაციების საშუალო მონაცემებიდან.

სალგამის თეოტულას ემპირიზონული განვითარება ტემპერატურის და ტენიანობის მიხედვით  
ტაბულა № 1

ტენიანობა (° C)	ტემპერატურა (° C)	ტენიანობა	განვითარების ხანგრძლივობა	დაღუბული კვერცხების რაოდენობა %-ში	განვითარებულ კვერცხების რაოდენობა %-ში
1	7,5° C	80 %	24—25 დღე	23,3 %	76,7 %
2	14° C	80 %	14 დღე	13 %	87 %
	"	100 %	15 "	26,6 %	73,4 %
	"	60 %	14 "	—	100 %
	"	40 %	13 "	80 %	20 %
	"	20 %	—	100 %	0, %
	"	6 %	—	100 %	0
3	17° C	80 %	8 დღე	0	100 %
	"	—	7 "	20 %	80 %
4	19° C	75 %	5,9 დღე	16 %	84 %
	"	75 %	6,2 "	15 %	75 %
5	21° C	75 %	5,2 დღე	0	100 %
	"	65 %	4,9 "	0	100 %
6	25° C	85 %	4 დღე	15 %	85 %
	"	100 %	4 "	16,6 %	83,4 %
	"	75 %	3,7 "	13,3 %	86,7 %
	"	60 %	3 "	0 %	100 %
	"	40 %	2,5 "	16,6 %	83,4 %
	"	30 %	—	100 %	0 %
	"	6 %	—	100 %	0 %
7	29° C	—	3 დღე	20 %	80 %
	"	75 %	2,8 "	—	100 %
8	31,5° C	73 %	2 დღე	0 %	100 %
	"	50 %	2 "	15 %	85 %
	"	100 %	2,5 "	46,6 %	59,4 %
	"	40 %	2 "	46,6 %	59,4 %
	"	30 %	—	100 %	—
9	33° C	75 %	1,8 დღე	25 %	75 %
	"	50 %	1,5 "	65 %	35 %
	"	100 %	2 "	75 %	25 %
	"	30 %	0 "	100 %	0 %
10	35° C	75 %	0 დღე	100 %	0 %

როგორც № 1 ტაბულიდან ჩანს, კვერცხის განვითარების ქვედა ზღვარი შეცილებით დაბალი უნდა იყოს, ვიდრე 7,5° C, ვინაიდან აღნიშნულ ტემპერატურაზე კვერცხის  $\frac{3}{4}$  ასწრებს ტენიანობის 80 %-ის დროსაც კი განვითარებას, იმ დროს როდესაც ტენიანობის ეს პროცენტი არ წარმოადგენს, როგორც ტაბულიდან ჩანს, კვერცხის განვითარების ხელსაყრელ პირობას, რაღაც 10° C-ის და ამ ტენიანობის დროს იქვე ადგილი კვერცხის მხოლოდ 87 %-ის განვითარებას.

საქართველოს კლიმატურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, ორმ უმრავლეს რაიონებში მარტის თვის საშუალო ტემპერატურა 4,5—8,2° C-ს შორის მეტყველდს, ტენიანობა კი 61,7—78 % (ი.e. ტაბულა № 2 და № 3).

ეს კი სრულიად საგმარისია ემბრიონული განვითარების საწყისისათვის, საჭიროა აღნიშნოთ, რომ ეს კლიმატური მონაცემები მიღებულია ნიადაგის

ზედაპირიდან 1,5—2 მეტრის მანძილის დაშორებით; მაცნებლის კვერცხი, მატლი და ქუპრიც კი იყოფებიან ნიადაგის ზედაპირიდან 25—50 მეტრის მანძილის დაშორებით. აღნიშნულ მანძილზე კი ტემპერატურა შედარებით ყოველთვის მაღალია. ასევე მაღალია ტენანტობა კომბოსტოს მწვნე ფოთლებზე და ტემპერატურა დღისით მის ზედა ფოთლებზე (Гейгер, 1931; Мировой агроклиматический справочник, 1937 და съезда). და მართლაც, ორგონუ ზევით აღვინიშნეთ, ბუნებრივ პირობებში აპრილში უკვე ვხვდებით ახლად გამოჩეკილ მატლებს.

## საერთო ტემპერატურის ხაშუალო წლების და თვეების მიხედვით

ტაბულა № 2

სადგურების დასახელება	წელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
თბილისი . . .	1937	1,0	3,4	7,2	11,6	16,3	18,8	25,8	25,3	22,8	15,6	9,2	4,9
	1938	3,1	2,9	4,5	12,5	17,8	20,9	26,0	25,0	20,8	14,7	8,4	4,5
	1881—1930	0,6	2,3	6,8	11,7	17,1	20,9	24,2	24,1	19,4	13,8	7,4	2,8
საგარეჯო . . .	(11 წ.)	0,9	2,0	5,5	10,4	15,5	19,6	22,2	21,8	17,3	12,5	7,2	2,5
ნაფარეული . . .	(12 წ.)	1,4	2,9	7,2	12,3	17,0	21,0	24,0	23,2	19,0	13,4	7,6	3,0
იყალთო . . .	(11 წ.)	0,7	1,9	5,7	10,8	16,0	19,8	22,7	22,0	17,9	12,3	6,6	2,4
ქუთაისი . . .	1933	3,9	6,4	7,1	10,1	17,5	20,9	21,8	22,3	19,5	15,5	12,0	4,6
სამტრედია . . .	1933	3,9	6,3	7,8	11,4	18,4	20,0	25,1	23,1	20,3	10,4	12,4	4,9
ბათომი (მწ. ქ.) .	1933	5,4	7,0	6,9	10,2	15,2	18,2	21,1	21,5	18,7	15,6	14,2	6,5
ოზურგეთი . . .	1903	3,0	3,6	6,5	14,8	16,9	21,1	22,3	21,8	17,7	14,4	9,7	8,0
ხონი . . . . .	1904	—	2,4	8,2	11,9	15,7	20,7	23,8	23,0	20,1	15,0	11,3	4,2
ყარაია . . . . .	1913	0,9	2,9	7,2	12,6	17,8	22,2	25,4	24,6	19,8	15,8	7,4	2,6
კოჯორი . . . . .	1925	-2,0	-2,5	1,7	5,5	11,1	14,6	17,9	17,9	13,8	8,8	3,2	0,0
გუდაური . . . .	(3, 2 წ.)	-7,3	-6,0	-2,0	1,3	6,2	10,2	13,1	13,3	9,3	5,1	-0,4	-4,2
ჭინანდალი . . . .	(12 წ.)	1,7	2,7	6,6	11,6	16,4	20,3	23,4	22,5	18,4	13,0	7,8	3,5
გორი . . . . .	მრავალწლ.	-1,6	-0,1	5,1	10,3	15,7	19,2	22,3	22,5	18,1	12,4	5,8	0,3
მცხრაანი . . . .	"	-1,6	0,3	5,1	10,2	15,4	18,6	22,3	22,2	17,8	12,2	6,0	1,2
ბაკურიანი . . . .	"	-7,2	-6,9	-1,7	3,5	8,8	12,2	15,1	15,1	11,0	5,2	-0,7	-4,7
ყარაია . . . . .	"	0,1	1,8	6,7	11,9	17,5	21,6	24,8	24,6	19,9	14,0	7,1	2,4

## ხაშუალო შეფარდებითი ტენანტობა წლებისა და თვეების მიხედვით

ტაბულა № 3

სადგურების დასახელება	წელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
თბილისი . . .	(64 წ.)	70	67	72	61	63	59	56	56	62	70	73	75
	1937	75	70,5	67,5	67,5	70,7	62,7	59	61,5	60,5	71,7	78,5	75,7
ბათომი . . . .	(81 წ.)	76	78	78	82	82	82	82	84	84	85	81	76
ნაფარეული . . .	(74 წ.)	78	76	72	74	74	70	57	67	75	79	79	81
ჭინანდალი . . .	(68 წ.)	68	67	68	66	69	66	63	62	68	74	71	71
მცხაუზანი . . .	(72 წ.)	70	72	68	71	74	69	66	67	72	78	76	75
კოჯორი . . . .	1937	76,5	76,5	77,5	78	71,5	72,7	56,5	61,5	68,7	77,5	77,2	91,7
გუდაური . . . .	(70 წ.)	64	68	68	67	73	73	74	74	75	75	69	65
საგარეჯო . . .	მრავალწლ.	71	70	68	61	62	62	63	60	69	66	68	72
გორი . . . . .	"	82	80	72	67	69	67	64	64	68	75	79	84
ლუქსმბურგი . . .	"	73	76	71	66	64	65	66	68	75	72	72	67
ყარაია . . . . .	"	73	71	68	66	66	62	57	58	65	73	76	77
ფოთი . . . . .	"	74	75	75	79	83	82	83	84	82	79	75	72
სამტრედია . . .	"	80	77	75	72	76	76	79	81	89	78	77	77
ოზურგეთი . . .	"	82	81	77	79	82	81	83	87	85	84	83	80
ქუთაისი . . . .	"	70	68	63	67	73	73	78	77	71	70	71	68
სოხუმი . . . . .	"	70	71	69	73	76	75	76	74	79	70	68	69
მცხრაანი . . . .	"	79	78	72	67	79	70	68	66	70	73	76	80

შეორე მხრით ტაბულიდანვე ჩანს, რომ გაზაფხულზე პირველი ტემპერატურასთან ერთად ტენიანობა ყოველთვის მაღალია და 50—60%-%- შემცირდება ტურასთან ერთად ტენიანობა ყოველთვის მაღალია და 50—60%-%- შემცირდება ტურასთან ერთად ტენიანობა ყოველთვის მაღალია და 50—60%-%- შემცირდება ტურასთან ერთად ტენიანობა არა შემცირდება.

რაც შეეხება ზაფხულის გენერაციებს ისინი თითქმის ყოველთვის ოპტიმურ პირობებში ჩეხებიან ტემპერატურის და ტენიანობის შეფარდების მხრივ, რადგან საქართველოში იმ დროს ტემპერატურაც და ტენიანობაც შერყეობს ძირითადად მავნებლის ენდორინულ განვითარების ოპტიმუმის ფარგლებში. ასე მაგალითად, № 2 და № 3 ტაბულებიდან ჩანს, რომ საშუალო დღიური ტემპერატურა იგნის — ივნის — ავგისტი — სექტემბერში მერყეობს 17,7—24,0°C გრადუსებს შორის, ხოლო ტენიანობა 56—84% შორის, ამას კი სდევს გავნებლის თითქმის ყოველთვის 100% გამოჩეკა და შედარებით მცირე დაღუპვა. მაგრამ მავნებლის ემბრიონული განვითარების ტაბულიდან ჩანს, რომ 31,5°C ზევათ უკვე იწყება განვითარებისათვის არა ხელსაყრელი ტემპერატურა მიუხედავად ტენიანობისა და, მაშასადამე, დიდი სიცხეების დროს კვერცხების დაღუპვას უნდა ჰქონდეს აღვილი, რაც არა ერთხელ იყო შენიშნული. ეს განვითარებისათვის არა ხელსაყრელი ტემპერატურა 33°C-ზე უფრო დამღუპველად მოქმედებს, ხოლო უკვე 35°C-ზე კვერცხები იღუპებიან მასობრივად 10 საათის განმავლობაში (იხ. მაღალი ტემპერატურის შესახებ ტაბულა № 4).

#### შეერთებული ტემპერატურა საშუალო აბსოლუტური მაქსიმუმებიდან

ტაბულა № 4

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
სადგურები												
სამრეცხლი . . . .	15,4	18,2	25,3	30,2	34,3	35,3	36,5	36,4	34,1	29,7	24,1	18,3
კულაში . . . .	15,3	17,5	24,4	28,7	32,7	34,1	35,1	35,2	34,4	29,3	24,5	18,5
ქუთაისი . . . .	15,7	17,2	24,2	29,0	32,3	34,7	35,6	35,9	34,4	29,2	23,5	19,1
ტყიბული . . . .	14,2	15,9	21,1	27,0	30,6	32,3	33,0	33,3	31,6	27,5	22,3	18,0
ლალაში . . . .	7,1	14,3	17,8	23,9	27,6	29,8	31,7	30,5	29,4	23,7	19,3	11,7
საქართველო . . . .	15,5	17,2	24,3	29,8	33,1	35,5	26,5	37,3	35,0	29,6	24,4	18,6
ოზი . . . .	12,5	18,5	20,0	26,0	30,0	33,0	33,5	36,6	32,5	28,0	22,0	12,0
ხარისხოვალი . . . .	8,7	12,1	15,0	19,8	25,0	27,1	28,5	20,7	27,3	22,9	17,1	10,9
ჭიათურა . . . .	12,2	15,4	23,1	28,7	33,2	34,1	36,5	37,1	34,5	28,8	22,7	15,3
წითა . . . .	10,0	11,3	18,7	25,1	28,1	31,0	33,1	33,8	31,4	24,8	18,8	12,0
ნატარეული . . . .	14,0	15,0	22,4	25,8	30,3	34,6	37,4	37,7	34,3	27,9	21,1	15,1
იყალთო . . . .	10,7	11,7	20,3	23,7	27,6	31,0	33,1	33,9	30,2	24,8	17,8	11,9
ჭინაძეადი . . . .	13,0	14,0	21,9	24,2	28,5	32,5	35,2	35,5	32,3	20,2	19,9	14,1
ურალთუბანი . . . .	13,2	13,7	21,2	23,1	28,1	32,5	33,8	33,6	31,3	24,3	19,5	13,1
ახტალა . . . .	13,2	13,8	21,4	23,8	28,2	33,2	35,5	35,2	32,1	25,2	19,7	13,4
ჭინორისჭავალი . . . .	14,1	14,7	22,4	24,9	29,4	34,5	36,8	36,5	33,3	26,3	20,7	14,3
ცოდნისჭარი . . . .	16,0	16,5	23,6	25,8	29,9	31,6	36,7	36,4	33,6	27,1	22,0	16,2
საგარეჯო . . . .	13,2	13,8	19,8	22,8	22,1	32,1	33,3	32,7	33,9	25,5	20,3	13,8

## მატლის კვება და განვითარება

მართვული  
უზუღისესიანი

მატლი კვერცხიდან გამოსცლის წინ იწყებს ნაჭეულის შექმას პირის მახლობლად, შემდევ თანდათანობით იდიდებს ხერელს და ამოდის უკე ნახევრად შეჭმული ნაჭეულის ზემო ნახევრიდან. ბაგრამ ნაჭეულიდან გამოსცლის შემდევ ისევ უბრუნდება და სქამს დარჩენილ ნაჭეულს მთლიანად (იშვიათად სტოვებს შეჭმელს). მატლები შემდევ იკვებებიან მცენარის ჯერ ეპიდერმისით (აფხეკენ). მეორე ხნოვანების მატლები კი იწყებენ ფოთლის ცალმხრივ სკელეტიკიას. მესამე ხნოვანების მატლები უფრო ხარბად სქამენ; ისინი ფოთლებში აჩენენ ფანჯრებს. მეორე და მეხუთე ხნოვანების მატლები კი იწყებენ ფოთლის შექმას უმთავრესად კიდევბიდან და ზოგჯერ ფოთლიდან მხოლოდ მსხვილი ძარღვებილი რჩება, უკიდურეს შემთხვევაში ისინიც იქმევა. მატლები იკვებებიან უმთავრესად დღისით და რამდენჯერმე. განსაკუთრებით ხარბები არიან ისინი დილით 8—10 საათზე (იხ. დაზიანების სურათი ქვემოთ გვ. 163).

ზრდა-დამთავრებული მატლის სიგრძე მერყეობს 32—35 მმ შორის. მატლი ხავერდოვანი მწვანე ფერისა და უწვრილესი შავი წერტილები გაბნეული აქვს სხეულზე. ზურგის გასწროვ და გვერდებზე მიუკვება მერთალი ყვითელი ზოლი, ხოლო გვერდებზე სტიგმების გასწროვ ყვითელი წერტილები სტიგმების ირგვლივ. მესამე ხნოვანებიდან ზოგიერთ მატლებს ემჩნევათ ზურგის მხარეზე, მუცლის მეორე და მესამე სეგმენტს შორის, წყვილი კანქვეშა მოჰავო ლაქა. მატლი კანს იცვლის ოთხჯერ და ახასიათებს ხუთი ხნოვანება.

I	ხნოვანობის მატლის სიგრძე	უდრის	3,7	მმ
II	"	"	6	მმ
III	"	"	14—15	მმ
IV	"	"	24—25	მმ
V	"	"	32—35	მმ.

პირველი და მეორე ხნოვანების მატლები ღებულობენ შედარებით მცირე საკვებს და ამტრომ უნიშვნელოდ აზიანებენ მცენარეს, მაგრამ მესამე ხნოვანების მატლები უკვე ბევრს სჭამენ და მნიშვნელოვანი ზარალიც მოაქვთ. ამავე ხნოვანებიდან იწყებენ გაზაფხულის გენერაციების მატლები გადასცლას უფრო ნორჩ ფოთლებზე, რითაც არ იძლევენ ნორჩ მცენარეს ზრდის საშუალებას. ზაფხულის თვეების მატლები კი გადადიან კომბოსტოს თავებში, სადაც დაზიანებულ ფურცლებში სტოვებენ ექსკრემენტებს, რითაც უაღრესად სცემენ კომბოსტოს ხარისხს და თანაც იწვევენ კომბოსტოს თავის ლპობას (შათ განვალზე ვითარდება სოკოები).

მატლები იკვებებიან შემდეგი მცენარეებით:

კომბოსტო ყვავილოვანი (*Brassica oleracea L. var. botrytis L.*)

კომბოსტო თავეცვლი (*Brassica oleracea L. var. Capitata L.*)

თალგამი (*Brassica rapa L. var. rapifera Metzg.*)

თალგამურა (*Brassica napus L. var. rapifera Metzg.*)

თვის ბოლოები (*Raphanus sativus L. var. radicula D. C.*)



წიწმატი (Lepidium campestre (L.) R. Br.)

კეჩერა-ფოთლოვანი კომბოსტო (Brassica oleracea L. var. acephala D. C.)

შალვა, შლევა (Brassica campestris L. ssp. oleifera D. C.)

წიწმატურა (Capsella bursa pastoris (L) Medic. და სხვ.

გაზიაფხულზე პირველი გენერაციის მატლები ძირითადად ვითარდებიან შლევაზე და წიწმატურაზე (საკუელებზე).

ხშირად კომბოსტოზე ერთდროულად ვხვდებით სხვადასხვა ხნოვანების მატლებს, საშუალოდ 2—3 მატლს; ცალკეულ შემთხვევებში იყო ჩენ ჩენ ჩახული ერთ კომბოსტოზე 15—20 ცალამდე მატლი მაშინ, როცა კომბოსტოს ეჭირა მცირე ფართობი (პატარა ბოსტანში, საკარისიანი ნაევეთზე).

ასეთი რაოდენობის მატლებისაგან კომბოსტო იღუპება თვით თავის ახვევის შემდეგაც. ახალგაზრდა კომბოსტო (5 ფოთლის მქონე) 2 მატლისა-განაც კი იღუპება ანდა ძალიან ჩამორჩება ზრდაში და მოსავლის მოცულეაში, ვინაიდნან მატლებს ახასიათებს, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, პირველ რიგში ახალგაზრდა ფოთლების შეჭმა. ამიტომ ისინი არ აღლევენ მცენარეს ზრდის საშუალებას. კომბოსტოს თავის ახვევის მომენტში 10 მატლსაც კაშუძლია მისი დაღუპვა ან ძალიან დასუსტება.

ცხელ ამინდში მატლები იმაღლებიან ფოთლებში ან კომბოსტოს თავებში და ისე იქვებებიან. გრილ ამინდში კი გამოღიან ზედა ფოთლებზე — მზე ზე მატლის მთელი განვითარება და ცალკე ხნოვანების სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვა გვარია ტემპერატურის, ტენიანობის, კვების და სხვა ეკოლოგიური პირობების მიხედვით.

ჩვენი ცდების შემთხვევაში მატლის გამოვლევა წარმოებდა კომბოსტოს მწვანე ფოთლებით.

მატლების განვითარება და ცალკე ხნოვანების სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვა გვარია ტემპერატურის მიხედვით (იხ. ტაბულა № 5).

თალღამის თეთრულას პოსტრემბრიონული ფაზის განვითარება დაჭუპრებამდე

ტემპერატურის მიხედვით

ტაბულა № 5

ტემპერატურა	მატლების ხნოვანება	განვითარების ხანგრძლივობა		დაღუპული მატლების რაოდენობა მ/მ-ში		განვითარებული ხალგაზრდა მ/მ-ში	დამატებული ხალგაზრდა მ/მ-ში
		საშენ წელი	ცალკე წელი	საშენ წელი	ცალკე წელი		
10° C	I	10 დღე	36,8 დღე,			100 %	
	II	8,1 "	მე-V ხნოვა- ნებაში დაი- ზოცნენ			100 %	
	III	8,7 "		38,4 %		61,6 %	
	IV	10,1 "		37,5 %	100 %	62,5 %	0 %
	V	—		100 %			

14° C	I	6,4 დღე				100 %	0,3 რიცხვები
	II	5,5 "		22,2 %		100 %	0,2 რიცხვები
	III	5,5 "		21,4 %		77,8 %	
	IV	6 "		27,2 %		78,6 %	
	V	10 "				72,8 %	
	პრონიმფა დაჭუბ-მდე	7 ..	49 დღე	77,8 %	88,9 %	22,2 %	11,1 %
17° C	I	4 დღე		12,5 %		100 %	
	II	4 "				87,5 %	
	III	4 "	28 დღე			100 %	
	IV	5 "		64,3 %		100 %	
	V	5 "				35,7 %	
	პრონიმფა დაჭუბ-მდე	6 ..		20 %	75 %	80 %	25 %
19° C	I	3 დღე				100 %	
	II	3,3 "				100 %	
	III	3,5 "				100 %	
	IV	3,5 "				100 %	
	V	4 "		53 %	53 %	47 %	
	პრონიმფა დაჭუბ-მდე	4,5 ..	21,8 დღე				47 %
21° C	I	2,5 დღე				100 %	
	II	2,5 "				100 %	
	III	2,5 "				100 %	
	IV	3 "				100 %	
	V	3,3 "				100 %	
	პრონიმფა დაჭუბ-მდე	4 ..	17,8 დღე			100 %	100 %
25° C	I	2 დღე				100 %	
	II	2 "				100 %	
	III	2 "				100 %	
	IV	2 "				100 %	
	V	2,5 "		5 %	5 %	95 %	
	პრონიმფა დაჭუბ-მდე	2,6 ..	13,1 დღე			100 %	95 %
29° C	I	1,5 დღე				100 %	
	II	1,5 "				100 %	
	III	1,5 "				100 %	
	IV	1,5 "				100 %	
	V	2 "		30 %		70 %	
	პრონიმფა დაჭუბ-მდე	2 ..	10,3	30 %		100 %	70 %
33° C	I	1 დღე				100 %	
	II	1,5 "				100 %	
	III	1,5 "				100 %	
	IV	1,5 "				100 %	
	V	— "		100 %	100 %	—	0 %

როგორც № 5 ტაბულიდან ჩანს, თაღვამის თეთრულას მატლების განვითარების ქვედა ზღვარი არის  $10-12^{\circ}\text{C}$  და ზედა ზღვარი კი  $29^{\circ}-33^{\circ}\text{C}$  შორის მერყეობს. აღნიშნულ ზღვრებიდან ქვევით და ზევით უკვე იწყება მასობრივი სიკვდილიანობა, განსაკუთრებით მე-IV ხნოვანებიდან. იმგეარად, დალუპვა მაქსიმუმს აღწევს მე-V ხნოვანებაში და დაჭუპრების წინა ფაზაში.

განვითარების უკეთესი პირობები იწყება  $17^{\circ}\text{C}$ -დან, თანდათან უმჯობესებული და განვითარების ოპტიმუმი ძევს  $21^{\circ}-25^{\circ}\text{C}$  ზორის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თალღამის თეთრულას მატლებს შეუძლიათ იკვებონ, განვითარდნენ და იცვალონ ანი არამც თუ ზემოთ აღნიშნულ განვითარებისათვის ქვედა და ზედა კრიტიკულ ტემპერატურაზე ( $10^{\circ}\text{C}$  და  $33^{\circ}\text{C}$ ), არამედ უფრო დაბალ და უფრო მაღალ ტემპერატურაზედაც. მართალია, მატლების განვითარებისათვის  $10^{\circ}\text{C}$  უკვე აღირ არის ხელსაყრელი და დაჭრებას აღვილი არა აქვს, მაგრამ ისინი ჩვენი მონაცემების მიხედვით იკვებებიან და იცვლიან კანს  $5-6^{\circ}\text{C}$ -ზედაც. გარდა ლაბორატორიული მონაცემებისა ამასვე აღსატურებს ის ფაქტი, რომ 1937—1938 წ.წ. ნოემბრის თვიდან მუნჯებაში (აგრო-ბიოლოგიური სადგური, თბილისი) გადაისამთრეს კომბოსტოს და თალღამის თეთრულას მე-7 ხნოვანების მატლებმა და დიოლუპნენ მარტში დაჭრებების წინ. აღნიშნულ წლებში ნოემბრის თვის საშუალო ტემპერატურა იყო  $9,2^{\circ}\text{C}$ , ხოლო მარტის კი  $4,5^{\circ}\text{C}$  (იხ. ტაბულა № 2). ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ თალღამის თეთრულას მატლები დიდხანს უძლებენ დაბალ ტემპერატურასაც, როგორიც არის  $2,9^{\circ}\text{C}$  აღნიშნული წლის თებერვლის თვის საშუალო ტემპერატურა და აბსოლუტური მინიმუმი კი აღწევდა —  $6,6^{\circ}\text{C}$ . მარტის პირველ რიცხვებშიც კი იკვებებოდნენ მატლები, მხოლოდ საკვებს ღებულობდნენ ძალიან მცირეს, თითქმის უმნიშვნელოს. ეს კი მოწმობს მას, რომ მატლები ცოცხლები იყვნენ და მათში ფიზიოლოგიური პროცესები მიმდინარეობდა.

რაც შეეხება ტემპერატურას, ამ შემთხვევაში სხვადასხვა ხნოვანების მატლები სხვადასხვა რეაქციით უპასუხებენ. პირველი ხნოვანების მატლები  $39^{\circ}\text{C}$ -ზე მასობრივად იხოცებიან 10 საათის შედეგ, ე. ი. კანის ცვლის დაწყების დროს. ასევე ემართება მეხუთე ხნოვანების მატლებს. მხოლოდ მეორე ხნოვანების მატლები უძლებენ აღნიშნულ ტემპერატურას და იცვლიან კანს, მაგრამ მაინც, როგორც უკვე იყო აღნიშნული, აღწევნ რა მეხუთე ხნოვანებას, ამ დროს ისინი მასობრივად იხოცებიან, მაშინაც კი, როდესაც ტენიანიბა არის ოპტიმალურ პირობებში წარმოდგენილი (70—90). ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ პირველი ხნოვანების მატლი შედარებით ნაზაა და ნაზაა იგრევე შეხუთე ხნოვანების მატლები, პრონიმფის წინ, ვინაიდან პრონიმფის ფაზა უაღრესად სათუთა მასში მიმდინარე ღრმა ცვლილებების გამო და ყოველი ცუდი პირობები მათზე მკაფიოდ ცუდად მოქმედებს. საქართველოს მრავალ რაიონებში ზაფხულის თვეებში ტემპერატურა ხშირად ძლიერ მაღალია და, მაშიასაღამე, თალღამის თეთრულას განვითარებისათვის არა ხელსაყრელი, მაგრამ მატლები ამ დროს იმაღებიან კომბოსტოს ფოთლებში და, მაშიასაღამე, ბუნებრივ პირობებში მათ შეუძლიათ მაღალი ტემპერატურის ცუდ გავლენას თავი დააღწიონ კომბოსტოში დამაღვით, და შეიძლება მიმთაც არის გამოწვეული, რომ ზაფხულის გენერაციები ყოველთვის და ყველგან აზიანებენ თავშეეულ კომბოსტოს, როგორც შეჭმით აგრეთვე განავლის დატოვებით კომბოსტოს თავში, რასაც მოჰყვება ხოლმე კომბოსტოს ლპობა და სოკოფან დაავადებანი (იხ. ტაბ. № 2 საშუალო მაღალი ტემპერატურის შესახებ).



კომბინაციის დაზიანება თაღვანის თეორეტულას მატლების შეერ  
(*Pieris rapae* L.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ  $21^{\circ}\text{C}$  ზევით ტემპერატურა დაფუძნდება  
მოქმედებს იმიტომ, რომ აჩქარებს მატლის განვითარებას (იხ. ტაბ. № 5), და  
ამ მხრივ განვითარების უმოკლეს ხანს ეხვდებით  $29^{\circ}\text{C}$  დროს, მაგრამ ამავე  
დროს ადგილი აქვს მატლების დაღუპვას ( $29^{\circ}\text{C}$  დროს მატლი იღუპება  $30\%$ ).  
პირიქით, დაბალი ტემპერატურა, როგორც მოსალოდნელი იყო, ანელებს გან-  
ვითარებას და ეს შენელება მაქსიმუმს აღწევს  $14^{\circ}\text{C}$  დროს, როცა მატლი  
დაჭრულებამდე სჭირდება  $49$  დღე;  $10^{\circ}\text{C}$  დროს კი მატლები, როგორც ზევით-  
ალვნიშნეთ, დაჭრულებამდე იღუპება. ამავე ტაბულიდან ნათლად ჩანს ისიც,  
რომ I და II ხნოვანების მატლები უფრო ამტანი არიან დაბალი ტემპერა-  
ტურის უარყოფითი ზემოქმედების, ვიდრე III და IV ხნოვანების მატლები,  
ხოლო მე-V ხნოვანების მატლები კი, და კერძოდ დაჭრულების დროს, როგორც  
ზემოთ აღვნიშნეთ, უაღრესად სათუთი არიან და ცუდი პირობების გავლენა-  
ჟერლაზე მეტად აქ იჩენს თავს, რაც გამოიხატება მატლების ამ დროს დაღუ-  
პვაში. ესე იგი გამოდის, რომ მატლის განვითარებასთან ერთად თანდათანო-  
ბით ეცემა მისი გამდლეობა ცუდი პირობების მიმართ და ეს მოვლენა შეიძლება  
დავუკავშიროთ პრონიმუის ასაკის მოახლოვებას და დაჭრულების მომენტს,  
რაღაც ამ დროს მატლში ხდება ღრმა ცვლილებები — გარდაქცევა და ფიზიო-  
ლოგიური პროცესების გართულება.

№ 5 ტაბულაში მოცემული მასალა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ  
გარევეულად ჩანს ტემპერატურის გავლენა მატლების ცალცალკე ხნოვანებაზე.  
ირკვევა, მაგალითად, რომ დაბალი ტემპერატურა ( $10-14^{\circ}\text{C}$ ) უფრო ახან-  
გრძლივებს ახალგაზრდა ხნოვანების მატლების განვითარებას, ვიდრე ხნოვანე-  
ბისას, იმ დროს, როცა შედარებით მაღალი ტემპერატურები ( $17-29^{\circ}\text{C}$ ),  
პირიქით, უფრო მოქმედებენ ახალგაზრდა მატლებზე ხნოვანების განვითარების  
აჩქარების მხრივ, ვიდრე ხნიერებზე. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ახალგაზრდა  
მატლები უფრო სუსტები არიან და უარყოფითი პირობის გავლენას უფრო  
მეტად განიცდიან ისევე, როგორც დადებითი პირობებისას, და საბოლოო  
ჯამში რიცხობრივობა გადადის თვისობრიობაში.

ტემპერატურის და ხნოვანების მიხედვით იცვლება აგრეთვე კანის ცვლის  
ხანგრძლივობაც.  $14^{\circ}\text{C}$ -ზე კანის ცვლაზე იხარჯება საშუალო 39—45 საათი,  
ხოლო  $28^{\circ}\text{C}$ -ზე 8—12 საათიმდე. ამავე დროს პირველი კანის ცვლაზე უფრო  
ნაკლები დრო იხარჯება, ვიდრე შემდეგი კანის ცვლებზე.

კანის ცვლის წინ მატლი ღებულობს ოდნავ მშრალი ნაცრის ფერს,  
საკეთების მიღებას თანდათანობით ამცირებს და ბოლოს სრულიად სწყვეტს.  
ჯერ კიდევ ჭამის შეწყვეტამდე გას ეტყობა თავის ფარის ადგილიდან წინ  
წაწევა, რაც ნიშანია კანის ცვლის დაწყებისა. ჭამის შეწყვეტის შედეგ მატლი  
ემაგრება ფოთოლზე თითქმის შეუმჩნეველი ჭსელის საშუალებით. პირველ  
ხანებში მატლი უმოძრაოდაა გაჩერებული, შემდეგ კი იშვებს ნელ ტალღისებრ  
მოძრაობას შეკუმშვით. ამ დროს სკდება კანი კისრის მიღამოში და მატლი  
თანდათან იძრობს კანს, რომელიც რჩება ქსელზე. ახლად კანგამოცვლილ  
მატლი ღია მწვანე ხავერდოვანი ფერისაა და იკვებება გამალებით.



## დაჭვარება და კეპის გამოფარენა

მ. რ. რ. ც. ე. ტ.  
გ. ი. ს. მ. ი. მ. ი.

მეზუოთ ხნოვანების მატლი დაჭუპრების წინ ე. წ. პრონიმფის ფაზაზი აღმო იყვებება და ჭუპრების ხშირ შემთხვევაში იმავე მცენარის ქვედა ფოთლების ქვედა ხედაპირზე. ამ დროს მატლი თავსდება რა ფოთოლზე, აბამს ირგვლივ ქსელს ადგილიდან გადაუნაცვლებლად, რომელზედაც ემაგრება და არის არადენიმე საათს ან დღეს ( $1^{\circ}C$  მიხედვით) უმოძრაობა. ამ ხანში ემჩნევა ხვეულის მნიშვნელოვნად შემოკლება. შემდეგ ის ბრუნდება  $180^{\circ}$ -ზე და იქ, სადაც მუცლის უკანასკნელი სეგმენტი არის მოთავსებული, აშენებს პირიდან გამოყოფილი ქსელისაგან შექმნილ ბორცვს. შემდეგ მიბრუნდება და ლებულობს ქველ მდებარეობას, თან მუცლის ხრის და მუცლის უკანასკნელი ნაწილით აწევბა ხსენებულ ბორცვს, რომელიც ეწებება აღნიშნულ აღვილას და ამგვარად პრონიმფა რჩება მუცლის უკანასკნელ ნაწილით მიმაგრებულ მდგომარეობაში. ცოტა შესვენების შემდეგ ახლა ტანს ამაგრებს ფოთოლზე ქსელის სარტყლით. სარტყლის გადაჭირებას იწყებს გვერდებიდან. ამასთანავე ის იბრუნებს თავსა და მკერდს და აქეთებს ერთ-ერთ გვერდით ქსელის პაწია ბორცვს. აქედან გადააქვს ქსელი ზურგზე მეორე მხარეს მკერდის და თავის ზურგის მიმართებით ამობრუნებით და ჰქენის სიმეტრიულად აქაც ქსლის ისეთსავე ბორცვს, რომელსაც ამაგრებს ზურგის მხრიდან გადატარებულ ქსელს. ამ უკანასკნელ მოქმედებას იმეორებს რამდენჯერმე და ამგვარად ის აღმოჩნდება მიმაგრებული ფოთოლზე ზურგზე გადაჭირებული ქსელის სარტყლით. ამის შემდეგ ხდება პრონიმფის ფორის თანდათანობით შეცვლა თითისტარი-სებრ ფორმად. გარეგნულად მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ იწყება ჭუპრიად გარდაქცევა: წინა ნაწილი ფართოვდება თანდათანობით, შემდეგ ზუბლის და თავის გვერდითი ნაკვეთები დიდლებიან და მატლის შეკუმ-შვითი მოძრაობით სკდება კანი კისრის მიღამოებში ზურგის შუა ხაზის მიმართებით; ეს უკანასკნელი თანდათანობით დიდლება, რის საშუალებითაც ჭუპრი მოძრაობის გამო გამოდის მატლის კანიდან და ლებულობს თანდათანობით ჭუპრის ნორმალურ ფორმას.

ჭუპრის საშუალო ( $50$  ცალიდან) სიგრძე აღწევს  $19-21$  მმ, სიგანე  $4,5-5$  მმ და სიმაღლე  $5,5-6$  მმ. იგი სხვადასხვა ფერისაა. მზიან ადგილებში ბალახებზე მწვანე ფერისაა, ფოთლების შიგნით ბნელ ადგილზე ან ხმელ მცენარეებზე კი მუქი ან ბაცი ჩალის ფერისაა და სხვა. ერთი სიტყვით, ახასიათებს გარემოს მიხედვით დაცვითი შეფერვა. გამოფრენის წინ, ერთი-ორი დღით აღრე, ჭუპრში მოჩანს პეპლის ფრთები, მის შვერობები მყოფი შავი ლაქებით. ჭუპრიდან პეპლის გამოსვლის დროს სკდება ჭუპრის კანი ზურგზე კისრის უკან, საიდანაც ამოდის პეპლა ფრთებ-გაუშლელი და ხორთუმ-გასწორებული. ნახევრად ამოსული პეპლა ამოყოფს ფეხებს, რითაც ეჭიდება ქსელის სარტყელს, ხრის სპირალურად ხორთუმს და ცოტა შეშრობის შემდეგ თანდათან იწევს ჭუპრის კანიდან ზევით და ბოლოს სრულიად თავისუფლება ამ უკანასკნელიდან. ამ დროს მას ფრთები შედარებით რბილი აქვს და ფრენა არ შეუძლია. ის ადგილს ინაცვლებს ნელი სიარულით. ფრთების

კარგად შემსრბის და დაბერვის შემდეგ კი იწყებს პატარა მანქიონი ფრაგმენტების ფრენას.

ჭუპრის განვითარების ხანგრძლივობა იცვლება ტემპერატურის და ტენიანობის მიხედვით, რაც ნათლად ჩანს № 6 ტაბულიდან.

თაღვამის ოცნებულას ჭუპრის<sup>1</sup> განვითარების ხანგრძლივობა ტემპერატურის  
და ტენიანობის მიხედვით ტაბულა № 6

ტემპერატურა	ტენიანობა	განვითარების ხანგრძლივობა			გამოტრენა %-%ში	დაღუძვა- %-%ში
		მინიმუმი	მაქსიმუმი	საშუალო		
8°C	75—80 %	32 დღე	44 დღე	37 დღე	48,9 %	51,1 %
14°C	30 %	26 დღე	28 დღე	27 დღე	90 %	10 %
	60—50 %	28 "	28 "	28 "	95 %	5 %
	75—80 %	28 "	28 "	28 "	100 %	0 %
	100 %	29 "	29 "	29 "	100 %	0 %
	20 %	—	—	—	0 %	100 %
17°C	75 %	15 დღე	17 დღე	16 დღე	90 %	10 %
19°C	75 %	10,6 დღე	12 დღე	11,3 დღე	94 %	6 %
21°C	75 %	10,2 დღე	10,2 დღე	10,2 დღე	98 %	2 %
25°C	30 %	8 დღე	8 დღე	8 დღე	0 %	100 %
	50 %	7 "	7 "	7 "	10 %	0 %
	70 %	6,5 "	6,5 "	6,5 "	100 %	0 %
	100 %	8 "	8 "	8 "	90 %	10 %
	10 %	—	—	—	0 %	100 %
29°C	70 %	6 დღე	6 დღე	6,0 დღე	60 %	40 %
	100 %	—	—	—	0 %	100 %
32°C	30 %	—	—	—	0 %	100 %
	50 %	5 დღე	5 დღე	5 დღე	30 %	70 %
	70 %	5,1 "	5,1 "	5,1 "	40 %	60 %
	100 %	—	—	—	0 %	100 %

№ 6 ტაბულიდან ნათლად ჩანს, რომ ნორმალურ ტენიანობის დროს ჭუპრის განვითარების დაბალი ზღვარი ძევს 8°C ქვევით, რადგანაც ამ ტემპე-

<sup>1</sup> ჭუპრები შეიძლებულია 21—25°C-ზე გამოზრდილი მატლებიდან.

რატურის დროსაც ადგილი აქვს ჭუპრის განვითარების და პეპლის ტემპერატურის, მაგრამ სამწუხაროდ, თუ ეს ზღვარი რას უდრის ამის დადგენის ფართულებას, რადგანაც  $8^{\circ}\text{C}$  ქვევით ცდები არ დაგვიყენებია. თუ ვისარგებლებით განვითარების კონსტანტით (112) ცნობილ ტემპერატურების შემთხვევაში, ჭუპრის განვითარების დაბალი ზღვარი  $3,5 - 4^{\circ}\text{C}$  შორის უნდა იყოს.

განვითარების მაღალი ზღვარი კი ძევს  $32^{\circ}\text{C}$  ზევით, რადგანაც ამ დროს დაღუბის ბროუნტი უდრის მინიმუმ  $60^{\circ}/\text{o}$ . ჭუპრის განვითარების ტემპერატურული ოპტიმუმი უდრის  $25^{\circ}\text{C}$  და მის ახლო მდებარე ტემპერატურებს: ამ დროს ადგილი არ ჰქონდა ჭუპრის დაღუპვას და თანაც განვითარება ხდებოდა შედარებით მოქლე დროში,  $6,5 - 8$  დღე.

იგივე № 5 ტაბულა აჩვენებს, რომ ტენიანობა დიდ როლს თამაშობს ჭუპრის განვითარების დროს. როგორც მოსალოდნელი იყო, ოპტიმალური ტენიანობა უდრის დაახლოებით  $70 - 80^{\circ}/\text{o}$ , თუმცა ძევს უნდა იღინიშნოს, რომ დაბალ ტემპერატურის დროს (მაგ.,  $14^{\circ}\text{C}$  დროს) მაღალი ტენიანობაც (მაგ.,  $100^{\circ}/\text{o}$ ) კი უარყოფითად ან მოქმედებს ჭუპრზე იმ დროს, როდესაც მაღალი ტემპერატურის დროს ( $32^{\circ}\text{C}$ ) ასეთი ტენიანობა იწვევს ჭუპრების  $100^{\circ}/\text{o}$  დაღუპვას. რაც შეეხება დაბალ ტენიანობას, ის კიდევ უფრო მოქმედებს ჭუპრებზე და უკვე  $30^{\circ}/\text{o}$  ტენიანობა ოპტიმალური ტემპერატურის დროსაც კი მიხებია ჭუპრების  $100^{\circ}/\text{o}$  დაღუპვისა.

რაც შეეხება განვითარების დაბალ ზღვარს ტენიანობის მიხედვით, ის, როგორც ჩანს, ძევს ოპტიმალური ტემპერატურის დროს ცხადია  $30^{\circ}/\text{o}$  ზევით, რადგანაც ამ უკანასკნელის დროს დაღუპვის  $\%/\text{o}$  უახლოედება  $100^{\circ}/\text{o}$ . სხვა ტემპერატურების დროს ოპტიმუმს ქვევით ან ზევით ეს ზღვარი საკმაოდ მნიშვნელოვნად იცვლება. ასე, მაგ., დაბალი ტემპერატურის დროს ის მაღალ იწვევს, რადგან მხოლოდ  $20^{\circ}/\text{o}$  ტენიანობაზე იღუპება ჭუპრები  $100^{\circ}/\text{o}$ , მაღალი ტემპერატურის დროს კი ჭუპრების  $100^{\circ}/\text{o}$  დაღუპვას აღილი აქვს უკვე  $30^{\circ}/\text{o}$ . ტენიანობის დროსაც, ე. ი. ამ შემთხვევაში ტენიანობის ზღვარი მაღალი იწვევს. განსაკუთრებით მაღალი ზღვარი ტენიანობის მიხედვით შერქენობს ტემპერატურის სხვადასხვა პირობებში. ოპტიმალურ და მაღალ ტემპერატურის დროს, როგორც ტაბულა აჩვენებს, ტენიანობის ეს ზღვარი თითოების უახლოედება  $100^{\circ}/\text{o}$  ტენიანობისას. დაბალი ტემპერატურების დროს კი ტენიანობა უკვე აღარ თამაშობს როლს, რადგანაც  $100^{\circ}/\text{o}$  ტენიანობის შემთხვევაშიც კი არ ჰქონდა აღილი ჭუპრების დაღუპვას.

ეს მონაცემები ეხება იმ ჭუპრებს, რომლებიც მიღებული არიან იმ ზატლებისაგან, რომელთა განვითარება მიმდინარებდა  $21 - 25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე და  $70 - 90^{\circ}/\text{o}$  ტენიანობაზე. ამ შემთხვევაში იმაგოს ვეღბულობთ სულ დაბალ ტემპერატურაზედაც კი ( $8^{\circ}\text{C}$ ) იმავე წელიწადს, დიაბაზის გარეშე, თუმცა განვითარების დრო ძლიერ ხანგრძლივდება ( $40 - 44$  დღე).

რაც შეეხება იმ ჭუპრებს, რომლებიც მიღებულია ისეთ მატლებისაგან, რომლების ზრდა-განვითარება მიმდინარეობდა  $12 - 15^{\circ}\text{C}$ -ზე და  $70 - 80^{\circ}/\text{o}$  ტენიანობის დროს, ასეთი ჭუპრებიდან პეპლების გამოფენა ოვით ხელსაყრელ

პირობაშიც კი ( $17-18^{\circ}\text{C}$  ტემპერატურა და 70% ტენიანობა) შედარებით შეერ დროს საჭიროებს. მაგალითად, 1938 წ. 25/X — ბუნებაში შეგროვეულ ახალი ჭუპრები მოთავსებულ იყო ჩვენ მიერ ლაბორატორიულ პირობებში, უადაც ტემპერატურა უდრიდა  $17-18^{\circ}\text{C}$  და ტენიანობა კი 70%, აღნიშნულ ჭუპრებიდან პეპლები გამოფრინდნენ მხოლოდ 1939 წელს ობერვლის პირველ ნახევარში. აღნიშნულ წელს ოქტომბრის თვის საშუალო ტემპერატურა (თბილისი) იყო  $14,7^{\circ}\text{C}$ . ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ ჭუპრის დიაბაზზა ბუნებაში გამოწვეულია არა მარტო. მექვიდრეობითი ზეგავლენით, არამედ ძირითადად იმის მიხედვით, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა თვით მატლის ზრდა-განვითარება. ამ პირობებიდან აღსანიშნავია ძირითადად ტემპერატურა, კვება და ტენიანობა. ერთ-ერთი ამ ფაქტორთაგანის აპტიმალური პირობებიდან გამორიცხვა გარკვეულ დაღს სტოვებს მიღებული ჭუპრის რაოდენობაზე და ხარისხზე და აგრეთვე იმავაზე. მაგალითად, 40% ტენიანობის  $25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს გამოზრდილი მატლებიდან მიღებული ჭუპრების საშუალო ზომებიდან (30 ჭუპრიდან) სიგრძე უდრიდა  $13-14$  მილიმეტრამდე, სიმაღლე 3,5 მმ, სიგანე 3,2 მმ, მაშინ როდესაც  $70-90\%$  ტენიანობაზე და იმავე ტემპერატურაზე გამოზრდილი მატლებიდან მიღებული ჭუპრების სიგრძე უდრის (30 ჭუპრი)  $19-21$  მმ, სიმაღლე 5,5—6 მმ და სიგანე 4,5—5 მმ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 40% ტენიანობაზე გამოზრდილი მატლების დაღუპვა აღწევდა 97% და დაჭუპრებას მხოლოდ 3% ასტრებდა.

თუ ზემოთ ნათქვას შევაჯამებთ საქართველოს კლიმატური პირობების მიხედვით, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიღეთ, რომ სამხრეთით და საქართველოს დაბალ აღგილებში პეპლების გამოფრენა შუა შემოდგომაზედაც უნდა ხდებოდეს დაბალ ტემპერატურის დროსაც კი, რაღაც მატლები ვითარდებიან შედარებით მაღალი ტემპერატურის დროს. საქართველოს მაღალ აღგილებში და ჩრდილოეთით კი ეს გამოფრენა უნდა წყდებოდეს შედარებით უფრო ადრე, რადგან მატლები შედარებით უფრო დაბალ ტემპერატურაზე ვითარდებიან. მართლაც, ბუნებრივ პირობებში პეპლების ფრენას სამხრეთ დაბლობებში აღგილი აქვს ოქტომბრის პირველ ნახევარში და გაზაფხულზე კი მარტის თვეში, როცა საშუალო დღიური ტემპერატურა უდრის  $4-7^{\circ}\text{C}$ , იმ დროს როცა ჩრდილოეთით (იღმოსავლეთ ციმბირი — ირკუცი და ლენინგრადი) და საქართველოს მთიან აღგილებში (ბაკურიანი) პეპლების გამოფრენის უკანასკნელი ვადაა მაისის შუა რიცვები, როცა საშუალო დღიური ტემპერატურა არის  $5^{\circ}\text{C}$  ზევით. აქედან პრაქტიკული დასკვნა იმაში გამოიხატება, რომ სამხრეთით დაბლობებში მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს აღრე გაზაფხულიდანვე გვიან შემოდგომაზედაც და დაბალი ტემპერატურის დროსაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიცივისადმი გამძლეობა დიაბაზზის მქონე ჭუპრებისა უნდა იყოს ძლიერ მაღალი, ვინაიდან მისი ჩრდილოეთის გავრცელების აღგილებს ახასიათებს ზამთრის მაღალი მინიმუმი ჩვეულებრივ —  $20^{\circ}\text{C}$  და უკიდურესი მინიმუმი კი —  $40-50,2^{\circ}\text{C}$  (ირკუცი), სადაც იძლევა წელიწადში 2 გენერაციას (ჩესნოკოვი, 1936 წ.). აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა აღგილებში სიცივის ამტანიანობა ჭუპრებისა იქნება სხვადასხვა, ვინაი-

დან ჭუპრის ამ მხრივ გამძლეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში განვითარდნენ მატლები და მოხდა მათი დაჭუპრება.

შესწავლისათვის  
განვითარდნენ მატლები და მოხდა მათი დაჭუპრება.

### თაობათი რიცხვი

თუ შედევრობაში მივიღებთ ზემოთ მოყვანილ მონაცემებს ქვერცხის, შატლის, ჭუპრის და იმაგოს განვითარების შესახებ და შევუფარდებთ საქართველოს ქლიმატურ პირობების, მივიღებთ შემდეგს: პირველი გენერაციის ქვერცხებს უნდა ეხედებოდეთ და კიდევაც ვეზდებით მარტის დამლევს — აბრილში უა იმაგოს — მაისის ბოლოში და ივნისში. ამავე დროს ამ გენერაციის განვითარებას ესაჭიროება გაცილებით მეტი დრო, კერძოდ:

ქვერცხის განვითარებას სჭირდება	24—25	დღე
მატლისა და პრონიმფის	49	"
ჭუპრის	16—19	"
იმაგოს მომწიფებას	3—4	"
სულ 92—97		დღე.

ხოლო ზაფხულის გენერაციები კი ასწრებენ დაახლოვებით 30—35 დღეში ასაბის მოცემას, ვინაიდან ამ დროს ქვერცხების განვითარებას	4—6	დღე
სჭირდება . . . . .	4—6	დღე
შატლის განვითარების სჭირდება 15—22	"	"
ჭუპრის 7—11	"	"
იმაგოს მომწიფებას 1,5—2	"	"
სულ 27,5—41		დღე.

სითონას ჯამი თალღამის თეორულას ერთი გენერაციისათვის

ტაბულა № 7

ასაბის დროულობის ტაბულატურა	ჭუპრის ტაბულატურა	ებბრიონული განვითარება	მატლისა და პრონიმფ. განვ.	ჭუპრის განვითარება	იმაგოს მომწიფება												
14°	4	14	56	196,0	49	196	680,0	28	112	392,0	5,5	22	77,0	96,5	386	1351,0	
17°	7	8	56	136,0	28	196	476,0	16	112	272,0	3,1	22	52,7	55	386	939,7	
19°	9	6,2	56	117,8	21,8	196	414,2	11,3	112	214,7	2,4	22	45,6	42	386	892,3	
21°	11	5,1	56	107,1	17,8	196	373,8	10,2	112	214,2	2,0	22	42,0	35	386	737,1	
25°	15	3,7	56	92,5	15,1	196	377,5	7,5	112	187,5	1,5	22	37,5	28	386	695,0	
29°	19	2,9	56	84,1	10,3	196	298,7	6,0	112	174,0	1,2	22	34,8	20,4	386	594,6	
სა-დო	21	11	6,7	56	122,2	23,6	196	437,7	13	112	239	2,3	22	47,6	46	386	867,0

საქართველოს ისეთ ადგილებში, სადაც ზაფხულის თვეების საშუალების ტემპერატურა არ არის ნაკლები  $10^{\circ}\text{C}$  და არ აღემატება  $14-15^{\circ}\text{C}$  (IV-VI-VIII) ბულა № 8) და უკანასკნელ შემთხვევაში დღეების რიცხვი აღწეს 92—97 (VI, VII, VIII) ანუ უფრო სწორედ დღეების აბსოლუტური საშუალო ტემპერატურის ჯამი შეადგენს დაახლოებით 1351,0 (იხ. ტაბულა № 7), ამ შემთხვევაში მოსალოდნელია მხოლოდ ერთი გენერაცია და ჭუპჩები განიცდიან ზამთრის დიაბაზზას. ხოლო იმ ადგილებში, სადაც ზაფხულის თვეების საშუალო ტემპერატურა  $10^{\circ}\text{C}$  ქვევით არის, იქ არ უნდა ხდებოდეს თაღვაძის თეთრულას განვითარება. აგრეთვე მხედველობაში გვაქვს დღუ-ღამის მიკროკლიმატური ცვლილებანი, როდესაც ხდება ღამისით ტემპერატურის მნიშვნელოვნად მომატება და სხვა.

რაც შექმნება გენერაციების რიცხვს, საქართველოს კლიმატური პირობების მიხედვით კომბისტოს გავრცელების სხვადასხვა რაოდნებში იგი სავაეგტაციო პერიოდის (IV—X-მდე) ტემპერატურის ჯამის მიხედვით მერყეობს. ოთვორც ჩანს № 8 ტაბულიდან (იხ. ტაბულა № 8). ტემპერატურა ერთი სრული გენერაციისათვის საშუალო უახლოებები 867,0, ხოლო უწყვეტი გენერაციის არსებობისათვის საჭიროა მატლები ვითარდებოდნენ არა ნაკლები  $16-18^{\circ}\text{C}$ , მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, დაბალ ტემპერატურაზე გამოჩრდილი მატლები უფრო მეტ ტემპერატურის ჯამს საჭიროებენ (მაგ.,  $17^{\circ}\text{C}$ -ზე — 939,9), ვინაიდან დაბალ ტემპერატურაზე განვითარება მეტად ჭიანურდება. ზემოთ ნათევამის მიხედვით გენერაციების ინდექსიც მერყეობს. მაგ., უწყვეტი გენერაციების შესაძლებლობას იძლევა უკვე ახალქალაქი (იხ. ტაბულა № 7), მაგრამ ვინაიდან საშუალო თვიური ტემპერატურა არ აღემატება  $17^{\circ}\text{C}$ -ს და, როგორც უკვე ცნობილია,  $17^{\circ}\text{C}$ -ზე საჭიროა ერთი სრული გენერაციისათვის ტემპერატურის ჯამი 939,9 ან 65,5 დღე, თითქოს ერთ გენერაციაზე მეტი არ უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ ამ თავისებურებასთან ერთად აქვე მხედველობაში მისაღებიი ისიც, რომ ტემპერატურულ მონაცემებს უწყვეტი გენერაციისათვის ემატება აგრეთვე დღეები და ტემპერატურის ჯამი იმ თვეებისა, რომელთა დროსაც შესაძლებელია კვერცხების და მატლების განვითარება  $10^{\circ}\text{C}$ -ის ზევით. ამგვარად, ამ ადგილებში შესაძლებელია ხდებოდეს მეორე გენერაციის განვითარებაც, ხოლო სხვა დანარჩენ დაბლობ ადგილების გენერაციების ინდექსისათვის სრულიად ისისაღებია აბსოლუტური ტემპერატურის ჯამის საშუალო 867,0. თუმცა საშუალო თვიური ტემპერატურის ( $21^{\circ}\text{C}$ ) დროს უწყვეტი გენერაციებისათვის ტემპერატურის ჯამი არ აღემატება 737,1, მაგრამ მხედველობაში გვაქვს აგრეთვე პირველი გენერაციის განვითარების ხანგრძლივობაც 92—97 დღე (იხ. ზემოთ), როდესაც აბსოლუტური ტემპერატურის ჯამი აღწევს 1351,0-ს.

ამგვარად, საქართველოს ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა ადგილების საშუალო მრავალწლიური ტემპერატურის ჯამის მიხედვით გვექნება გარევეული ადგილისათვის შემდეგი რიგი უწყვეტი გენერაციებისა.

四庫全書

(შეკვეთი არა კულტურული ცნობის მიზანით)

(Alzeygauen egeria-jagodinofyne ūnrebaček ūnrebaček)



შრავალწლიან საშუალო ტემპერატურის ჯამი $10^{\circ}\text{C}$ ზევით:		მდგრადი მდგრადი
სოხუმი	4700	5,5
ფოთი	4500	5
ბათუმი	4400	5
ქუთაისი	4600	5
ლუმიეთი	3100	3,5
გორი	3500	4
თბილისი	4200	5
ყარაიბი	4200	5
ახალქალაქი	2000	2
ნაფარეული	4000	4,5
ჭინანდალი	3300	4,5
ბაკურიანი	1400	1
გუდაური	1100	1

ცხადია, ზემოთ მოყვანილი მასალა გენერაციების შესახებ იქნება ოფორთული, რადგან ბუნებაში ზოგჯერ ადგილი აქვს კლიმატური პირობების შეაცრად შეცვლას, რასაც მოსდევს გენერაციების გაღიდება, ზოგჯერ კი შემცირება.

ჩაც შეეხება თალღამის თეთრულის უფრო ცხელ ადგილებში ან სამხრეთით გავრცელების საზღვრებს, იგი არ უნდა აღემატებოდეს საშუალო თვიურ ტემპერატურის  $28-29^{\circ}\text{C}$ , ვინაიდან  $29^{\circ}\text{C}$  კრიტიკული ტემპერატურის ზევით არ ხდება მატლების ხანგრძლივად ზრდა-განვათარება და დაჭუბრება და ისინი  $33^{\circ}\text{C}$ -ზე უკვე მასობრივად იღუპებიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თალღამის თეთრულას ნატლებს პირველი ხნოვანების გარდა აქვთ უნარი გაუძლონ დიდ დროის განმავლობაში ზოგჯერ დაჭუბრებამდევც კი მაღალ ტემპერატურასაც, მაგ.,  $39-41^{\circ}\text{C}$ -ს.

### დასკვნები

1. თალღამის თეთრულა (*Pieris rapae L.*) გავრცელებულია დაახლოევებით ჩრდილო სიგანედის  $30^{\circ}-60^{\circ}$  შორის. მის სამშობლოდ ითვლება იღმოსავლეთი ნახევარსფერო.

ამტრიკაში შეყვანილი არის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, სადაც უკეთესად ვითარდება და იქ მან განდევნა ადგილობრივი სახეობანი (*Pontia protodicea* და *Pieris oleracea*).

2. თალღამის თეთრულას გავრცელება-განვითარების უმთავრესი განმსაზღვრელი საკებათან ერთად არის კლიმატური პირობები.

კლიმატური პირობებიდან მთავარ როლს თამაშობს ტემპერატური და ტენიანობა.

3. ემზადონული განვითარების თერმიული ოპტიმუმი მერყეობს  $21^{\circ}-29^{\circ}$  შორის, ტენიანობის ოპტიმუმი კი  $65-80\%$  შორის.

4. ემბრიონული განვითარების სითბოს ჯამი — კონსტანტა 56 არის.
5. ემბრიონული განვითარების უგრძესი დრო უდრის 24—<sup>უკავშირის</sup> (7,5° C), უმოქლესი კი 2 დღეს (33° C) და საშუალო კი 5—6 დღეს.
6. მატლის განვითარების ეფექტური თერმიული საზღვარი 14°—33° C ფარგლებს შორის ძევს.
- 14° ქვეით და 33° ზევით დაჭუპრებას ვერ აღწევენ, ვინაიდან მატლები შასობრივად იხოცებიან დაჭუპრების წინ. მათი ოპტიმალური ტემპერატურა-არის 21°—25° C და ტენიანობა კი 75—90 %.
7. ცალკე შემთხვევებში (მე-4 და მე-5 ხნოვანების) მატლები იკვებებიან ბუნებაში 2,9°-ზედაც კი და უძლებენ -6,6 აბსოლუტურ დაბალ ტემპერატუ-რასაც.
8. პირველი ხნოვანების მატლების გარდა, ყველა დანარჩენი ხნოვანების მატლი უძლებენ საკმაო მაღალ ტემპერატურას (მაგ., 39°—41°). აღნიშნული ტემპერატურის დროს ისინი იჩიდებიან და იცვლიან კანს, ხოლო მეხუთე ხნოვანებაში მასობრივად იღუპებიან.
9. მატლისა და პრონიმფის განვითარების ტემპერატული მუდმივი (კონსტანტა) არის 196.
10. 14° C ტემპერატურაზე გამოზრდილი მატლების ჭუპრები განიცდიან ზამთრის ღიაპაუზას.
11. 21° C—25° C ტემპერატურაზე აღზრდილი მატლების ჭუპრები ვითარ-დებიან ხანგრძლივი დიაპაუზის გარეშე 7,5° C ტემპერატურის დროსაც კი და ამ შემთხვევაში ჭუპრის განვითარებას ესაჭირობა 32—44 დღემდე, საშუა-ლოდ კი 37 დღე.
12. 21—25° C ტემპერატურაზე გამოზრდილი მატლების ჭუპრები ამავე ტემპერატურაზე ვითარდებიან 10—8 დღის განმალობაში.
13. ჭუპრების განვითარების ზედა ზღვარი ძევს 32° C—33° C ფარგლებს შორის, აღნიშნული ტემპერატურის ზევით ჭუპრები მასობრივად იღუპებიან ფით ოპტიმალური ტენიანობის პირობებშიც კი.
14. ჭუპრის განვითარების სითბოს ჯამი — კონსტანტა 112 არის.
15. ჭუპრის ოპტიმალური ტემპერატურა მერყეობს 21° C—25° C შორის და ტენიანობა კი 70—80 % შორის.
16. როგორც თალღამის თეორულას გავრცელებიდან ჩანს, ჭუპრის სიცი-კისადმი გამძლეობა უნდა დიდი იყოს, დაახლოვებით — 21° და შეიძლება მეტიც.
17. ერთი სრული გენერაციისათვის აბსოლუტური ტემპერატურის საშუ-ალო ჯამი უდრის 867,0° C და სითბოს ჯამი კი 386-ს.
18. უწყვეტი თაობების მიღება შეიძლება მხოლოდ მატლების 16° C—17° C ტემპერატურის და მის ზევით განვითარების დროს. 14° C—13° C-ზე განვი-თარებული მატლების ჭუპრები განიცდიან ზამთრის ღიაპაუზას და ამგვარად იძლევიან მხოლოდ ერთ გენერაციას წელიწადში.

19.  $17^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს განვითარებულ გენერაციას ესაჭროება 939,7<sup>o</sup> აბსოლუტური ტემპერატურის ჯამი ანუ 55 დღემდე.

გენერაციების განვითარების ხანგრძლივობა მცირდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად. იგი  $15^{\circ}\text{C}$  დროს საჭიროებს 892,3 აბსოლუტურ ტემპერატურის ჯამს ანუ 42 დღეს,  $21^{\circ}\text{C}$ -ის დროს საჭიროებს 737,5 აბსოლუტურ ტემპერატურის ჯამს ანუ 35 დღეს,  $25^{\circ}\text{C}$ -ის დროს საჭიროებს 695,0 ტემპერატურის ჯამს ანუ 28 დღეს, და  $29^{\circ}\text{C}$  დროს კი საჭიროებს 594,6 ტემპერატურის ჯამს ანუ 20,4 დღეს.

20. კუელა ეს მონაცემი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თაღვამის ოფორულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების დამუშავების დროს.

### ლიტერატურა

1. ნ. ალექსიძე, ბოსტან-ბაღის პაენბლები. თბილისი, 1937.
2. Н. Н. Богданов-Катыков, Энтомологические экскурсии на овощные и бахчевые поля и огороды. Ленинград, 1933.
3. Н. Н. Богданов-Катыков, Капустная белянка и меры борьбы с ней. Москва-Петроград, 1922.
4. В. Бранцев, К биологии капустной белянки в Ленинградской губернии: Защита растений 2, № 4—5, 1925, стр. 237.
5. Р. Гейгер, Климат приземного слоя воздуха, Сельхозгиз, 1931.
6. В. Г. Гертнер, Общая зоогеография, Москва-Ленинград, 1926.
7. А. С. Данилевский, Опыт экологического анализа распространения и возможности акклиматизации айлантового шелкопряда (*Philosamia cynthia* Dr.); Зоолог. журн. т. XIX, вып. 1, стр. 26.
8. ნ. ლომბროვსკი, კანეთის კლიმატური მიმოილვა. თბილისი, 1923.
9. ლ. ჭაბუანდე და ელ. ნებირიძე, კომბოსტოს ტილის ბიოლოგია-ეკოლოგია და მასთა ბრძოლის შესავლისათვის საქართველოში. თბილისი, 1939.
10. А. П. Каландадзе и Э. Я. Небириձე, Материалы к изучению рапсового листоеда (*Entomoscelis adonis* Pal.) в Грузии. ССР, Тбилиси, 1940.
11. А. П. Каландадзе и Н. Тулашвили, Материалы к изучению кузнецов, как вредителей сельскохозяйственных растений: Труды Тбилисского Государственного Университета им. Сталина, т. VIII, 1940.
12. И. В. Кожанчиков, Значение экологических факторов в распространении капустной белянки: Защ. Раст. № 11, стр. 40, Ленинград, 1936.
13. И. В. Кожанчиков, Эксперименты и наблюдения по влиянию тепла на развитие куколок хлопковой совки: Защ. Раст. № 16, стр. 27. Ленинград, 1938.
14. И. В. Кожанчиков, Некоторые данные по влиянию температуры и влажности на развитие совки-гамы: Защ. Раст. № 14, стр. 49, Ленинград, 1937.
15. И. В. Кожанчиков, Экспериментально-экологические методы исследований в энтомологии. Ленинград, 1937.

16. И. В. Кожанников, Плодовитость чешуекрылых в зависимости от ~~экологических~~  
~~природных~~ условий: Зоол. жур. том XVI, вып. 4, стр. 643. Москва, 1937.
17. Ю. Ф. Левчук, Обзор вредителей огородных культур в окрестностях гор. Иркутска: Труды по Защите Растений Восточной Сибири, стр. 121. Иркутск, 1933.
18. Л. К. Лозина-Лозинский, Холодоустойчивость и анабиоз у гусениц кукурузного мотылька: Зоолог. жур. том XVI, вып. 4, стр. 614, Москва, 1937.
19. Мировой агро-климатический справочник. Гидрометеорологическое издательство. Ленинград-Москва, 1937.
20. В. П. Поспелов, Энтомология. Москва-Ленинград, 1935.
21. В. Иаотников, Насекомые вредящие хозяйственным растениям в Средней Азии. Ташкент, 1928.
22. საქ. კლიმატური მონაცემები, I ნაწ. ბაზრის ტემპერატურა დასაცემთ საქართველოში. საბჭოთა საქართველოს მთლიანი ბიოზო-მეტეოროლოგიური სამსახურები.
23. П. Ф. Савенков, Перечень вредителей сельскохозяйственных культур БСФСР, ч. 1. Изд. Груз. Филиала АН СССР. Тбилиси, 1939.
24. И. С. Скобло, Питание и плодовитость бабочек лугового мотылька: Зап. Раст. № 11, стр. 50. ВИЭР-а. Ленинград, 1935.
25. И. Д. Стрельников, Значение теплопродукции при движении и под действием солнечной радиации в экологии дневных высокогорных насекомых: Зоол. жур. том XIX, вып. 3, стр. 238. Москва, 1940.
26. Труды по защите растений, том 1, серия 5, 1932.
27. В. Б. Уигасуоре, Физиология насекомых, 1937.
28. П. Г. Чесноков, Распространение и хозяйственное значение вредителей листьев крестоцветных овощных культур. Ленинград, 1936.
29. F. H. Chittenden, The common cabbage worm and its control: U. S. Dep. Agric. Farmers Bull. Nr. 1462. Washington 1926.
30. А. Л. Шатский, Материалы к познанию климата бассейна р. Алазани, ч. 1, Кахетия, Тифлис, Зак. ГИЗ, 1934.
31. ქიაბერა შილი, გასალები კომბოსტოს მავნე ენტომოფაუნის შესწავლისათვის საქართველოში: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. XXIXa, 1946.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. VII. 1).



Էկ. Չիաբերաշվիլի

## Материалы по изучению вопросов био-экологии репной белянки (*Pieris rapae L.*)

1. Репная белянка (*Pieris rapae L.*) распространена приблизительно между  $30^{\circ}$ — $60^{\circ}$  северной широты. Родиной репной белянки считается восточное полушарие.

Во второй половине XIX столетия репная белянка попала в Америку, быстро распространилась и вытеснила местные виды (*Pontia protodicea* и *Pieris oleracea*).

2. Распространение репной белянки зависит главным образом от климатических условий и питания.

Из климатических факторов главную роль играют температура и влажность.

3. Термический оптимум эмбрионального развития колеблется между  $21^{\circ}\text{C}$ — $29^{\circ}\text{C}$ , а оптимум влажности между  $65$ — $80\%$ .

4. Сумма тепла — константа эмбрионального развития 56.

5. Продолжительность эмбрионального развития колеблется в зависимости от температуры: самое продолжительное развитие (24—25 дней) бывает при  $7,5^{\circ}\text{C}$ , кратчайшее (2 дня) при  $33^{\circ}\text{C}$  и средняя продолжительность (5—6 дней) при  $25^{\circ}\text{C}$ .

6. Эффективный термический предел развития личинки находится между  $14^{\circ}\text{C}$ — $33^{\circ}\text{C}$ .

Ниже  $14^{\circ}\text{C}$  и выше  $33^{\circ}\text{C}$  окуклижение не происходит, вследствие массовой гибели личинок до окукливания. Оптимальной температурой личинок является  $21^{\circ}\text{C}$ — $25^{\circ}\text{C}$  и  $75$ — $90\%$  влажность.

7. В отдельных случаях (личинки 4 и 5 возраста) личинки в природе питаются и при  $2,9^{\circ}\text{C}$  и выносят  $-6,6^{\circ}$  абсолютную низкую температуру.

8. Личинки всех возрастов, кроме первого, выносят довольно высокую температуру, напр.,  $39^{\circ}\text{C}$ — $41^{\circ}\text{C}$ . При этой температуре личинки развиваются и линяют, но, достигнув пятого возраста, массово погибают.

9. Температурная константа развития личинки и пронимфы 196.

10. Куколки личинок, развитых при температуре  $14^{\circ}\text{C}$ , подвергаются зимней диапаузе.

11. Куколки личинок, развитых при  $21^{\circ}\text{C}$ — $25^{\circ}\text{C}$ , развиваются без продолжительной диапаузы даже при  $7,5^{\circ}\text{C}$ — $8^{\circ}\text{C}$ . В этом случае развитие личинок происходит в продолжении 32—44 дней, а средняя продолжительность равна 37 дням.

12. Куколки личинок, развитых при  $21^{\circ}$ — $25^{\circ}\text{C}$ , развиваются при этой температуре в продолжении 10—8 дней.

06.03.53-10  
202-111103

13. Верхний термический порог развития куколок лежит ~~202-111103~~  
 $32^{\circ}\text{C}$ — $33^{\circ}\text{C}$ . При более высокой температуре куколки подвергаются мас-  
совой гибели, даже в условиях оптимальной влажности.

14. Сумма тепла — константа развития куколки 112.

15. Оптимальная температура куколок колеблется между  $21^{\circ}\text{C}$ — $25^{\circ}\text{C}$ ,  
а оптимальная влажность между 70—80 %.

16. Распространение репной белянки указывает на то, что куколки их  
должны хорошо выносить холод, приблизительно —  $21^{\circ}\text{C}$  и возможно более  
низкую температуру.

17. Для одной полной генерации средняя сумма абсолютной темпера-  
туры равна  $867,0^{\circ}\text{C}$ , а сумма тепла 386.

18. Несколько генераций можно получить только при развитии личи-  
нок в условиях  $16^{\circ}\text{C}$ — $17^{\circ}\text{C}$  и выше. Куколки-же личинок, развитых при  
 $14^{\circ}\text{C}$ — $13^{\circ}\text{C}$ , подвергаются зимней диапаузе и дают только одну генера-  
цию в год.

19. Генерация, развитая при  $17^{\circ}\text{C}$ , требует температурную сумму в  
 $939,7^{\circ}$  абсолютной температуры т. е. до 55 дней.

Продолжительность развития генераций уменьшается в связи с повы-  
шением температуры. Так напр., для развития генерации при  $19^{\circ}\text{C}$  тре-  
буется температурная сумма в  $892,3^{\circ}$  абсолютной температуры, т. е. 42 дня,  
при  $21^{\circ}\text{C}$  требуется температурная сумма в  $737,5^{\circ}$  абсолютной темпера-  
туры т. е. 35 дней, при  $25^{\circ}\text{C}$ — $695,0^{\circ}\text{C}$  или 28 дней и при  $29^{\circ}\text{C}$ — $594,6^{\circ}\text{C}$ ,  
или 20,4 дня.

20. Все эти данные должны быть приняты во внимание при прора-  
ботке мер борьбы против репной белянки.

მ. მიკაელი

ახალი ჭიში (Bombix mori) ახალი მონოლიტის  
ჯიშის გამოყვანა

გვარა

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეაბრეშუმეობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და მისი მნიშვნელობა დღითი-დღე უფრო იზრდება — აბრეშუმის ქსოვილზე საბჭოთა ხალხის მზარდ მოთხოვნილებებთან დაკავშირებით. ამიტომ პარკის ნედლეულის რაოდენობრივი და იფისობრივი ზრდის საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ საკითხის გადაჭრაში დიდი როლი უნდა შეასრულოს აბრეშუმის ჭიშის ახალი, მაღალმოსავლიანი ჯიშების შექმნამ.

ცნობილია, რომ საბჭოთა შემოქმედებითი დარვინიზმის ფუძემდებელმა ივანე გლადიმერის-ძე მიხურინგი ცოცხალი ბუნების რევოლუციური გარდაქმნის პრინციპები დამუშავა. ამ პრინციპების საფუძველზე მიხურინელთა მიერ მემკენარეობის დარგში მრავალი ახალი ძვირფასი ჯიში იქნა გამოყენილი. მიხურინ-ლისენკოს მოძღვრების საფუძველზე დიდი მუშაობა გაიშალა მეცნიერეობის დარგში, — სხვადასხვა სახეობის ახალ ჯიშთა გამოყენის საქმე ისეთი ტექნიკით წარიმართა, რაც სრულიდ მიუწვდომელია კაპიტალისტური სისტემისათვის. აკად. ივანოვმა (1933, 1935) კამდიდრა ჩვენი მეცნიერეობა ცხვრისა და ღორის ახალი ძვირფასი ჯიშებით. შტერნის (1947) მიერ შექმნილია ახალი, მსოფლიოში ყველაზე უფრო მერძეული კოსტრომული ჯიშის მსხვილი რქოსანი საქონელი. ფილიან სკიმ გამოიყანა გამოჩენილი ნაწმატყლიანი კავკასიის რამბჟველის ჯიშის ცხვარი. ცხვრის ახალი შესანიშნავი ჯიშები გამოიყვანეს კაბანეთისათვის ბოლ-ბონტომა (1946), ხოლო ვასილევგვარი (1947) რუსეთის სხვადასხვა რაონებისათვის. საქართველოში ნატროზვილის (1947) მიერ გამოყვანილ იქნა ახალი ჯიში, რომელშიც შეთავსებულია ნახევრად ნაზი მატყლი და „დუმა“ (ცხიმეული).

ამ მიმართულებით მეაბრეშუმეობაშიც არის მიღწევები. ობილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა სანაძემ (1947) და ღვინევა და გვირგვინ მიიღეს აბრეშუმის ჭიშის ახალი ჯიშები განმეორებით გამოკვებისათვის — „ობილნიში“ № 1 და № 2; უკრაინაში კაზაროვას მიერ გამო-

კუანილ იქნა აგრეთვე განმეორებითი გამოკვებისათვის ახალი ჯიში უსტარეს ახალი ჯიში იქნა გამოყვანილი უზბექეთის მეაბრეშუმეობის ინსტრუმენტის თანამშრომლების მიერ, სახელდობრ: შუ ში კო ვა მ გამოიყვანა ახალი ჯიში გაზაფხულის გამოკვებისათვის „სოვეტებია“ № 1, ხოლო ე მანუილ ივ მა გამოიყვანა რამდენიმე ჯიში გაზაფხულისა და განმეორებითი გამოკვებისათვის.

ცნობილია, რომ საქართველოს პირობებში, როგორც მოსავლიანობის ისე პარკის ხარისხის მხრივ, ყველაზე უფრო უკეთს ჰიბრიდულ კომბინაციას წარმოადგენს ასკოლი კორო. ამიტომაა, რომ ძირითადად საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონების უმეტესი ნაწილი ამ ჰიბრიდის გამოკვებას აწარმოებს. ჩვერ კიდევ 1943 წ. ჩვენ დაგვებადა აზრი ასკოლისა და ოროს ჰიბრიდების ბაზაზე ახალი ჯიშის გამოყვანის შესახებ, ისეთი ჯიშისა, რომელიც შეითავსებდა ორივე ამ კომბინენტის საუკეთესო თვისებებს. თუ ეს ამოცანა გადაჭრილი იქნებოდა, ჩვენ შესაძლებლობა მოვალეობოდა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა ის ხარჯები და ტექნიკური სიძნელენი, რაც ყოველ წელს ჰიბრიდული თესლის დანართებისათვანაა დაკავშირებული, ან ყოველ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ჰიბრიდული კომბინაციების მისაღებად ახალი კომბინენტის გამოძებნა. ამიტომ ჩვენ 1944 წელს დაგვახეთ გეგმა, დავიწყეთ მუშაობა ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს იმ დიდი სიძნელეების შესახებ, რომელიც ხელს ჭირშლიდა ამ მუშაობის სათანადო სიფართოვით გაშლისათვის. ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ბაზის უქონლობა, რაც გვაიძულებდა სელექციური ოჯახები გამოვალება მეტად განსაზღვრულ ფარგლებში. ეს გარემოება კი მეტად საზღვრავდა სელექციის ეფექტურობას ამ მიმართულებით, მაგრამ ჩვენ მაინც განვაგრძობდით მუშაობას, რადგან სელექციურ მუშაობას ახალი ჯიშის მიღების მიზნით აქვს პრაქტიკული და თვორიული მნიშვნელობა.

დღეისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგად მიღებულია აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშური ჯგუფი, რომლის გამოყვანის მეთოდები და დახასიათება მოცუმულია წინამდებარე შრომაში.

## მასალა და გეორგია

ჩვენ ვხელმძღვანელობდით აკადემიკოს ლისენქოს და აკადემიკოს ივანოვის მითითებებით ახალი ჯიშის გამოყვანის შესახებ და ჩვენს მუშაობას საფუძვლად შემდეგი ძირითადი პრინციპები დავუდეთ:

1. იმ მიზნის განსაზღვრა, რომლის მიღწევასაც ისწრაფვის სელექციონერი.
2. სათანადო შესაჯვარებელი წყვილის — ჯიშების ამორჩევა.
3. მიღებული თაობების მიმართულებითი აღზრდა კვებისა და მოყლის გზით, სათანადო ნიშანთვისებების განვითარების მიზნით.

4. შერჩევა და არჩევა. წუნდება იმ ოჯახებისა და ინდივიდებისა, რომელიც სასურველი ტიპიდან გადიხრებიან.

5. ძირითადიდ აუტბრიდინგის გამოყენება.

პირველად გამოსავალ მასალად აღებულ იქნა ორო და ასკოლი. ოროდან გვსურდა ახალ ჯიში განვევებითარებინა მისი პარკის კარგი ამოხვევის უნარი და გამოყენების ხანგრძლივობის სიმცირე, ხოლო ასკოლიდან ამ ჯიშის პარკის მაღალი გარსის წონა და ბალდადთან შედარებით უკეთესი ტექნოლოგიური მაჩვენებლები.


პირველი თაობის შესწავლის შემდეგ მიღებულ იქნა მეორე თაობა, მაგრამ მეორე თაობაში ცხოველმყოფელობა მნიშვნელოვნად დაუცა. ამიტომ იმულებული გავხდით ახალი ჯიშის გამოყვანის პროცესში ჩაგვერთო მესამე ჯიში — იაპონური ბივოლტინური 110. მართალია, ამ უკანასკნელის ცუდ ტექნოლოგიურ მაჩვენებლებს უნდა გამოეწვია სასურველი ტექნოლოგიური ნიშანთვისებების განვითარების ერთვარი შესუსტება, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენი რწმენით მას მნიშვნელოვნად უნდა გაეზარდა ცხოველმყოფელობა, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ყოველი ჯიშის გამოყვანისას. ამ ზიშნით ჩვენ შევაჯვარეთ ასკოლი  $\times$  ორო F<sub>2</sub> იაპ. ბივ. 110-თან. ამრიგად, ახალი ჯიშის გამოყვანა ჩვენ ვიწყეთ რთული საიახლჯიშო შეჯვარების გზით, ჰიბრიდების ბაზაზე, რომელშიც სამი ჯიში მონაწილეობდა: (ასკოლი  $\times$  ორო)  $\times$  იაპ. ბივ. 110.

ჩვენ დავვერდებით და არ ვინის მიერ შემჩნეულ, ხოლო შემდეგ აკად. ლის ენკოს მიერ ახსნილსა და დასაბუთებულ დებულების — ინბრიდინგის (მცენარეებში თვითდამტვერვის) მავნე მოქმედების შესახებ — და გენერაციების მიღებას ვაწარმოებდით ძირითადად აუტბრიდული გზით; ჩვენ ყოველთვის მდედრობით ფორმებს ვლებულობდით მსხვილპარეკიანი ჯიშიდან, ხოლო მამრობითს წვრილპარეკიანიდან, რაღაც მსხვილპარეკიანი ფორმების კვერცხი შეიცავს მეტ საკედას და ამასთან ერთად უფრო მეტ გავლენას მოახდენს ემბრიონის ჩამოყალიბებაზე და უფრო მეტად დაუახლოვებს მდედრობით ფორმას.

მართალია, სამი ჯიშის ურთიერთშეჯვარება დიდად ზრდიდა სხვადა-სხვაობას, მაგრამ ამ ნაკლის მოსპონას და სასურველ ნიშანთვისებათა განვითარებას ჩვენ ვაწარმოებდით მიმართებითი აღზრდის გზით. ჩვენ ჩვეულებრივ ვაზიანულის გამოკვებაზე გვიან ვკვებავდით, რომ გვიანი გაზაფხულის პირვების ასიმილირების საშუალებით გამოგვემუშავებინა გამძლეობა და ამტანობა.

გამოკვება ყოველი თაობის მკაცრი წუნდებით და შერჩევით ხდებოდა მხოლოდ გაზაფხულობით. კვება და ტემპერატურა სინესტის პირობები სავსებით ნორმალური იყო. სახალჯიშო შერჩევა ყოველ თაობაში წარმოებდა აბრეშუმის ჭიის ცხოველმყოფელობის, აბრეშუმიანობის პროცესტის და პარკის ამოხვევის ზოგიერთი ძირითადი ნიშნების მიხედვით.

სელექცია შემდეგი სქემით წარმოებდა.



1943 წელს ასკოლის ჯიშიდან ამონებულ იქნა საუკეთესო ოჯახებრიდან აქედან არჩეულ იქნა საუკეთესო პარკები (მდედრობითი). ამავე წესით თოლდან ამონებულ იქნა მაღლები. 1944 წელს მიღებულ იქნა F<sub>1</sub>—პირველი თაობა. შეორე თაობა მიღებულ იქნა სხვადასხვა თჯახების წარმომადგენლების ურთიერთშეჯვარებით (აუტბრიდინგი). ჭიბუჟე დაკვირვებამ გვიჩენა მათი ცხოველმყოფელობის შემცირება F<sub>2</sub>-ზი, ამიტომ დედალი ბეპლები F<sub>3</sub>-დან შეჯვარებულ იქნა იაპონურ ბიცოლტინურ 110-ის მამლებთან. ამ გზით მიღებულ იქნა F<sub>4</sub>.

მესამე თაობის ინბრიდული მოშენების გზით მიღებულ იქნა F<sub>5</sub>, ხოლო ამ უკანასკნელის ოჯახთა-შორისი შეჯვარების გზით (აუტბრიდინგი) მიღებულ იქნა F<sub>6</sub>, რომელიც გამოიკვება და დამზადებულ იქნა თესლი მეტესე თაობისათვის.

შერჩევისათვის ჭიის ცხოველმყოფელობა ვანისაზღვრებოდა ცოცხალი პარკის პროცენტით მეორე ასაკის ჭიების საერთო რიცხვთან. ნედლი პარკის წონა განისაზღვრებოდა პარკის ამონების მომენტიდან — მეცხრე დღეზე პარკის ინდივიდუალური აწონგით — შერჩეული ნადების თითოეული სქემისათვის არა ნაკლებ 20—25 პარკისა. გარსის წონა განისაზღვრებოდა ამავე პარკების გარსის აწონგით. აბრეშუმიანობის განვალებულებით გარსის წონის პროცენტული შეფარდებით ნედლი პარკის წონასთან.

ტექნოლოგიური თვისებები შესწავლილ იქნა 1945 წ. ექსპერიმენტულ დაზგაზე ნედლი პარკის ამონებით. ამ წლის მაღალი ტექნოლოგიური მაჩევნებლების მიხედვით შერჩეულ იქნა ოჯახები და 1947 წელს ჩატარებულ იქნა ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა პარკის ინდივიდუალური ამონებით.

თითოეული ხაზისათვის ცალკე ხდებოდა მიღებული ნედლი მასალის მიმეტრული დამუშავება და შემდეგ ხდებოდა დადგენა გამოწონილი მაჩევნებლებისა.

### მოლეკული შეღავაპი

№1 ტაბულაში წარმოდგენილია ცხოველმყოფელობის პროცენტი გამოსავალი ჯიშებისა და სინთეზური ჯგუფისათვის წლებისა და თაობების მიხედვით.

ტაბულა № 1

გამოსავალი ჯიშებისა და კიბური ჯგუფის ცხოველმყოფელობა წლების მიხედვით

ჯიშები	1943	1944 F <sub>1</sub>	1945 F <sub>2</sub>	1946 F <sub>3</sub>	1947 F <sub>4</sub>	1948 F <sub>5</sub>
ასკოლი . . . . .	75,35	65,04	63,32	76,13	83,00	88,29
თრო . . . . .	73,05	55,34	59,42	74,34	82,50	85,86
ახალი ჯიშური ჯგუფი . . . . .	—	82,29	77,46	81,60	93,37	92,84
იაპონური ბიკ. 110 . . . . .	—	—	—	83,25	—	93,10

როგორც ტაბულიდან ჩანს, ასკოლი X ოროს F<sub>1</sub> პიბრილულ ტაბულიდან გაზრდილია ცხოველმყოფელობა და, მიუხედავად 1944 წლის გაზაფრულის გამოკვების სეზონის არახელსაყრელი პირობებისა, იგი 82 პროცენტამდე აღწევს.

გამოსავალ ჯიშებთან შედარებით F<sub>1</sub>-ში ცხოველმყოფელობის ასეთი ზრდა უნდა აიხსნას სხვადასხვა მშობლების განვითარების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობის შეერთებით, რაც როგორც აკად. ლი ი ს ე ნ კ ო აღნიშნავს. აფართოვებს ინდივიდის მოგვარებით შესაძლებლობას და, მაშასადამე, უზრუნველყოფს უფრო ცხოველმყოფელი ჩამომავლობის მიღებას. ეს გარე მოება ნათლად დასტურდება 1945 წლის გამოკვების შედეგებით, სადაც F<sub>2</sub>-ში ცხოველმყოფელობა თუმცა გამოსავალ ჯიშებთან შედარებით ჯერ კიდევ მაღალია, მაგრამ უკვე ემჩნევა დაწევის ერთგვარი ტენდენცია, ამავე წელს ამ თაობის დედლების შეჯვარებით იაპონურ ბივოლტინურ 110-თან.

1946 წელს სწორედ ამავე მიზეზის გამო ვხედავთ ცხოველმყოფელობის ზრდას (81,60), ისე რომ იგი უახლოვდება იაპ. ბივ. 110-ის ცხოველმყოფელობას (83,25).

შემდეგ თაობებში ცხოველმყოფელობა უკვე ნაკლებ მერყეობს, ასკოლისა და ოროს ცხოველმყოფელობასთან შედარებით მაღალია და თითქმის არ ჩამოუვარდება იაპ. ბივ. 110-ის ცხოველმყოფელობას.

პარკის წონა. № 2 ტაბულაში წარმოდგენიალია გამოსავალი ჯიშებისა და ჯიშური ჯვუფის პარკის წონა (იხ. ტაბულა № 2).

როგორც ტაბულიდან ვხედავთ, ჯიშური ჯვუფის პარკის წონა დაბალია ასკოლისა და ოროს პარკის წონასთან შედარებით. ჩვენ ამას ვხსნით ერთის მხრივ იაპ. ბივ. 110-ის ზეგავლენით და მეორე მხრივ იმით, რომ პარკის ძლიერ გადიდებისადმი ჩვენ არ ვისწრაფოდით. უკანასკნელი გამოკვების მონაცემების თანახმად ჯიშური ჯვუფის პარკის წონა დაახლოებით სამი გამოსავალი ჯიშის პარკის წონის საშუალოს გვეჩვენებს.

გარსის წონის შესახებ მონაცემები წლების მიხედვით წარმოდგენილია № 3 ტაბულაში.

ამ ტაბულიდან ნათლად ჩანს, რომ გარსის წონა თუმცა მცირედ ჩამოუვარდება მსხვილი პარკების მქონე გამოსავალ ჯიშებს ასკოლს და განსაკუთრებით ოროს, მაგრამ დიდად აჭარბებს იაპ. ბივ. 110-ის გარსის წონას და ამ უკანასკნელთან შედარებით ცვალებადობის კოეფიციენტიც ნაკლები აქვს.

გამოსავალი ჯიშებისა და ჯიშური ჯვუფის აბრეშუმიანობის შესახებ მონაცემები (პროცენტებში) წარმოდგენილია № 4 ტაბულაში.

## გამოცდათვის კიბებისა და კიბეურის კულტის გარეთ წონა გრამებში

კ ი მ ე ბ ი	1945 წელი			1946 წელი			1947 წელი			1948 წელი		
	M±m	σ	cv									
ახალი კიბეური პრეც.	1,60+0,02	0,29	18,13	1,61+0,02	0,26	16,15	1,69+0,14	0,26	15,38	1,55+0,15	0,25	16,30
ასკოლი . . . . .	2,07+0,58	0,29	14,19	2,07+0,45	0,32	15,46	2,12+0,78	0,28	13,02	1,98+0,61	0,27	13,71
ორთ . . . . .	1,90+0,61	0,30	16,02	1,86+0,38	0,27	14,50	1,88+0,48	0,16	8,51	1,93+0,62	0,28	14,26
იაპ. ბივ. 110 . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—	—	1,16+0,55	0,28	24,07

## გამოცდათვის კიბებისა და ახალი კიბეურის კულტის გარეთ წონა შილიგრამებში

კ ი მ ე ბ ი	1 9 4 5		1 9 4 6		1 9 4 7		1 9 4 8	
	M±m	σ	M±m	σ	M±m	σ	M±m	σ
ახალი კიბეური კბუ . . . . .	261,44+4,50	52,80	248,28+2,53	38,32	281,43+1,99	37,26	256,19+2,19	36,29
ასკოლი . . . . .	306,76+9,34	46,71	301,50+5,94	42,00	297,85+8,14	29,37	287,65+8,58	38,34
ორთ . . . . . + .	269,28+7,69	38,47	268,40+5,22	36,90	257,91+9,69	32,18	268,35+9,38	41,93
იაპ. ბივ. 110 . . . . .	—	—	—	—	—	—	132,19+5,91	30,14

ສຳເນົາໄລ້ № 4

ກະທິບອນຫຼວງແຫຼວງ ຂອບເຂົ້າມີນໍາ ແລະ ຂອບເຫຼົ່ານ ຂະຫຍາດ ຂອບເຫຼົ່ານ ຂອບເຫຼົ່ານ ຂອບເຫຼົ່ານ (ຄ່າໂປຣເກຣມ)

ລົດ	1945		1946		1947		1948	
	M±m	σ	M±m	σ	M±m	σ	M±m	σ
ລົດ ລົດ ຂະຫຍາດ	16,44±0,19	2,45	15,46±0,13	2,03	16,88±0,11	2,05	17,25±0,11	1,85
ລົດ ລົດ	14,87±0,33	1,67	14,82±0,27	1,94	14,17±0,36	1,31	14,59±0,35	1,56
ລົດ ລົດ	14,30±0,27	1,37	14,58±2,24	1,24	13,77±0,55	1,82	14,13±0,43	1,90
ລົດ ດົກ. 110	—	—	—	—	—	—	11,60±0,21	1,08



ტაბულიდან ვხედავთ, რომ შერჩევის შედეგად გამოსავალ ფოტოების უკანასკნელი გამოფენაზისთვის 17,25 პროცენტს აღწევს.

რაც შეეხება ტექნიკურ მაჩვენებლებს, ჩვენ 1947 წელს ჩატარებულ შესწავლა და გამოირკვი, რომ ჯიშური ჯგუფის პარკის საშუალო სიგრძე 619,36 მ., ხოლო ამოხვევის უნარიანობა 76,14 პროცენტი. ჭიის სტადიაში განვითარების საშუალო ხანგრძლივობა 1948 წლის გაზაფხულის გამოფენის პირობებში 35 დღეს უდრიდა.

აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშური ჯგუფის პარკი ოქროსფერი ბოჟვითა-ლია, მოგრძო და ოდნავ შელიანი. თესლი მოზამთრება და მწებავი.

### დასკვნება

1. შრომის მიზანი იყო გაზაფხულის გამოქვებისათვის გამოგვევანა ახალი ჯიში, რომელიც ბივოლტინური ჯიშის მაღალ ცხოველმყოფელობისთვის შეითვესებდა არსებული მონოგრაფიური ჯიშების მაღალ აბრეშუმიანობის და კარგი ამოხვევის უნარიანობის.

2. ჯიშის გამოვანისათვის კომპონენტებად შერჩეული იყო ასკოლი და ორი, როგორც საუკეთესო პიბრიდული კომბინაციის ჯიშები; მაგრამ შეჯვრებით მიღებული F<sub>1</sub> ცხოველმყოფელობის ვაზრდის მიზნით შეჯვრებულ იქნა იაბ. ბივ. 110-თან.

3. 1948 წლის გვიან გაზაფხულზე ჩატარებულ იქნა უკანასკნელი გამოკვება (F<sub>1</sub>), სამშავი პიბრიდის (ასკოლი X ოროს) X იაბ. ბივ. 110 შეჯვარების პაზაზე გამოყვანილი აბრეშუმის ჭიის ჯიშური ჯგუფისა, რომელიც მონოგრალტინურია. უკანასკნელი გამოკვების მიხედვით მისი ცხოველმყოფელობა 92,8%, პარკის საშუალო წონა 1,55 გრ. გარსის წონა 256 მილიგრ. აბრეშუმიანობა 17,25%, ძაფის სიგრძე 619,36 მ. ამოხვევის უნარიანობა 76,14%. პარკი მოყვითალო ოქროსფერი, მოგრძო ოდნავ შელიანი. თესლი მოზამთრება და მწებავი.

4. შრომაში წარმოდგენილი შედეგები გვიჩვენებენ, რომ როგორც საახალი ჯიში შეჯვარებისა (მონოგრალტინური X მონოგრალტ.) X ბივოლტ. და შიმართულებითი აღზრდის და შერჩევის და გადატარევის გზით შეიძლება მიღწეულ იქნეს ცხოველმყოფელობისა და აბრეშუმიანობის შეთავსება და განვითარება, და ამიტომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აბრეშუმის ჭიის სასეღლეჭკიო მუშაობაში, როგორც ჯიშის გამოვანის ერთ-ერთი მეთოდი.

სტატისტიკური სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დარგინიშვილისა და გურიელის კათედრა

## Выведение новой моновольтинной породы тутового шелкопряда (*Bombyx mori*)

### ВЫВОДЫ

1. В настоящей работе изложены результаты скрещивания пород (асколи  $\times$  оро)  $\times$  бив. и последующего воспитания, отбора и подбора гибридных поколений, проводившихся в целях выведения новой моновольтинной породы для весенних выкормок.

2. Исходные породы асколи и оро были выбраны как дающие лучшие гибридные комбинации для весенних выкормок.

3. В 1948 г. было получено пятое поколение, которое представляет собой новую породную группу, обладающую следующими показателями:

Жизнеспособность гусениц 92,8%.

Средний вес сырого кокона 1,55; вес оболочки 256 мгр; процент оболочки в сыром коконе 17,25, длина нити 619,36, разматываемость 76,14. Коконы золотисто-желтого цвета, продолговатые, с легким перехватом. Грена зимующая и приклеивающаяся.

4. Приведенные данные показывают, что, путем сложного воспроизведенческого скрещивания (моновольт.  $\times$  моновольт.)  $\times$  бивольт. направленного воспитания, отбора и подбора, можно получить в новой породе сочетание и развитие высокой жизнеспособности с хорошей шелконосностью и поэтому этот метод может быть использован в селекционной работе как один из методов выведения новых пород тутового шелкопряда.

აღმაგუა წარმოებას 24/V 1949 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII 49 წ. უ 05780.  
 ანაწყობის ზომა 7×11. სასტამბო თაბანი 12, სააღრიცხვო-საგამომცემლო—14  
 ტირაჟ 500. გამომცემლობის შეკვეთა № 31. სტამბის შეკვეთა 181.

სტალინის სახელობის თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, მარის ქ., 1